დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ - ქალაქ ფოთის N11 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ლიანა კობესაშვილი
წევრები:
ზვიად ბერიძე - (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);
ფიქრია მუმლაძე - (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
ეკა სიმსივე- (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
ხათუნა წიკლაური - (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);
თამარ თავშავაძე - (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);
გიორგი ჩაჩუა - (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);
თამარ ოძელაშვილი - (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);
ნანა ცინცაძე - (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);
მიხეილ გაფრინდაშვილი - (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);
ნინო მახარაშვილი - (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი)

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ქალაქ ფოთის N11 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	215108504

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი ფოთი
იურიდიული მისამართი	ქალაქი ფოთი. შავი ზღვა N6
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი ფოთი. შავი ზღვა N6
საფოსტო ინდექსი	4400
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	Skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Poti11@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	0493273283

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 1 23 0000961924, 03.08.2023 წ. ცვლილება ბრძანებაში

	MES 0 23 0001057944, 31.08.2023 წ.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	25, 26 სექტემბერი, 2023 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1.	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლბლო საფეხური	ქართული	ქალაქი ფოთი. შავი ზღვის N6
2.	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ქალაქი ფოთი. შავი ზღვის N6
3.	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ქალაქი ფოთი. შავი ზღვის N6

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

ექსპერტთა ჯგუფი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების განხორციელების მიზნით იმყოფებოდა სსიპ - ქალაქ ფოთის N11 საჯარო სკოლაში 2023 წლის 25 და 26 სექტემბრს. ჯგუფმა ვიზიტის დაწყებამდე შეისწავლა სკოლის თვითშეფასება და თანდართული დოკუმენტაცია. დისტანციურად, Teams-ის პლათფორმის მეშვეობით, გამართა ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო შეხვედრები, განიხილა ვიზიტის საორგანიზაციო საკითხები, შეიმუშავა დღის წესრიგი და წარმოების ფარგლებში დამატებით გამოსათხოვი დოკუმენტაციის ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გაეგზავნა წინასწარ. ვიზიტი წარიმართა წინასწარ გათვალისწინებული დღის რეჟიმის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში შეამოწმა სკოლის მიერ შემუშავებული სკოლის ფილოსოფია (შემუშავების, გაზიარების, გასაჯაროების და მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები), განსახორციელებელი ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები, სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერისა და მოსწავლეთა მხარდაჭერის მიმართულებით სკოლის მიერ დაგეგმილი საქმიანობა. დაათვალიერა კურიკულუმთან მიმართებაში დაწესებულების სასწავლო გარემო, საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსები, შეამოწმა სკოლის ბიბლიოთეკა და ლაბორატორიები. გაესაუბრა სკოლის წარმომადგენლებს: ადმინისტრაციას, მასწავლებლებს (კათედრების მიხედვით), დამრიგებლებს. ზემოთაღნიშნულის საფუძველზე მომზადდა შესაბამისი დასკვნის პროექტი.

ექსპერტების მიერ, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად დანახული მიგნებები გაცნობილი იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ვიზიტის დასასრულს.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 800	**ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება** ☒	**აღწერა** ***(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)***
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		.....

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული	

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

	და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი N...		.....
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში უზრუნველყოს სკოლის ტერიტორიის სრულად შემოღობვა და შსს სსდ-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეათანხმოს და დაამტკიცოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.
ინდიკატორი N3.4.1.5	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში უზრუნველყოს პირადი საქმეების დაცვა მესამე პირის უნებართვო წვდომისგან.
ინდიკატორი N3.5.1.3.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს სკოლის ინფრაქტრუქტურის ინკლუზიურობა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში.
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცი***
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცი*
ინდიკატორი N....		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N1.1.1.1.	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.	სკოლას მიეცა რჩევა გადახედოს სკოლის ხედვას, გახადოს მარტივად გასაგები ნებისმიერი მკითხველისთვის, მამოტივირებელი (სასკოლო საზოგადოებისთვის), უნიკალური (არსებული ხედვა არის ზოგადი, რომელიც ნებისმიერ სკოლას მოერგება) და ამბიციური. შესაძლებელია, ხედვაში განსაზღვრული იყოს დროის ის პერიოდი, რომელშიც უნდა განვითარდეს სკოლა. ამასთან ხედვა განსაზღვროს როგორც მისიის ნაბიჯ-ნაბიჯ რეალიზების გზა
ინდიკატორი N1.2.1.2.	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს.	სკოლას მიეცა რჩევა სტარეგიულ გეგმაში გაწეროს, სტრატეგიული მიზნების შესრულების ვადები და განსაზღვროს შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები.

სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N3.1.1.1	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული.	დაწესებულებას მიეცა რჩევა გადახედოს შიდა სასკოლო დოკუმენტაციას - სკოლის სტრუქტურა, მითითებული ძალადაკარგული ნორმატიული საკანონმდებლო აქტი ჩაანაცვლოს მოქმედი საკანონმდებლო აქტით და გაასწოროს უზუსტობები. კერძოდ, დარაჯის ფუნქციებიდან ამოიღოს ვიდეომეთვალყურეობის კამერების მონიტორინგის ვალდებულება, იხელმძღვანელოს საჯარო სკოლის დირექტორის სტანდარტის მოქმედი ვერსიით.
ინდიკატორი N3.1.2.2	სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა	სკოლას მიეცა რჩევა გაწეროს პრევენციული და ინტერვენციული მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
ინდიკატორი N3.1.2.3.	**პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**	სკოლას მიეცა რჩევა უსტატუსო მასწავლებლთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მიუთითოს: დასაქმებულის სკოლის მასწავლებლად, მიღების პირობად - 2 წლის ვადაში საგნის გამოცდის ჩაბარება და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დისტანციური კურსის

		გავლა. შესაბამისად შრომითი ხელშეკრულებაც გაფორმებული უნდა იყოს ორი წლის ვადით აღნიშნული პირობის შესრულების ვალდებულებით
ინდიკატორი N3.2.1.5.	წახალისებულია პერსონალ განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივები	სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშაოს წესი/მექანიზმი, რომელიც დაეხმარება პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისებაში
ინდიკატორი N3.3.1.2	იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები	სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშაოს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების მაიდენტიფიცირებელი და აღმწერი ერთიანი დოკუმენტი
ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას	სკოლას მიეცა რჩევა უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის დასქმება
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფხური**	*რჩევა*
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმები მიემართება ეროვნული	სკოლას მიეცა რჩევა: **მუსიკაში**

	სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი),მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);	1. 1-5 კლასების კურიკულუმებში შეიტანო არჩეული გრიფირებულისახელმძღვანელოების გამომცემლობა და თემის შესაბამისი გვერდები. 2. 1-6 კლასების კურიკულუმებში შეიტანო ძირითადი რესურს-მაგალითები და მაგალითები შედარებისთვის 3. პირველი კლასის პირველ და მეორე თემების კომპლექსურ დავალებებში არ ხდება ქვეცნებების - ჰარმონიისა და ფორმის დამუშავება, ამიტომ მათი მითითება კურიკულუმში საჭირო არ არის. სკოლას მიეცა რჩევა: **ხელოვნებაში** 1-2 და მე-5 კლასებში ყველა თემაში ყველ სამიზნე ცნება დამუშავდეს. **უცხოურ ენაში** თითოეული თემის ფარგლებში დამუშავდეს საფეხურის ყველა ცნება და კომპლექსური ბუნების დავალებით/დავალებებით დამუშავდეს შერჩეული თემა სრულად (და არა

		ნაწილი). სკოლას მიეცა რჩევა: საზოგადოებრივი მეცნიერებები დაწყებით საფეხურზე ჩვენი საქართველოს და მე და საზოგადოების კურიკულუმები გაიწეროს სრულად, ცნებებზე გასასვლელად შემუშავდეს კომპლექსური ტიპის დავალებები. აგრეთვე ყველა თემაში დამუშავდეს ყველა ცნება
ინდიკატორი N2.2.2.5	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;	სკოლას მიეცა რჩევა დახვეწოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციასთან დაკავშირებული დოკუმენტი - დააკონკრეტოს სკოლის მიერ განსახორციელებელი პროცედურები.
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (სააბაზო საფეხური)**	***რჩევა***
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი),მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები	სკოლას მიეცა რჩევა: **მუსიკაში** 1. მე-8 კლასების კურიკულუმში მეორე და მესამე კომპლექსურ დავალებებში შეიტანოს მაგალითები შედარებისთვის სკოლას მიეცა რჩევა: **უცხოურ ენაში**

	და შედეგები);	კომპლექსური ბუნების დავალებით/ დავალებებით დამუშავდეს სრული თემა (და არა ნაწილი).
ინდიკატორი 2.1.2.4.	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;	გაიწეროს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომელთა კრიტერიუმები გამომდინარეობს ცნებებიდან და შედეგების შეფასების ინდიკატორებიდან, ყველა თემის ბოლოს. გაიწეროს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები კომპლექსური დავალებებისთვის რომლის კრიტერიუმები გამოვა შესაბამისი ცნებებიდან და მკვიდრი წარმოდგენებიდან.
ინდიკატორი N2.2.2.5	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;	სკოლას მიეცა რჩევა დახვეწოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციასთან დაკავშირებული დოკუმენტი - დააკონკრეტოს სკოლის მიერ განსახორციელებელი პროცედურები.
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)**	*რჩევა*
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური	*სკოლას მიეცა რჩევა:* ***მუსიკაში*** *მე-8 კლასის კურიკულუმში იმ თემაში, სადაც ხორციელდება კომპლექსურ*

	ფუნქციური უნარები (6 უნარი),მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);	*დავალება,* *შეტანილ იქნას მაგალითე* *შედარებისთვის.* *სკოლას მიეცა რჩევა:* ***უცხოურ ენაში*** კომპლექსური ბუნებ დავალებით/დავალებებით დამუშავდეს სრული თემა (და ა ნაწილი). სკოლას მიეცა რჩევა; **საზოგადოებრ** **მეცნიერებებში** ისტორიის, გეოგრაფიის და მოქალაქეობის კურიკულუმები გაიწეროს სრულად, ცნებებზე გასასვლელად შემუშავდეს კომპლექსური ტიპის დავალებები. აგრეთვე ყველა თემაში დამუშავდეს ყველა ცნება
ინდიკატორი N2.2.2.5	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;	სკოლას მიეცა რჩევა დახვეწოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციასთან დაკავშირებული დოკუმენტი - დააკონკრეტოს სკოლის მიერ განსახორციელებელი პროცედურები.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.
დაწესებულებამ სრულად გაიზიარა დასკვნის პროექტში აღწერილი ფაქტობრივი გარემოებები (ქალაქ ფოთის №11 საჯარო სკოლის დირექტორის სოფიო ჭაჭიას 10/11/2023 წლის წერილი N MES 9 23 0001525754). სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად ზოგ ინდიკატორთან მიმართებით წარმოადგინა უკვე განხორციელებული აქტივობების მტკიცებულებები, ზოგ ინდიკატორთან მიმართებით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში განსაზღვრა აქტივობების შესრულების ვადები, რესურსები, ჩართული მხარეები, შეაფასა რისკები. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია და შესაბამისად კომპონენტების შეფასება არ შეესაბამება შეცვალა რიგ შემთხვევაში სრული შესაბამისობით, რიგ შემთხვევაში მეტწილი შესაბამისობით.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია
1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები
1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.**

სსიპ - ქალაქ ფოთის N11 საჯარო სკოლის (შემდგომში-სკოლა) მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, სკოლის მისიით გაცხადებულია, რომ სკოლა ორიენტირებულია შექმნას პოზიტიური, მოტივირებული, ინოვაციური და უსაფრთხო სასკოლო გარემო. მოსწავლეთა პროფესიულ ორიენტაციაზე უწყვეტი ზრუნვით, დაეხმაროს მოსწავლეებს მომავალი განვითარების გზის სწორად შერჩევაში. სკოლის ხედვა არ არის კარგად ფორმულირებული, რაც არ მისცემს საშუალებას სასკოლო საზოგადოებას ხედავდეს განსხვავებას არსებულ და სასურველ მდგომარეობას შორის. აღნიშნულიდან გამომდინარე სკოლას მიეცა რჩევა **გადახედოს სკოლის ხედვას, გახადოს მარტივად გასაგები ნებისმიერი მკითხველისთვის, მამოტივირებელი (სასკოლო საზოგადოებისთვის), უნიკალური (არსებული ხედვა არის ზოგადი, რომელიც ნებისმიერ სკოლას მოერგება) და ამბიციური. შესაძლებელია, ხედვაში განსაზღვრული იყოს დროის ის პერიოდი, რომელშიც უნდა განვითარდეს სკოლა. ამასთან ხედვა განსაზღვროს როგორც მისიის ნაბიჯ-ნაბიჯ რეალიზების გზა.** სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები დეკლარირებულია სასკოლო სასწავლო გეგმაში (2023-2024 წწ). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს.**

   სკოლას აქვს პიროვნული ზრდის, სასკოლო თემის წევრებისთვის პოტენციური შესაძლებლობების განვითარების საშუალებები (სკოლის მიერ შემუშავებულია არაფორმალური განათლების მექანიზმები, პროფესიული მხარდაჭერისა და განვითარების ხედვა და მექანიზმი, სკოლაში არის სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის თანამშრომლობის შესაძლებლობები). სკოლის დირექციასთან, პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა საკუთარ თავს განიხილავს, როგორც სოციო-კულტურულ სივრცეს. სკოლის მიერ ჩამოყალიბებული წესები (შიდა დოკუმენტები, სკოლის შინაგანაწესი, დასაქმებულთა ფუნქცია-მოვალეობები და სხვა) აყალიბებს განვითარებაზე ორიენტირებულ სისტემას, სკოლაში არის პოზიტიური თანამშრომლობითი გარემო (რაც დადასტურდა სასკოლო საზოგადოებასთან, პედაგოგებთან გასაუბრებით), რამაც შესაძლოა ხელი შეუწყოს სასკოლო საზოგადოების განვითარებასა და წინსვლას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

   სკოლის მიერ მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის დასადასტურებლად წარმოდგენილი იქნა სკოლის პედაგოგთა შეხვედრის ოქმი (ოქმი N2 6.09.2023წ), მშობელთა კრების ოქმი (ოქმი N2 6.09.2023 წ), პედაგოგიური საბჭოს 2023 წლის 08 სექტემბრის სხდომის ოქმი და სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 08 სექტემბრის სხდომის ოქმი, რომლითაც დასტურდება სასკოლო საზოგადოების მონაწილეობა მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების პროცესში.

   სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის - მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესახებ (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით) ანალიზით დგინდება, რომ სკოლის მიერ განსაზღვრულია მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის ხელშემწყობი მკაფიო მექანიზმები, პროცედურები, რომლითაც ხელშეწყობილი იქნება სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ეფექტური ჩართულობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარებისათვის სკოლის მიერ გამოიყენება გაზიარების შემდეგი მექანიზმები:

ა) მისია, ხედვა და ღირებულებები დეკლარირებულია სასკოლო სასწავლო გეგმაში (2023-2024 წწ სასკოლო სასწავლო გეგმა). სასკოლო სასწავლო გეგმა შემუშავებულია სკოლის დირექტორის მონაწილეობით, შეთანხმებულია სკოლის სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებულია სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ.

ბ) მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია სკოლის ვებ.გვერდზე (skolebi.emis.ge) და სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილზე;

გ) მისია, ხედვა და ღირებულებები გაჟღერებულია სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს ხდომებზე და მშობელთა შეხვედრებზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

   სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია სკოლის ვებ.გვერდზე, სკოლის საინფორმაციო დაფაზე და საჯაროდაა ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.**

   სკოლის სახელწოდება (სსიპ ქ.ფოთის N11 საჯარო სკოლა) შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს („ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ტერმინს - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება/ სკოლა). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა (2023-2024 წწ);
- მშობელთა კრების ოქმი;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომი ოქმი;
- სკოლის ვებ.გვერდი - skolebi.emis.ge;
- სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესახებ დოკუმენტი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

   სკოლას შემუშავებული აქვს მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესახებ დოკუმენტი. რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიული, სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და შემდგომში მათი განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს. წარმოდგენილი დოკუმენტით, იფარება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების საკითხები, მოიცავს სასკოლო საზოგადოებისა და ჩართული მხარეების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

   სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა (რომელიც დამტკიცებულია სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ) არის შვიდწლიანი (2023 - 2030წწ). სტრატეგიული გეგმა არის ციკლური, კერძოდ განსაზღვრულია დოკუმენტის განახლება/მომზადება ყოველ 7 წელიწადში ერთხელ. სტრატეგიული გეგმა განსაზღვრავს სტრატეგიულ მიზნებს და მიზნის მიღწევის გზებს. სტრატეგიულ გეგმაში არ არის გაწერილი სტრატეგიული მიზნის შესრულების კალენდარი/პერიოდი და არ არის განსაზღვრული სტრატეგიული მიზნის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები. სტრატეგიული გეგმა შესაბამისობაშია მისიასთან, ხედვასთან და

ღირებულებებთან, შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. **სკოლას მიეცა რჩევა სტრატეგიულ გეგმაში გაწეროს, სტრატეგიული მიზნების შესრულების ვადები და განსაზღვროს შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**
   სკოლის მიერ წარმოდგენილია 2023-2024 სასწავლო წლის სკოლის განვითარების სამოქმედო გეგმა, რომელიც გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან და დამტკიცებულია სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.**
   სკოლის მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში (2023-2024 წწ) მოცემულია გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც იქნება რეალისტური. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესახებ დოკუმენტი;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა 2023-2030 წწ.;
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2023-2024 წწ.;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს.**

   სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს, კერძოდ აღნიშნულ საკითხებს არეგულირებს დოკუმენტის მე-12 მუხლი, რომლის თანახმადაც სკოლამ სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება უნდა განახორციელოს წელიწადში ერთხელ - ივნისში. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმური მონიტორინგიც. აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე (სამუშაო ჯგუფი იქმნება სკოლის დირექტორის ბრძანებით). სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, მისი განხორციელების შუაში და ბოლოს. სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ნიშნავს მონაცემების შეგროვებას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით, ასევე მოიცავს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენას. შეფასება ნიშნავს შეგროვებული მონაცემების გაანალიზებას და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრას. სამოქმედო გეგმის მონიტორინგისთვის სკოლა იყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს. მონიტორინგის პროცესის დასრულების შემდეგ იწყება შეფასების პროცესი. წლის ბოლოს სტრატეგიული გეგმის შესრულების შედეგები ფორმდება ანგარიშის სახით და წარედგინება სკოლის დირექტორს, რომელიც მიღებულ ინფორმაციას დასამტკიცებლად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

   ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას ამ ეტაპზე სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება, განხორციელებული არ არის, თუმცა სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის ანალიზით და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება სკოლის მზაობა მონიტორინგისა და შეფასების პროცესი იქცეს სასკოლო ცხოვრების განუყოფელ ნაწილად, რომელიც უზრუნველყოფს პროცესების ხარისხიან მიმდინარეობაზე ზედამხედველობასა და მხარდაჭერას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

   ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს. თუმცა სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, სკოლის მზაობა უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის წარდგენა სასკოლო საზოგადოებისათვის, მოახდინოს დეკლარირებული მიზნების მიღწევის შეფასება, გამოწვევების იდენტიფიცირება და პასუხისმგებლობის გაზიარება ამ გამოწვევებთან გამკლავებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილბულია**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.**

   ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას ამ ეტაპზე სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები სკოლას შეფასებული არ აქვს, თუმცა სკოლას აქვს მზაობა სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად

უზრუნველყოს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების გამოყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესახებ დოკუმენტი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული.**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს სკოლის ორგანიგრამა და დამტკიცებული აქვს საშტატო განრიგი, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს კანონთან ზოგადი განათლების შესახებ. ორგანიგრამის მიხედვით სკოლის სტრუქტურული ერთეულებია: უმაღლესი არჩევითი ორგანო - სამეურვო საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დირექცია და ადმინისტრაცია, პედაგოგიური საბჭო და კათედრები, დისციპლინური კომიტეტი. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტში სსიპ - ქალაქ ფოთის N11 საჯარო სკოლის სტრუქტურა

(2023 წლის 8 სექტემბრის ბრძანება N2-252, ცვლილება ბრძანებაში N2-295, 26 სექტემბერი 2023 წელი) განსაზღვრულია სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები. დაწესებულებას აღნიშნულ დოკუმენტში აქვს რიგი შეუსაბამობები. მაგ.,დარაჯის ერთ-ერთ უფლება-მოვალეობად განსაზღვრული აქვს **ვიდეომეთვალყურეობის კამერების მონიტორინგი, რაც სკოლის მანდატურის უფლება-მოვალეობაა და არა დარაჯის (სკოლაში ვიზიტის დროს დადგინდა, რომ რეალურად სამეთვალყურეო კამერების მონიტორინგს ახორციელებს მანდატური). დოკუმენტში ასევე ფიგურირებს საჯარო სკოლის დირექტორის სტანდარტის ძველი (15/ნ . 31.01.2020 წლის) ვერსია. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

დაწესებულებას მიეცა რჩევა გადახედოს შიდა სასკოლო დოკუმენტაციას, მითითებული ძალადაკარგული ნორმატიული საკანონმდებლო აქტები ჩაანაცვლოს მოქმედი საკანონმდებლო აქტებით და გაასწოროს უზუსტობები.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სკოლის ორგანიგრამის, დოკუმენტში „სკოლის სტრუქტურა“ გაწერილი სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია/მოვალეობების, საშტატო განრიგის და მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემების (პერსონალის შესახებ) მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები განაწილებულია, არ ხდება ფუნქცია - მოვალეობების დუბლირება. სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მთლიანობაში სრულად მოიცავს ყველა იმ სფეროსა და არეალს, რომლებიც სკოლის ძირითად საქმიანობას და სტრატეგიული მიზნების შესრულებას უკავშირდება და უზრუნველყოფს სკოლის ძირითად, მმართველობით და დამხმარე პროცესების მართვას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ორგანიგრამა;
- საშტატო განრიგი;
- სსიპ ქალაქ ფოთის N11 საჯარო სკოლის სტრუქტურა (2023 წლის 8 სექტემბრის ბრძანება N2-252 , ცვლილება ბრძანებაში N2-295, 26 სექტემბერი 2023 წელი) ;
- სტრატეგიული გეგმა.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.

სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის: სკოლის წესდების, ეროვნული სასწავლო გეგმის, შინაგანაწესის და სკოლის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტისა (ბრძანება N2-253, 8 სექტემბერი, 2023 წელი. ცვლილება ბრძანებაში N2-294, 26 სქტემბერი, 2023 წ.) და პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად. სკოლის შინაგანაწესი არეგულირებს უსაფრთხოებისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელ ნორმებს, შრომითი ურთიერთობის წარმოშობასა და შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა/საბოლოო ანგარიშსწორებას, სამუშაო და დასვენების დროს და შრომის ანაზღაურების პირობებს, შვებულების ხანგრძლივობასა და მიცემის წესს, წახალისებას და დისციპლინურ პასუხისმგებლობის სახეებს. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით რეგულირდება ახალი თანამშრომლის-მასწავლებლის აყვანა (შესაბამისობაშია მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №174/ნ - თან. 20 აგვისტო, 2019 წ), პერსონალის შეფასების ზოგადი პოლიტიკა, თანამშრომლის ახალ გარემოში ადაპტაციის ხელშეწყობა. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მ/შ-ს მიერ **(და არა სამურვო საბჭოს მიერ),** მოცემულ შემთხვევაში „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 31 აგვისტოს N785 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტთან შეუსაბამობა არ დგინდება, ვინაიდან სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელსა და სამეურვეო საბჭოს შორის არ არის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება, ამასთან ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის თანახმად სამეურვეო საბჭოს ფუქნციას არ მიეკუთვნება ზემოხსენებული დოკუმენტის დამტკიცების უფლებამოსილება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

სკოლა საწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით მიმართავს პრევენციულ და ინტერვენციულ ღონისძიებებს. კერძოდ, მასწავლებლის სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევაში ხდება მისი იმავე საგნობრივი ჯგუფის სხვა მასწავლებლით ჩანაცვლება და საგაკვეთილო ცხრილის მოდიფიცირება. მასწავლებელთა შეცვლა-გაცვლას დაწესებულება აკონტროლებს ჩანაწერებით, სპეციალურად ამისთვის გამოყოფილ ჟურნალში. ამავდროულად მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულების ერთ-ერთი პუნქტით დასაქმებულის

ვალდებულებაა შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ სხვა მასწავლებლის მიერ გაკვეთილის გაცდენისას ჩაატაროს შესაბამისი გაკვეთილი. სკოლის შინაგანაწესის თანახმად ახალი კადრის შერჩევისას სკოლა არასასურველი შედეგის პრევენციის მიზნით საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან ერთად ითვალისწინებს მის პიროვნულ თვისებებს და ცნობებს ნასამართლეობის შესახებ (მხოლოდ მასწავლებლებზე) და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ. სკოლის შინაგანაწესი ითვალისწინებს პერსონალის წახალისების და გადაცდომის და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებს. **სკოლას მიეცა რჩევა - გაწეროს პრევენციული და ინტერვენციული მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

სკოლა აცნობიერებს, რომ წარმატება, პირველ რიგში, დამოკიდებულია მის აკადემიურ პერსონალზე, ამიტომ მისთვის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა კვალიფიციური კადრების მოზიდვა/დასაქმება/შენარჩუნება. სკოლა პრაქტიკულად მასწავლებლის ვაკანტურ პოზიციაზე კადრის შერჩევის პროცდურას (ვაკანსიის გამოცხადება, კონკურის მოწყობა) ახორციელებს კანონმდებლობის სრული დაცვით. რაც შეეხება ადმინისტრაციულ პერსონალს სკოლას არ აქვს **შემუშავებული მისი შერჩევისა და დასაქმების წესი. პერსონალის პირადი საქმეების გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ პერსონალის ნაწილს (2020 წლის შემდეგ დასაქმებულ პირებს) არ ჰქონდათ წარმოდგენილი საქართველოს კანონით ზოგადი განათლების შესახებ (მუხლი 33 [1] - ით პერსონალისთვის დადგენილი შეზღუდვა) განსაზღვრული ცნობები „სქესობრივი თავისუფლების და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ და საქართველოს მთავრობის N463 დადგენილებით განსაზღვრული ცნობა „უფლების ჩამორთმევის შესახებ“.** სკოლაში ვიზიტის დროს ყველა დასაქმებული, ვისაც სრულად არ ჰქონდა წარმოდგნილი ცნობები სხვადასხვა კატეგორიის ნასამართლობის შესახებ ან/და წარმოდგენილი ჰქონდა ქსეროასლები დარეგისტრირდა შესაბამის სამსახურში ცნობების ასაღებად. სკოლას განსაზღვრული არ აქვს სკოლის **პერსონალისთვის „უფლების ჩამორთმევის შესახებ“ ცნობის წარმოდგენის ვალდებულება.**

სკოლას 2022 **წელს უსტატუსო მასწავლებელთან აქვს შრომითი ხელშეკრულება გაფორმებული, ხელშეკრულება მოქმედებს კონკურსის გზით შესაბამისი კადრის შერჩევამდე, ხელშეკრულების გაფორმების სამართლებრივ საფუძვლად მითითებულია მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის (საქართველოს მთავრობის დადგენილება N 241 23.05.20219 წ) 38-ე მუხლი, რომელიც ვრცელდებოდა სქემაში განაწილებულ პრაქტიკოს მასწავლებელთან გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულების მიმართ და აღნიშნული ნორმა ვერ გავრცელდება 2022 წელს მიღებულ უსტატუსო მასწავლებელზე, შესაბამისად მოცემულ შემთხვევაში სკოლას უნდა ეხელმძღვანელა მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება N 174/ნ 20.08.2019) მე-13 მუხლით დადგენილი გამონაკლისი დებულებებით. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე უსტატუსო მასწავლებელთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება შეუსაბამოა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.**

დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა იმ დასაქმებულთა ცნობები სხვადასხვა კატეგორიის ნასამართლობის შესახებ, რომლებსაც ვიზიტის დროს არ ჰქონდათ წარმოდგენილი ცნობები.

სკოლამ განსაზღვრა სკოლის პერსონალისთვის „უფლების ჩამორთმევის შესახებ“ ცნობის წარმოდგენის ვალდებულება, ასევე ადმინისტრაციული პრსონალის შერჩევისა და დასაქმების წესი და წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი -

დამტკიცებული სკოლის დირექტორის 2023 წლის 07 ნოემბრის N 2-335 ბრძანებით, რომლშიც ასახა როგორც ადმინისტრაციული პერსონალის შერჩევისა და დასაქმების წესი, ასევე სკოლის პერსონალისთვის „უფლების ჩამორთმევის შესახებ“ ცნობის წარმოდგენის ვალდებულება.

რაც შეეხება უსტატუსო მასწავლებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებას სკოლამ წარმოადგინა შეთანხმება შრომით ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ, რომლითაც გასწორებულია ხელშეკრულების გაფორმების სამართლებრივი საფუძველი, ხელშეკრულებაში გასასწორებელი რჩება ხელშეკრულების მოქმედების ვადა. სკოლას მიეცა რჩევა ხელშეკრულებაში მიუთითოს: დასაქმებულის სკოლის მასწავლებლად, მიღების პირობად - 2 წლის ვადაში საგნის გამოცდის ჩაბარება და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დისტანციური კურსის გავლა. შესაბამისად შრომითი ხელშეკრულებაც გაფორებული უნდა იყოს ორი წლის ვადით აღნიშნული პირობის შესრულების ვალდებულებით და არა კონკურსის წესით მასწავლებლის შერჩევამდე. აღნიშნულის და 3.1.2.4 ინდიკატორის (იხ. აღწერილობა) გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფმა კომპონენტის შეფასება არ შეესაბამება შეცვალა შესაბამისობით.

4.პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.

სკოლაში დასაქმებულია 52 თანამშრომელი. მათგან საგანმანათლებლო საქმიანობას ეწევა 38 მასწავლებელი (31 უფროსი, 1 წამყვანი, 1 მაძიებელი და 3 უსტატუსო, 2 სპეციალური მასწავლებელი), ადმინისტრაციულ თანამდებობაზეა: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, საქმის მწარმოებლი, ფსიქოლოგი, საინფორმაციო მენეჯერი, ბიბლიოთეკარი, მტუკი, 3 დამლაგებელი, 3 დარაჯი. დაწესებულებას განსაზღვრული ჰქონდა მასწავლებლების საკვალიფიკაციო მოთხოვნები. პირადი საქმეების გადამოწმებით დადგინდა, რომ მასწავლებლების კვალიფიკაცია შეესაბამებოდა დაკავებულ თანამდებობას გარდა ერთი მასწავლებლისა (ჯ.ხ), რომელიც ასწავლის სპორტს და კვალიფიკაცია მინიჭებული აქვს საფინანსო საბანკო საქმეში. აღნიშნულ მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულება კანონმდებლობის მოთხოვნებთნ შესაბამისობაშია მოსაყვანი (იხ. ინდიკატორი 3.1.2.3). **რაც შეეხება ადმინისტრაციას, მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრული არ იყო შესაბამისად ვერ შეფასდა** თუ რამდენად შეესაბამებოდა პერსონალის კვალიფიკაცია დაკავებულ თანამდებობას.

ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული ადმინისტრაციის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა სკოლის სტრუქტურის დამტკიცების შესახებ ბრძანება (ბრძანება N2-334. 7 ნოემბერი, 2023 წელი), რომელშიც გაწერილია **ადმინისტრაციის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ინდიკატორი დაკმაყოფილდა.**

5.პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასწავლებლის შერჩევის პროცედურა (კომისიის შექმნა გასაუბრება, გადაწყვეტილების მიღება), პედაგოგიური საბჭოს, კათედრების და მრჩეველთა საბჭოს ოქმები, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცების პროცედურა ამტკიცებს, რომ სკოლაში დამკვიდრებულია მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპები. სკოლაში არის გაზიარებული ლიდერობა **და** სკოლის მართვა ხორციელდება უფლებამოსილების დელეგირების და თანამონაწილეობითი მართვის პრინციპებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6.სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია, რომ სკოლა ახდენს მასწავლებელთა წარმატებული გამოცდილების აღიარებას და ითვალისწინებს წახალისების მექანიზმებს, როგორიცაა: მადლობის სიგელი, პრემირება. წარმატებული გამოცდილების გაზიარება ხორციელდება კათედრის

სხდომებზე და პედაგოგიურ საბჭოზე. სკოლაში ფუნქციონირებს მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფები, რომლებიც ასევე წარმატებით უზიარებენ ერთმანთს გამოცდილებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფების შეხვედრის ანგარიშები;
- მასწავლებლთა სასწავლო ჯგუფების შეხვდრისოქმები;
- პერსონალის პირადი საქმები;
- მართვის სინფორმაციო სისტემის მონაცმები;
- მასწავლებელთა შეცვლა-გაცვლის ჟურნალები;
- მართვის საინფორმაციო სისტმის მონაცემები;
- მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები.

დაწესებულება, აცნობიერებს რა პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების მნიშვნელობას, გეგმავს სისტემატურად აწარმოოს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასება, რათა უზრუნველყოს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირება. სკოლაში პერსონალის შეფასებას ახორციელებს უშუალო ხელმძღვანელი გასაუბრებით, შემთხვევების ანალიზით, სამუშაოს სტანდარტებთან მიმართებით. მასწავლებელთა შეფასება ხორციელდება საგაკვეთილო პროცესზე დასწრებით, რომელსაც ახორცილებს ერთის მხრივ პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარიხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი სკოლის მიერ შემუშავებული დებულების (ბრძანება N2-15, ხარიხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების დამტკიცების თაობაზე. 29 იანვარი, 2021 წელი) შესაბამისად და მეორეს მხრივ სკოლაში მოქმედი კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად

პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარიხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებით განსაზღვრულია სასწავლო პროცესში მასწავლებლებზე დაკვირვებისა და შეფასების საფუძველზე მასწავლებელთა საჭიროებებს დაფუძნებული აქტივობების დაგეგმვა და წარმართვა. მასწავლებლები, საჭიროებიდან გამომდინარე ესწრებიან მასწავლებელთა სახლის მიერ ორგანიზებულ ტრენინგსა და ვებინარებს. რაც შეეხება ადმინისტრაციულ პერსონალს მათი სიახლეებით ინფორმირებაზე ზრუნავს უშუალო უფროსი ან/და დირექცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

სკოლაში დასაქმებული პედაგოგები ჩართული არიან კარიერული დაგეგმვის და წინსვლის სქემაში, მასწავლებელთა პირადი საქმეებით დასტურდება, რომ ისინი ესწრებიან პროფესიული განვითარების ტრენინგებს და მათ ამაში ხელს უწყობს სკოლა ახალი ინფორმაციის მიწოდებით და ტრენინგებზე რეგისტრაციაში დახმარების გზით. პედაგოგთა პირადი საქმეებით დასტურდება, რომ მასწავლებლებმა იცვალეს სტატუსი. პედაგოგთა კარიერული განვითარება რეგულირდება „მასწავლებლის: პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის №241 დადგენილებით. სკოლა ასევე ხელს უწყობს დაწყებითი კლასების მასწავლებლებს დაწყებითი განათლების პროგრამაში ჩართულობასა და მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფებს სამუშაო შეხვედრების ორგანიზებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4.სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (ბრძანება N2-253, 8 სექტემბერი, 2023 წელი), სადაც მე-18 მუხლით განსაზღვრულია ახალი თანამშრომლის სოციალიზაცია-ადაპტაციისათვის პროცედურები: გაცნობითი შეხვედრა სკოლის დირექციასთან და სკოლის შესახებ ძირითადი ინფორმაციის მიღება შიდა ნორმებისა და რეგულაციების შესახებ, ახალი თანამშრომლის წარდგენა კათედრაზე, პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე/მასწავლებელთა თათბირზე, პედაგოგის დამატება სკოლის

თანამშრომელთა დახურულ სოციალურ ჯგუფებში. სკოლის მხრიდან თანამშრომლის ინტეგრაციის ხელშეწყობის ფაქტი დაადასტურეს სკოლის მასწავლებლებმა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა გასაუბრების დროს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

სკოლაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. წერილობითი სახით დოკუმენტი, რომლიც დაარეგულირებს პერსონალის ინიციატივების წახალისების პროცესს გარდა შინაგანაწესისა და ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტისა, რომლებიც განსაზღვრავენ პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის დასაქმებულის მიმართ წახალისების ფორმებს არ არსებობს. სკოლას მიეცა **რჩევა შეიმუშაოს წესი/მექანიზმი, რომელიც დაეხმარება პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისებაში** . **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მასწავლებელთა ხარიხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დბულება (ბრძანება N2-15, ხარიხის განვითარებსა და პროფსიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების დამტკიცების თაობაზე. 29 იანვარი, 2021 წელი);
- მასწავლებლთ პირადი საქმეები;
- კათედრის ოქმები;
- მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფების შეხვედრების ანგარიშები;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (ბრძანება N2-253, 8 სექტემბერი, 2023 წელი);
- შინაგანაწესი;
- კათედრის ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად

სკოლის მიერ წარმოდგენილი ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში აღწერილი ხარისხის უზრუნველყოფის პროცესთან დაკავშირებული საკითხები არის არათანმიმდევრული, პროცესთან შეუსაბამო და საჭიროებს დაზუსტებას. არ არის გაწერილი შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკების, წესების და პროცედურების შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების კონკრეტული მექანიზმები. წარმოდგენილი დოკუმენტი არ ითვალისწინებს აღნიშნულ პროცესებში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას, მათ შორის მშობლების. **შესაბამისად ვერ უზრუნველყოფს პროცესების მართვას ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად.** არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2023 წლის 7 ნოემბრის N 2-333 ბრძანებით განსაზღვრული ხარისიხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც უზრუნვლყოფს პროცესების მართვას ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად. ინდიკატორი დაკმაყოფილდა.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

წერილობითი სახით დოკუმენტი, რომლშიც იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები, სკოლას შემუშავებული არ აქვს, თუმცა ზემო აღნიშნული პროცესები წარმოდგენილია სკოლის რეგულაციებში: შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, კათედრების დებულება, ბიბლიოთეკის დებულება, ლაბორატორიის დებულება, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება. თითოეულ ზემოთ ჩამოთვლილ დოკუმენტში გაწერილია შესაბამისი საქმიანობის აღმწერი პროცესები. დოკუმენტში სკოლის სტრუქტურა (ბრძანება N2-252, ცვლილება ბრძანებაში N2-295, 26 სექტემბრი 2023 წელი) აღწერილია სკოლის

სტრუქტურული ერთეულებისა და ცალეკულ პოზიციებზე დასაქმებული პირების ვალდებულებები მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებთან მიმართებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშაოს **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების მაიდენტიფიცირებელი და აღმწერი ერთიანი დოკუმენტი**

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა.

დაწესებულების შინაგანაწესის 27-ე მუხლით დადგენილია, რომ დასაქმებულთა (გარდა მასწავლებლების) დისციპლინურ გადაცდომებს განიხილავს სკოლის დირექტორი და სკოლის დირექტორის გადაწყვეტილებით დასაქმებულთა დისციპლინური გადაცდომა შეიძლება განიხილოს დისციპლინურმა კომიტეტმაც, რაც შეეხება მასწავლებლებს - დისციპლინური გადაცდომების განხილვაზე უფლებამოსილია დისციპლინური კომიტეტი. მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მიზნით სკოლას ასევე შემუშავებული აქვს დოკუმენტი „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა“ (ბრძანება N2-271, 15 სექტმბერი, 2023 წელი), რომლითაც დაზუსტებულია სკოლაში მოსწავლის ან მოსწავლის მშობლის/მეურვის მიერ სკოლის მხრიდან მათი კანონიერი უფლებების დარღვევის გასაჩივრების და სკოლაში პერსონალის მიერ სკოლის მხრიდან მათი კანონიერი უფლებების დარღვევის გასაჩივრების წესი, დოკუმენტს თანადართული აქვს განცხადების ფორმები (მოსწავლის, მშობლის, სკოლაში დასაქმებულის განცხადება სამეურვეო საბჭოს და დირქტორის სახელზე). სკოლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც გამოიცემა ბრძანების სახით შეიცავს გასაჩივრების ვადას და ადგილს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

სკოლას პერსონალთან და მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება, სადაც გაწერილია მათი უფლება-მოვალეობები. პერსონალთნ გაფორმებული ხელშეკრულებების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია შინაგანაწესი რაც განაპირობებს შინაგანაწესის გაცნობას. სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმენტით „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა“ (ბრძანება N2-271, 15 სექტემბერი, 2023 წელი) განსაზღვრულია სასკოლო საზოგადობისათვის სკოლის მარეგულირებელი აქტების და სასკოლო საზოგადოების უფლება-მოვალეობების გაცნობის ფორმები, ვადები, პასუხისმგებელი პირები და მტკიცებულებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი (ბრძანება N2-298, 26 სექტმბრი, 2023 წელი);
- შინაგანაწესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- კათედრების დებულება, ბიბლიოთეკის დებულება;

- ლაბორატორიის დებულება;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- სკოლის სტრუქტურა;
- მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა (ბრძანება N2-271, 15 სექტმბერი, 2023 წელი);
- ხელშეკრულებები.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლა მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების სხვადასხვა მექანიზმს იყენებს. საზოგადოებასთან ეფექტიანი კომუნიკაციისათვის სკოლას შემუშავებული აქვს „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“, რომლის ერთ-ერთი მიზანიცაა ინფორმაციის საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, უკუკავშირის მიღება და გაანალიზება. დაწესებულებისთვის კომუნიკაციის ძირითად საშუალებას წარმოადგენს სკოლის ოფიციალური ვებ-გვერდი, ელექტრონულ ფოსტა: poti11@mes.gov.ge, სოციალური ქსელი https://www.facebook.com/Poti11.Public.School?mibextid=ZbWKwL, თიმსის პლატფორმა და ასევე დამრიგებლებისა და სკოლის დირექციის მიერ ჩატარებული პირისპირ შეხვედრები სასკოლო საზოგადოებასთან. სკოლა გეგმავს საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში მიღებული უკუკავშირის შედეგები გამოიყენოს საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად, რისთვისაც განხორციელდება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებით მიღებული შეკითხვების, ინიციატივებისა და შენიშვნების ანალიზი, რომელიც გამოყენებული იქნება შემდგომი განვითარებისათვის. განსაზღვრულია უკუკავშირის ანალიზზე პასუხისმგებლი პირები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.**

სკოლის უმაღლესი არჩევითი ორგანოა სამეურვო საბჭო, რომლის შემადგენლობაშიცაა სასკოლო საზოგადოება (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი) და რომელიც განიხილავს და/ან ითანხმებს და/ან ამტკიცებს სკოლის მმართველობით საკითხებთან დაკავშირებულ საკითხებს. დისციპლინურ გადაცდომებთან მიკუთვნებულ საკითხებს განიხილავს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც ასევე სასკოლო

საზოგადოების წარმომადგენლებით (მასწავლებელი, მშობელი, მოსწავლე) არის დაკომპლექტებული. მოსწავლეთა თვითმმართველობას - მოსწავლეთა არჩევით ორგანოს ჰყავს თავისი წარმომადგენელი სამეურვეო საბჭოში და დისციპლინურ კომიტეტში შესაბამისად მოსწავლეების ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში უზრუნველყოფილია, სკოლაში მოქმედი კათედრები და პედაგოგიური საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები მის პასუხისმგებლობის სფროში არსებულ საკითხებთან დაკავშირებით. მეორე უცხოური ენის სწავლებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებენ მშობლები სკოლის მიერ ასარჩევად შეთავაზებული საგნებიდან (მტკიცებულებად წარმოდგენილია მე-4 კლასის მშობელთა კრების ოქმი). ყოველივე ზემოთქმული ადასტურებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას სკოლის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმი;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი დისციპლინურ კომიტეტის არჩევასთან დაკავშირებით;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების თარიღი განსაზღვრის თაობაზე ;
- მე-4 კლასის მშობელთა კრების ოქმი მეორე უცხოური ენის არჩევასთან დაკავშირებით;
- საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი (ბრძანება N2-302, 26 სექტემბერი, 2023 წელი).

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას**

დასკვნის პროექტში მითითებული იყო „სკოლის ტერიტორია სრულად არ არის შემოსაზღვრული ღობით და შესაბამისად არ არის დაცული გარეშე პირთაგან. თუმცა შეზღუდულია ეზოში ავტომობილების გადაადგილება. სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური წარმოდგენილი - 2 მანდატურით. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავს სკოლაში ფიზიკურ უსაფრთხოებას მიკუთვნებულ საკითხებს, ხოლო სკოლა 06/ნ ბრძანების შესაბამისად პრევენციისათვის პერიოდულად ორგანიზებას უწევს საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიას მოსწავლეებისთვის და მშობლებისათვის. სკოლის დაცვას უზრუნველყოფს 3 დარაჯი. სკოლაში დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ვალდებულია განახორციელოს სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების ტექნიკური რეგლამენტითა და სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ საქართველო კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები (ბრძანება N2-246, 5 სექტემბერი 2023 წ). მოსწავლეების საგაკვეთილო დროიდან გათავისუფლება ხდება მშობელთან შეთანხმებით და იწარმოება მოსწავლის მიერ სკოლის დატოვების და სკოლაში დაბრუნების აღრიცხვა. დამრიგებლის ფუნქციაა მშობლის მყისიერი ინფორმირება მოსწავლის დაგვიანების და/ან არ გამოცხადების შესახებ. დირექტორს ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს უკონტაქტო ზდაპირულ დათვალიერებაზე უფლებამოსილი პირები (ბრძანება N2 - 290, 26 სექტემბერი, 2023წ. და ბრძანება N2-292, 26 სექტემბერი, 2023 წ). სკოლას აქვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება N41/ნ/01-23/ნ მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვილი ექიმის კაბინეტი. ყოველ სართულზე სასწავლო პროცესის განმავლობაში არის მორიგე მასწავლებელი, განრიგი გამოკრულია თვალსაჩინოდ. სკოლამ წარმოადგინა 2023 წლის 20 ივლისის მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრაზე, მასში გაცემული რეკომენდაციების შესრულების ვადები განსაზღვრულია 2024 წლის 30 მარტამდე. ვიზიტის პერიოდში სკოლის განმარტებით, სკოლას ვალდებულებების ნაწილი გეგმის შესაბამისად განხორციელებული ჰქონდა. **სკოლას არ ჰქონდა:**

ა) გაწერილი პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

ბ) შსს სსდ-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული და დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;

გ) დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ .

სკოლას მიმდინარე წლის 23 ივლისს დაწყებული აქვს კომუნიკაცია სსიპ - ლვან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან შენობის ტქნიკური მდგომარეობისა და მის შესაბამისად შენობის ექსპლოატაციის უსაფრთხოების განსაზღვრისა და შენობის ტექნიკური მდგომარეობის (მდგრადობის) შეფასების მიზნით. უკვე განხორციელდა შენობის შეფასება შესაბამისი უწყების მხრიდან და სკოლას მოუვიდა შეტყობინება გაწეული მომსახურების საფასურის გადახდის შესახებ, რის შემდეგაც 21 აგვისტოს სკოლამ დაიწყო კომუნიკაცია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან საჭირო ფინანსების გამოყოფის თაობაზე.

სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. შესაბამისად მიეცა რჩევა უზრუნველყოს შესაბამისი კვალიფიკაციის კადრის დასაქმება. „

არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა: ა)სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს წერილი N5005228223 და თანადართული დასკვნა N 005724123, რომლის მიხედვითაც „ნაგებობა N1 და N2 -ის ტექნიკური მდგომარეობა - მდგრადობა ვიზუალური დათვალიერებით დამაკმაყოფილებელია"; ბ) პირვლადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები (ბრძანება N2-332. 7.11.2023 წ.). შესაბამისობის უზრუნვლყოფის გეგმით განსაზღვრა სკოლის ტერიტორიის სრულად შემოღობვა 15.11.2023-15.11.2024 წწ. პერიოდში და 1.11.2023-1.11.2024 წწ. პრიოდში შსს სსდ-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება და დამტკიცება. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და 3.4.1.5 ინდიკატორის გათვალისწინებით (იხ. 3.4.1.5 ინდიკატორი აღწერა) შეცვალა კომპონენტის შეფასება შეუსაბამოა მეტწილი შესაბამისობით. სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში უზრუნველყოს სკოლის ტერიტორიის სრულად შემოღობვა და შსს სსდ-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეათანხმოს და დაამტკიცოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

2. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესითა და პირობებით". აღნიშნული ბრძანების შესაბამისად სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს საქმიანობას. სკოლა უზრუნველყოფს სკოლაში უცხო პირთა გადაადგილების აღრიცხვას, რისთვისაც აწარმოებს შესაბამის აღრიცხვის ჟურნალს. სკოლაში გამოვლენილ დარღვევებზე ხდება შესაბამისი რეაგირება, სკოლას ემსახურება 2 მანდატური. სართულების მიხედვით მორიგეობენ მასწავლებლები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლაში 6 სსსმ მოსწავლესთან მუშაობს 1 სპეციალური მასწავლებელი, 1 სსსმ მოსწავლის ასისტენტი და 1 ფსიქოლოგი. „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილების შესაბამისად, სკოლაში განსაზღვრულია რეფერირების განხორციელების პროცედურები-დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია (ბრძანება N2-126, 30 მაისი 2023 წელი) ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) შიდა ინსტრუქცია განსაზღვრულია რეფერირების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი. სადამრიგებლო საათზე მასწავლებლები მოსწავლეებთან განხილავენ თემებს: ბავშვის უფლებები, წესები ჩვენს ირგვლივ, რა არის მეგობრობა? ძალადობრივი და არაძალადობრივი ქმდებების გარჩევა და სხვა. სკოლის პრაქტიკაა სასკოლო პროექტების განხორციელება ჯანსაღ ცხოვრებაზე, ემპათიურ დამოკიდებულებებზე. სკოლაში პირადი ინფორმაციის დაცვასთან და კიბერ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით მოსწავლეთა ინფორმირების მიზნით, სამოქალაქო განათლებისა და ისტ-ის მასწავლებელთა თანამშრომლობით იგეგმება სხვადასხვა აქტივობა. მაგ, პროექტი, რომლის ფარგლებშიც დამზადდება საინფორმაციო ბროშურები/პოსტერები. ინფორმაციის გავრცელების მიზნით მოეწყობა საპრეზენტაციო და საინფორმაციო შეხვედრები სასკოლო თემთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4.სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

დაწესებულების ჰიგიენური ნორმების დაცვას უზრუნველყოფს 3 დამლაგებელი. სკოლას გაფორმებული აქვს შესყიდვის ხელშეკრულება ჰიგიენური საშუალებების შეძენაზე. ჰიგიენური საშუალებები დაცულია სპეციალურად ამისთვის განსაზღვრულ ოთახში, რომელიც ნიავდება ბუნებრივი გზით სველ წერტილებში დაცულია ჰიგიენური ნორმები, არის საპონი, ხელსახოცი, ურნა. სკოლას წყალი მიეწოდება შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისგან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5.სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლა პერსონალურ მონაცმების დაცვას უზრუნველყოფს 2021 წლის 16 თებრვლის N2-22 ბრძანებით განსაზღვრული პრსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმების შესაბამისად. აღნიშნული მექანიზმებით განსაზღვრულია მონაცმთა დაცვის პრინციპები და სასკოლო საზოგადოების და სკოლაში ვიზიტორთა შესახებ შესაგროვებელი/დასამუშავებლი ინფორმაციის ნუსხა, დამუშავებული პერსონალური ინფორმაციის გამოყენების მიზანი და სკოლის ვალდებულება მოპოვებულ და დამუშავებულ ინფორმაციის დაცვასთან დაკავშირებით, პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლებამოსილი პირები და მათი ვალდებულებები. დირექტორის მიერ ბრძანებით განსაზღვრული პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი (ბრძანება N2-21, 16 თებერვალი, 2021 წ), რომლის ვლდებულებებიც ამავე დოკუმენტითაა განსაზღვრული. განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში პირადი ინფორმაციის დაცვასთან დაკავშირებით მოსწავლეთა ინფორმირების მიზნით, სამოქალაქო განათლებისა და ისტ-ის მასწავლებელთა თანამშრომლობით იგეგმება პროექტი, რომლის ფარგლებშიც დამზადდება საინფორმაციო ბროშურები/პოსტერები. ინფორმაციის გავრცელების მიზნით მოეწყობა საპრეზენტაციო და საინფორმაციო შეხვედრები სასკოლო თემთან.

დასკვნის პროქტში მითითებული იყო „სკოლაში ვიზიტისას დაფიქსირდა, რომ მოსწავლეთა და მასწავლებელთა პირადი საქმეები განთავსებულია ღია კარადაში, არ არის **დაცული მესამე პირის უნებართვო წვდომისგან. მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით,**

მნიშვნელოვანია სკოლამ უზრუნველყოს მონაცემთა დაცულობა იმგვარად, რომ მინიმუმადე იქნას დასული ინციდენტით გამოწვეული რისკები. მოსწავლის მობილობის შემთხვევაში მოსწავლის პირადი საქმე ფოსტით გადაეგზავნება მიმღებ სკოლას.“

შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით სკოლამ 30.09.2023-25.12.2023 წწ პერიოდში განსაზღვრა აღნიშნული ხარვეზის გამოსწორება და წარმოადგინა ინდმწარმესთან გაფორმებული ხელშეკრულება ავეჯის დამზადების თაობაზე. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია და 3.4.1.1 ინდიკატორის (იხ. აღწერა) გათვალისწინებით შეცვალა კომპონენტის შეფასება შეუსაბამოა მეტწილი შესაბამისობით. სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში უზრუნველყოს პირადი საქმეების დაცვა მესამე პირის უნებართვო წვდომისგან.

6.სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს, ახორციელებს დასაქმებულ პირთა, მოსწავლეებისა და მშობლების ინფორმირებას ინფორმაციული უსაფრთხოების არსსა და მნიშვნელობაზე. სკოლა და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა უზრუნველყოფენ ელექტრონული ინფორმაციის დაცვას არაავტორიზებული წვდომისა და დაზიანებისაგან, ასევე მონაცემთა ბაზების იმგვარ ადმინისტრირებას, რომ ინფორმაცია ყველა მოსწავლეს, მის მშობელს/კანონიერ წარმომადგნელს და აკადემიურ პერსონალს მიეწოდოს ინდივიდუალურად. პირად ინფორმაციაზე წვდომის უფლება შეზღუდულია და განსაზღვრულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმების“ მე-14 მუხლით. აღნიშნული მუხლი არეგულირებს პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირებსა და მათი უფლებამოსილებას. კერძოდ, სკოლაში დამუშავებულ მონაცემებზე წვდომა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შესაძლებელია ჰქონდეს: დირექტორს, დირექტორის მოადგილეს, საქმისმწარმოებელს, საინფორმაციო მენეჯერს, ბუღალტერს, დამრიგებელს, მასწავლებელს, დარაჯს და ექიმს. განსაზღვრულია თითოეული მათგანის წვდომის არეალი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

7.სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში შეისწავლის სკოლაში უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებს და გასცემს რეკომენდაციებს, ისმენს დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით და შედეგებს ითვალისწინებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების გასაუმჯობსებლად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- უცხო პირთა და სკოლის სტუმართა აღრიცხვის ჟურნალი;
- მოსწავლის სკოლიდან გათავისუფლების ფორმა;
- ბრძანება უკონტაქტო ზდაპირულ დათვალიერებაზე უფლებამოსილი პირები (ბრძანება N2 - 290, 26 სექტემბერი, 2023წ. და ბრძანება N2-292, 26 სექტემბერი, 2023 წ) შესახებ;

- 2023 წლის 20 ივლისის მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრაზე;
- ექიმთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- სამედიცინო კაბინეტის ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- 2019 წლის 17 იანვრის ბრძანება უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრ შესახებ;
- წერილი MES 3 23 0001016654 ქალაქ ფოთის საგანმანათლებლო რესურსცენტრისთვის გაგზავნილი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანხის გამოყოფაზე შუამდგომლობა ;
- სკოლის ციფრული განვითარების გეგმა;
- მრჩეველთა საბჭოს სხდომების ოქმები;
- სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის ბრძანება N2-246, 5 სექტემბერი 2023 წ;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების** ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

დაწესებულება მდებარეობს ქალაქ ფოთში, შავი ზღვის N6 - ში. დაზუსტებული ფართობია 9813.00 კვ.მ. განაშენიანების ფართი შენობების მიხედვით არის: N1- 1373.3 კვ.მ, N2 303.5 კვ.მ, N3- 76.9კვ.მ და N4 - 32.7კვ.მ. (საკადასტრო კოდი N04.01.01.468). სკოლის შენობა სამსართულიანია. სულ საკლასო ოთახების რაოდენობაა 28. სკოლაში საბაზო და საშუალო საფეხურზე სწავლების კაბინეტური სისტემაა და შესაბამისად საკლასო ოთახები ნაწილდება ასე: 8 საკლასო ოთახი მიკუთვნებული აქვს დაწყებით კლასებს, 3 საკლასო ოთახი-ქართული ენისა და ლიტრატურის კაბინეტს, 3 - მათემატიკის კაბინეტს, 4 - უცხოური ენების კაბინეტს, თითო-თითო ოთახი აქვთ ისტორიის, სამოქალაქო განათლების, გეოგრაფიის, ბიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის, საბუნებისმეტყველო მცნიერებების და კომპიუტერული ლაბორატორიებს. სკოლაში არის სამასწავლებლო, დირექტორის, ადმინისტრაციის, ბუღალტრის ოთახები, სველი წერტილები გოგონების, ვაჟების და პერსონალისათვის (გოგონებისთვის 2, ვაჟებისთვის - 4, პერსონალისთვის-1). სკოლაში არის სპორტული და სააქტო დარბაზები, ეზოში სივრცე სპორტული მოედნისათვის. ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტაციით დასტურდება საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობისთვის აუცილებელი სხვადასხვა მომსახურებისა თუ რესურსის შეძენის საკითხი, შესაბამისი ფინანსური ხარჯები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2.დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის

სკოლის ინფრასტრუქტურა და მატრიალური რესურსები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისათვის. კომპიუტერები და პრინტერები განთავსებულია სამასწავლებლოში, ბიბლიოთეკაში, კომპიუტერულ კლასში. სკოლას გააჩნია მხატვრული და გრიფირებული სახელმძღვანელოების ფონდი, რომელიც განთავსებულია ბიბლიოთეკის საცავში. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და ერთწლიანი სამუშაო გეგმა, ბიბლიოთეკაში წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, აღრიცხულია და განლაგებულია თაროებზე კატალოგის მიხედვით. ლაბორატორიაში დაცულია მოსწავლეთა უსაფრთხოების ზომები. ბიბლიოთეკასა და ლაბორატორიაში ქცევის წესები განთავსებულია ყველასთვის ხელმისაწვდომად, გაწერილია სამუშაო საათები და აღჭურვილია ინტერნეტით. რესურს-ოთახში წარმოდგენილი მატერიალური რესურსი განკუთვნილია სსსმ მოსწავლეებისთვის. მასწავლებლებისათვის განკუთვნილი სამასწავლებლო და საგნობრივი კაბინეტები შესაბამისი ინვენტარით და მატერიალური რესურსით (პრინტერი, კარტრიჯი, საკანცელარიო საქონელი)

ხელმისაწვდომია პედაგოგებისთვის. ადმინისტრაციული-ტექნიკური პერსონალისთვის საკუთარი ფუნქცია-მოვალეობების შესასრულებლად საჭირო რესურსი - კაბინეტები, კომპიუტერები, პრინტერები, საკანცელარიო საქონლით და შესაბამისი ინვენტარით არის უზრუნველყოფილი. საერთო სარგებლობის სივრცეები გამოიყენება სხვადასხვა სასკოლო ინიციატივების განსახორციელებლად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3.სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

დასკვნის პროექტში მითითებული იყო „სკოლის ინფრასტრუქტურა ვერ ქმნის ინკლუზიურ გარემოს. სკოლის შენობაში მოსახვედრად არის პანდუსი, ხოლო სკოლის შიგნით სართულებზე გადაადგილებისათვის არ არის პანდუსი და შესაბამისად შშმ პირს ეზღუდება მოძრაობა კლას - კაბინეტებში (სკოლაში არის კაბინტური სწავლების სისტემა საბაზო საშუალო საფეხურზე). არ არის ადაპტირებული სველი წერტილი შშმ პირისთვის“. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით სკოლამ ინკლუზიური გარემოს მოწყობისათვის განსაზღვრა 15.11.2023-15.11.2024 წწ პერიოდი. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია და კომპონენტის შეფასება არ შესაბამება შეცვალა შეფასებით მეტწილად შესაბამისია. სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს სკოლის ინფრაქტრუქტურის ინკლუზიურობა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში.

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლას აქვს სააქტო და სპორტული დარბაზები, სკოლის ფოიეები და ვრცელი დერეფნები, რომლებიც იძლევა შესაძლებლობას ჩატარდეს სხვადასხვა სასკოლო ღონისძიებები:
სასწავლო-შემეცნებითი, სპორტული და **სხვა. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).**

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

სკოლას აქვს სპორტული დარბაზი (გასახდელებით) და სივრცე ეზოს ტერიტორიაზე, სადაც შესაძლებელია ფიზიკური აქტივობების განხორციელება. შესყიდულია ფრენბურთის, კალათბურთის ფეხბურთის ბურთები, ჭადრაკის დაფები, ტაიკვანდოს ლეიბები, სახტუნაო რგოლები, ლახტი, მხიარული სტარტების აღჭურვილობა, 6 შვედური კედელი და სხვა, კლას - კაბინეტებში განთავსებულია შესაბამისი საგნის პლაკატები და თვალსაჩინოებები, რუკები და სხვა. ბიბლიოთეკაში დაცულია საბიბლიოთეკო წესით დამუშავებული 4362 ერთეული მხატვრული ლიტერატურა, სახელმძღვანელოები, მეთოდური ლიტერატურა. ბიბლიოთეკარს აქვს სამოქმედო გეგმა, ბიბლიოთეკაში არის კომპიუტერი ინტერნეტში ჩართული და ელექტრონული და მატერიალური კატალოგი.

სკოლაში ფუნქციონირებს ცალ-ცალკე ქიმია, ფიზიკა ბიოლოგიის კაბინეტები და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია. ლაბორატორია აღჭურვილია აინშტაინის ლაბორატორიით, ნიავდება ბუნებრივი გზით, არის ონკანი/გამდინარე წყალი და განთავსებულია მესამე სართულზე. რესურს ოთახი არის განთავსებული შენობის პირველ სართულზე და აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, სამუშაო მასალით. კომპიუტერული კლასში არის 19 კომპიუტერი და 1 ლეპტოპი მასწავლებლისთვის ასევე 1 პროექტორი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- შენობა-ნაგებობის სქემა;
- შესყიდვების დოკუმენტაცია;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- ბიბლიოთეკის კატალოგი;
- ბიბლიოთეკარის სამოქმედო გეგმა;
- მატრიალური რესურსით სარგებლობის წესი;
- ციფრული განვითარების გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლის სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესის სრულფასოვან წარმართვას უზრუნველყოფს 19 სტაციონარული კომპიუტერი განთავსებული კომპიუტერულ ლაბორატორიაში, 6 კომპიუტერი - გადანაწილებული ადმინისტრაციაში, ბიბლიოთეკაში, რესურს ოთახში, კანცელარიასა და მანდატურის ოთახში და 17 ლეპტოპი, რომელთაგან 1 ადმინისტრაციის განკარგულებაშია, 1 ექიმის და 15 მასწავლებლების, 6 ცალი პრინტერი და 5 ცალი პროექტორი. მასწავლებლებს საშუალება აქვთ საგაკვეთილო პროცესშიც ისარგებლონ, როგორც კომპიუტერებით ასევე პროექტორით. სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვისათვის, სხვადასხვა საგნობრივი კათედრები აქტიურად იყენებენ მრავალფეროვან ელექტრონულ რესურსებს. სკოლას მიეწოდება ინტერნეტი 74.40 მბ/წმ (speed.100100.ge) ოდენობით. კომპიუტერულ ლაბორატორიას, ადმინისტრაციის ოთახს, ბიბლიოთეკას, მანდატურის ოთახს ინტერნეტი მიეწოდება კაბელით. ლაბორატორიასა და კანცელარიის ოთახებში დამონტაჟებულია WI-FI . სკოლას ჩატარებული აქვს გამოკითხვა და დადგენილი აქვს წინასწარ სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია საზიარო სივრცით სარგებლობა და შედგენილი აქვს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის გრაფიკი.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.**

დაწესებულება უზრუნველყოფს კომპიუტერების და შესაბამის მომსახურების ხელმისაწვდომობას, როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე პერსონალისთვის. დაწესებულების მიერ მოწყობილია კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სამუშაო საზიარო სივრცეები ადმინისტრაციისათვის, მასწავლებლებისათვის და მოსწავლეებისთვის. მოსწავლეებისათვის საზიარიო სამუშაო სივრცე სკოლაში მოწყობილია კომპიუტერულ ლაბორატორიაში. იგივე სივრცით სარგებლობენ მასწავლებლები საჭიროების შემთხვევაში. მასწავლებლებისთვის საზიარო სამუშაო სივრცე არის ასევე სამასწავლებლოში. დავალებების შესასრულებლად კომპიუტერული ლაბორატორია ხელმისაწვდომია სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეებისათვის სხვადასხვა დროს. დრო დამოკიდებულია მათ საგაკვეთილო ცხრილზე. მოსწავლეებისათვის განკუთვნილ სამუშაო სივრცეში ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირია სკოლის ტექნოლოგიების მენეჯერი. სკოლაში პირადი ინფორმაციის დაცვასთან და კიბერ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით მოსწავლეთა ინფორმირების მიზნით, სამოქალაქო განათლებისა და ისტ-ის მასწავლებელთა თანამშრომლობით იგეგმება სხვადასხვა აქტივობა. მაგ, პროექტი, რომლის ფარგლებშიც დამზადდება საინფორმაციო ბროშურები/ პოსტერები. ინფორმაციის გავრცელების მიზნით მოეწყობა საპრეზენტაციო და საინფორმაციო შეხვედრები სასკოლო თემთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილბულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ციფრული განვითარების გეგმა;
- შესყიდვების დოკუმენტაცია.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი

სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, ბრძანება N2-297, 26 სექტემბერი, 2023 წ. საქმისწარმოების წესი განსაზღვრავს დაწესებულების საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს. პერსონალის და მოსწავლეების პირადი საქმეები იწარმოება დადგენილი წესის შესაბამისად, სკოლას აქვს საკადრო და საერთო ბრძანებების, შემოსული და გასული კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალები. ჟურნალები გადანომრილი და ზონარგაყრილია. ელექტრონული საქმისწარმობისათვი გამოიყენება დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა eflow. დოკუმნტაცია მუშავდება და ტარდება eflow სისტემაში. შემოსულ და გასულ დოკუმენტაციას ენიჭება დოკუმენტის ნომერი ამ დოკუმენტით განსაზღვრული მუშაობის წესი სავალდებულოა სკოლის ყველა თანამშრომლისათვის.

საქმისწარმოების წესის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად „წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ.“ აღნიშნული ჩანაწერი არ მოდის შესაბამისობაში ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლთან, რომლის თანახმადაც „ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილება ან დამატება შეიტანება ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემისათვის დადგენილი წესით.“ შესაბამისად სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულ წესში, პედაგოგიური საბჭოს მიერ ცვლილება ვერ განხორციელდება და აღნიშნული ჩანაწერი ექვემდებარება ცვლილებას.

დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა სკოლის მიერ წარმოდგენილია საქმისწარმოების წესი, დამტკიცებული სკოლის დირექტორის 2023 წლის 7 ნოემბრის N 2-331 ბრძანებით, რომელიც შესაბამისობაშია კანონმდებლობის მოთხოვნებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილდა**

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა

სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას Eflow, eschool, Office 365, Gmail, ელექტრონული ჟურნალი. სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის გამოყენებული აქვს სხვადასხვა ჯგუფები სოციალურ ქსელში. სკოლას ციფრული განვითარების თვითშეფასების საფუძველზე შემუშავებული აქვს ციფრული განვითარების ერთწლიანი გეგმა. **ინდიკატორი დაკმაყოფილბულია**

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

სკოლას აქვს eSchool.emis.ge-ს საკუთარი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. ვიზიტისას გადამოწმებული იქნა სკოლის პროფილი მართვის საინფორმაციო სისტმაში და ის სრულყოფილია. სკოლის საინფორმაციო ბარათში შეყვანილია ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია. სკოლას გამოყოფილი ჰყას უფლებამოსილი პირი ბაზებთან სამუშაოდ ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.**

სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს, იცავს საქმისწარმოებით განსაზღვრულ ვადებს და თანამშრომლობს აღნიშნულ უწყებებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საქმისწარმოების წესი (ბრძანება N2-297, 26 სექტემბრი, 2023 წელი);
2. მართვის საინფორმაციო სისტემა;
3. ციფრული განვითარების ერთწლიანი გეგმა;
4. კორაპონდენციის აღრიცხვის ჟურნალები.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

5. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
6. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
7. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
8. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
9. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის

სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

   სკოლა საზოგადობის ინფორმირებას და კომუნკაციას ახორციელებს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებით, მათ შორის: სკოლის ვებგვერდით https://skolebi.emis.ge/ -ზე , სკოლის სოციალური ქსელით https://www.facebook.com/Poti11.Public.School/, ელექტრონული ფოსტით Poti11@mes.gov.ge, ელექტრონული ჟურნალით, დახურული ჯგუფებით სოციალურ ქსელში, პირისპირ შეხვედრებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

   სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობისა და განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების ფორმალური და არაფორმალური აქტივობების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. ინფორმაცია სასკოლო საზოგადოებას მიეწოდება მშობელთა კრებების, სკოლის სოციალურ გვერდის, ვებ-გვერდის, ელექტრონული ფოსტისა და ელექტრონული ჟურნალის დახმარებით. სკოლის სოციალურ ქსელს აქვს შეტყობინების ფუნქცია. სკოლას ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს ვებგვერდზე პასუხისმგებელი პირი (ბრძანება N2-250, 8 სექტემბერი, 2023 წელი, ცვლილება ბრძანებაში N2-303, 26 სექტემბერი, 2023 წელი), რომლის ვალდებულებაა ინფორმაციის დროულად განთავსება ვბგვერდზე, სკოლის მიერ სოციალურ ქსელში განთავსებული ინფორმაცია არის უტყუარი და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია დადასტურება. სკოლის ელექტრონული ფოსტა გამოიყენება ინფორმაციის სწრაფად გავრცელებისა და უკუკავშირის მისაღებად. სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია სანდოა და შესაძლებელია მისი გადამოწმება. სკოლის მიერ შემუშავებული საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი (ბრძანება N2-302, 26 სექტემბერი, 2023 წელი) სკოლის ყველა თანამშრომელს ავალდებულებს აწარმოოს კომუნიკაცია სკოლის შიგნით და ასევე მის გარეთ იმგვარად, რომ დაცული იყოს ინფორმაციის სინამდვილე რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს ინფორმაციის სანდოობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

   სკოლის სოციალური ქსელის გვერდი ითვალისწინებს სანდო და უტყუარი ინფორმაციის დროულად გაზიარებას და ასრულებს ორ ფუნქციას: ა)საკომუნიკაციო პლატფორმის ფუნქციას, რისთვისაც ხელმისაწვდომს ხდის სკოლის საკონტაქტო ინფორმაციას და ინტერნეტით კომუნიკაციის შესაძლებლობას, ბ)საინფორმაციო ფუნქციას, რისთვისაც უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის, სკოლის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაციის საჯაროობას. სკოლა საზოგადობასთან კომუნიკაციის პროცესში ასევე

წარმატებით იყენებს ელექტრონულ ფოსტას და პირისპირ შეხვედრებს. როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნკაციის წესშია განმარტებული სკოლას გაცნობიერებული აქვს კონსტრუქციული უკუკავშირის დადებითი ეფექტი, გეგმავს განახორციელოს სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებით შემოსული შეკითხვების, ინიციატივებისა და შენიშვნების ანალიზი და გამოიყენოს შემდგომი განვითარებისთვის. ხშირად დასმული შეკითხვების პასუხები აკუმულირდება ფეისბუქ გვერდზე. პასუხების ანალიზი დავალებული აქვს საინფორმაციო მენეჯერს საკითხთან დაკავშირებული მასწავლებლების ჩართულობით. ამრიგად სკოლას აქვს მზაობა საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირი გამოიყენოს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად . **ინდიკატორი დაკმაყოფილებული**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

   სკოლას აქვს ვებგვერდის შესაბამისი გვერდი https://skolebi.emis.ge/-ზე, სადაც ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.**

   დასკვნის პროექტში მითითებული იყო „სკოლის ვებგვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს ინფორმაციას :

   - მისია, ხედვა, ღირებულებები;
   - სკოლის ორგანიგრამა;
   - სკოლის სტრუქტურული ერთეულებისა და სკოლაში დასაქმებულების უფლება-მოვალეობები;
   - პირვლკლასელთა ლიმიტი;
   - სტრატეგიული განვითარების გეგმა;
   - ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
   - სასკოლო სასწავლო გეგმა;
   - გაკვეთილების განრიგი, შეფასების რუბრიკები, სახელმძღვანელოების ჩამონათვალი, გაკვეთილების ცხრილი;
   - სკოლის შინაგანაწესი.

სკოლას ვებგვერდზე არ აქვს ასახული ინფორმაცია კანონიერი უფლებების დაცვის, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებების, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნების შესახებ. ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები პირველადი ავტორიზაციის პროცესში სკოლას ვერ ექნება.“ **სკოლას არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სრულად ჰქონდა ვებგვერდზე ატვირთული მონაცემები. შედეგად შეიცვალა კომპონენტის შეფასება სრული შესაბამისობით.**

ინდიკატორი არ არი დაკმაყოფილებული

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვებგვერდზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის ბრძანება N2-250, 8 სექტმბერი, 2023 წელი, ცვლილება ბრძანებაში N2-303, 26 სექტემბრი, 2023 წელი;
- სკოლის ვებგვერდი https://skolebi.emis.ge/ -ზე ;
- სკოლის სოციალური ქსელი https://www.facebook.com/Poti11.Public.School/;
- ელექტრონული ფოსტა Poti11@mes.gov.ge;
- საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი (ბრძანება N2-302, 26 სექტემბერი, 2023 წელი);
- ბრძანება N2-250, 8 სექტმბერი, 2023 წელი, ცვლილება ბრძანებაში N2-303, 26 სექტემბრი, 2023 წელი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სკოლა შეიმუშავებს როგორც საპროგნოზო, ასევე ფაქტობრივ ბიუჯეტს. ბიუჯეტის შემუშავებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს გასული წლების შემოსავლებისა და ხარჯების ანალიზით. განიხილავს მოსალოდნელ რისკებს, გარე ფაქტორებს. ახდენს თვიურ ფინანსურ ანგარიშგებას. სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება ხდება კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლის ბიუჯეტი ძირითადად ხელფასების დაფარვაზეა ორიენტირებული, სკოლის ფინანსურ მდგრადობას ხელს უწყობს ვაუჩერული დაფინანსება და იჯარით გაცემული ფართი. იჯარა გაცემულია კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით. სკოლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ფინანსური რესურსები გათვალისწინებულია სკოლის ბიუჯეტში. (საბიბლიოთეკო ფონდის შევსება). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.**

სკოლა ფინანსურ დაგეგმვას ახორციელებს წინა სასწავლო წელს გაწეული ფაქტიური ხარჯების, მიმდინარე წლის შემოსავლებისა და სკოლის მიერ შემუშავებული პრიორიტეტების გათვალისწინებით. სკოლა თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად და საჭიროების შემთხვევაში მიმართავს სამეურვეო საბჭოს კორექტირებისთვის. სკოლას შემუშავებული აქვს მონიტორინგის სისტემა, რომელიც ამოწმებს შემოსულ თანხებსა და დანახარჯებს. სკოლის დირექტორი, კანონმდებლობის დაცვით წარუდგენს ფინანსურ ანგარიშს სამეურვეო საბჭოს და მაკონტროლებელ ორგანოს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საპროგნოზო ბიუჯეტი;
- სამოქმედო გეგმა;
- სამეურვო საბჭოს ოქმები;
- ფინანსური ანგარიშები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. **მოსწავლეთა მხარდაჭერა**

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა სკოლაში რეგულირდება შინაგანაწესით, წესდებით, სკოლის მირ შემუშავებული მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგნლს უფლებებით, სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის წესით, მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობისა და სტატუსის შეჩერების წესით (ბრძანება N2-293, 26სექტმბრი, 2023 წელი), ინკლუზიური განათლების პროგრამითა და დებულებით (ბრძანება N2-300, 26 ექტემბრი, 2023 წელი), სასკოლო სასწავლო გეგმით, უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე განსაზღვრული უფლებამოსილი პირის განსაზღვრის ბრძანებით, პერსონალურ მონაცმთა დაცვისა და მონიტორინგის წესით, რეფერირების პროცედურით და სხვა სკოლის მიერ განსაზღვრული სასწავლო პროცესში გამოყენებული მარეგულირებელი აქტებით და წესებით. წარმოდგენილი დოკუმენტებით უზრუნვლყოფილია მოსწავლის ჩართვა სკოლის მართვაში, დაზუსტებულია მოსწავლეთა დისციპლინური გადაცდომების სახეები წახალისებისა და სახდელის გამოყენების პირობები, მოსწავლეთა მხრიდან საკუთრი უფლებების დაცვის რეგულაციები.

შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შესწავლილი იქნა მოსწავლეთა პირადი საქმეები და დადასტურდა, რომ პირად საქმეში ინახებოდა კანონით განსაზღვრული დოკუმენტები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან

მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებს მშობლის მიერ სკოლის შინაგანაწესის გაცნობის დადასტურების ფაქტს, ასევე კლასის დამრიგებლი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებსა და მათ მშობლებსა და /კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს შინაგანაწესისა და სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამის ნაწლებს, მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის დოკუმენტს. ზემოთაღწერილი დოკუმენტები გაზიარებულია სკოლის ვებგვერდზე რაც ადასტურებს

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციების გამჭვირვალობასა და გაზიარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილბულია**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.**

მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. გაწერილია მოსწავლის მშობლის/კანონიერ წარმომადგენლის უფლებები და მოვალეობები, პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი და პროცედურა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის წესი (ბრძანება N2-285, 25 სექტემბერი, 2023 წელი);
- მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობისა და სტატუსის შეჩერების წესით (ბრძანება N2-293, 26 სექტემბერი, 2023 წელი);
- ინკლუზიური განათლების პროგრამითა და დებულებით (ბრძანება N2-300, 26 სექტემბერი, 2023 წელი);
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- წესდება;
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- მოსწავლეთა პირადი საქმეები.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებები და გარანტიები განსაზღვრულია რამდენიმე დოკუმენტით, მათ შორისაა მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობისა და სტატუსის შეჩერების წესი. წარმოდგენილი დოკუმენტით განსაზღვრულია მოსწავლეთა სკოლაში ჩარიცხვის, უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების და მოსწავლის სტატუსის შეჩერება/აღდგენის, მოსწავლეთა მობილობის, კლასისა და საფეხურის დაძლევის წესი და პროცდურები.

ინდიკატორი დაკმაყოფილბულია

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლის მირ წარმოებული დოკუმენტაციით, მართვის საინფორმაციო ბაზის და მოსწავლეთ პირადი საქმეების შესწავლით დადგინდა, რომ დაცულია კანონმდებლობასთან თავსებადი შიდა რეგულაციებით დადგენილი ნორმები მოწავლის ჩარიცხვასთნ, საფეხურის დაძლევასთან მობილობის, სტატუსის შეჩერება/აღდგენასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლას ვიზიტის პერიოდში მსგავსი ტიპის მომსახურება დადგენილი არ ჰქონდა, შესაბამისად აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდება.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.**

სკოლას განსაზღვრული ჰყავს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი - საქმისმწარმოებელი და ფეისბუქგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი - სკოლის საინფორმაციო მენეჯერი.(ბრძანება N2-250, 8 სქტემბერი, 2023 წელი). შესაბამისად სკოლის ვებგვერდზე განთავსებული და სკოლის მიერ გაცემული საჯარო ინფორმაცია არის სანდო, კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობისა და სტატუსის შეჩეერების წესი.;
- მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები;
- ბრძანება N2-250, 8 სქტემბერი, 2023 წელი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი.

სკოლას 2023 წლის 25 სექტემბრის N2-285 ბრძანებით დამტკიცებული აქვს მოსწავლის ადაპტაციის წესი. წარმოდგენილი დოკუმენტით სკოლა არეგულირებს პირველკლასელთა, სსსმ და მობილობით გადმოსულ მოსწავლეთა სასკოლო გარემოსთან ადაპტაციას. ამავე დოკუმენტით განსაზღვრულია მოსწავლის წარმატებული ადაპტაციისა და დეზადაპტაციის ნიშნები, რაც საშუალებას მისცემს დაწესებულებას დროულად გამოავლინოს მოსწავლეთა საჭიროებები და იმოქმედო მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.

სკოლას მოსწავლის ადაპტაციის წესით განსაზღვრული აქვს მოსწავლეთა მხარდაჭერა სასკოლო გარემოში წარმატებული ადაპტაციისათვის. მოსწავლეების მხარდაჭერა ევალებათ ძირითადად კლასის დამრიგებლებს, სკოლის სსსმ მოსწავლეების ადაპტაციაზე დამატებით ზრუნავს სპეციალური მასწავლებელი და ფსიქოლოგი, რომლებსაც შესაბამისად აქვთ მოწყობილი რესურსოთახი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.

სასკოლო სასწავლო გეგმით (2023-2024 წწ) გათვალისწინებულია საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისათვის დიაგნოსტიკური წერების ჩატარება წლის განმავლობაში 2-ჯერ. დიაგნოსტიკური წერები ემსახურება ცოდნის დიაგნოსტირებას, პრობლემების აღმოჩენასა და მათი დაძლევის გზების ძიებას. დიაგნოსტიკური წერების შედეგებიდან გამომდინარე საჭიროების შემთხვევაში სკოლა გეგმავს დამატებითი მეცადინეობების ჩატარებას. სკოლის პრაქტიკაა დავალებების, აქტივობებისა და დავალების/პროდუქტების დიფერენცირება, მოსწავლეთა საჭიროებების შესაბამისად. ინკლუზიური სამოქმედო გეგმა საჭიროების შემთხვევაში სპეციალური მასწავლებელს ავალდებულებს დამატებით მეცადინეობების დაგეგმვა/განხორციელებას. სკოლას სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქვს მოსწავლეთა მიღწევების დინამიკის შესწავლა და მიღებული შედეგების შესაბამისი აქტივობების განხორციელება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4.სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით.

სკოლა მოსწავლეებს აწვდის დაუყოვნებლივ ინფორმაციას ექსტერნატის, ნიშნის ამაღლების, საშემოდგომო გამოცდის შესახებ და უზრუნველყოფს შესაბამის მომსახურებას. დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში აცნობენ მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამის ნაწილებს, სადაც განსაზღვრულია სემესტრული, წლიური, საშემოდგომო, 30% გაცდნებისა, შემაჯამებელი დავალებების აღდგენის წესი, ექსტრნატის გამოცდების ჩატარების პირობები, სასკოლო საზოგადოებისთვის დამრიგებლების მეშვეობით ასევე ხელმისაწვდომია სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმენტი მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სკოლას არ აქვს გაწერილი დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრული იქნება არაფორმალური აქტივობები. ვიზიტის პერიოდში სკოლაში არ ფუნქციონირებდა კლუბები, სასკოლო სასწავლო გეგმით მიმდინარე სასწავლო წელს სკოლას არ აქვს დაგეგმილი კლუბებისა და წრეების ფუნქციონირება. სკოლის პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა პროექტები, აქტივობები, როგორც საკლასო, ასევე სასკოლო დონეზე. აღნიშნული აქტივობების/პროექტების ინიციატორები არიან როგორც მოსწავლეები და მოსწავლეთა თვითმმართველობა, ასევე მასწავლებლები და კათედრები. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა ინიციატივებს. პროექტების განსახორციელებლად. პროექტების განხორციელების პროცესში გამოიყენება სკოლის მატერიალური რესურსი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

სკოლის დირექტორის განმარტებით, სკოლისთვის მნიშვნელოვანია მოსწავლეთა და დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირი რომელსაც ისინი ღებულობენ როგორც ზეპირად, პირისპირ შეხვედრების დროს, ასევე სოციალურ ქსელში შექმნილ ჯგუფებში ან სკოლის სოციალური ქსელის შეტყობინების ფუნქციით ან/და გამოქვეყნებულ ინფორმაციაზე დატოვებული კომენტარის სახით. სკოლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე მშობელთა ანკეტური გამოკითხვები. მიღებული გამოხმაურებებისა და უკუკავშირების,

გამოკითხვის შედეგების გაანალიზებით დაწესებულება გეგმავს მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ადაპტაციის წესი (ბრძანება N2-285, 25 სექტემბერი, 2023 წელი);
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ინკლუზიური სამოქმედო გეეგმა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერება;
- სოციალური ქსლი;
- სკოლის ვბგვერდი.

4.2.2.სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სასკოლო სასწავლო გეგმით დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის პროგრამის განხორციელება მე-9 კლასში. სკოლის პრაქტიკაა ასევე თანამშრომლობა პროფესიულ კოლეჯ ფაზისთან. სკოლის სტატისტიკის მიხედვით მე-9 კლასის დასრულების შემდეგ მოსწავლეთა დიდი ნაწილი სწავლას აგრძელებს პროფესიულ სასწავლებელში. სკოლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის მიზნით პროფესიულ სასწავლებლებში ვიზიტი, საზოგადოებრივ კოლეჯთან თანამშრომლობა და მოკლევადიანი კურსების განხორციელება სკოლაში. უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლებთან შეხვედრების მოწყობის ხელშეწყობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით

სკოლის დირექცია, დამრიგებლები პერიოდულად აწვდიან სკოლის მოსწავლეებს სანდო და განახლებულ ინფორმაციას კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ პროფესიულ კოლეჯის პროფესიულ და უმაღლესი სასწავლებელების პროგრამებზე, ინფორმაციას შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის სერვისების შესახებ. სკოლა აორგანიზებს პროფსიული სასწავლებლის წარმომადგენლებთან შეხვედრებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3.სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს

სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით გეგმავს ჩაატაროს გამოკითხვები მოსწავლებსა და მშობლებში და გამოკითხვის შედეგები გამოიყენოს ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. სკოლის საჭიროებებიდან გამომდინარე მშობელთა ანკეტური გამოკითხვა სკოლას განსაზღვრული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ერთწლიანი ამოქმედო გეგმა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

4.2.3.სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

დაწესებულებას სასკოლო სასწავლო გეგმთ განსაზღვრული აქვს ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი ღონისძებები. კერძოდ, განმარტებულია ვინ შეიძლება იყოს სსსმ მოსწავლე, როგორ უნდა მოხდეს: ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა, ისგ ჯგუფის ფორმირება და საქმიანობის განხორციელება, სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები. შინსწავლება.

განსაზღვრულია სკოლის ის ვალდებულებები, რაც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლის უსაფრთხოებასა და დაცულობას სასკოლო გარემოში. რაც შეეხება ინდივიდუალური გეგმის განხორციელების გეგმას, ის სკოლას ადმინისტრაციულ სამართლბრივი აქტით აქვს დამტკიცებული, განსაზღვრულია მონიტორინგის ჯგუფი.

ვიზიტის პერიოდში სკოლაში იდენტიფიცირებული იყო 6 სსსმ მოსწავლე. შემუშავბული და ბრძანებით დამტკიცებული იყო ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმდო გეგმა, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2.სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს

სკოლას ბრძანებით დამტკიცებული აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა წარმოდგენილი გეგმის მიხედვით სსსმ მოსწავლეების წინსვლისა და განვითარების პროცესში ჩართულია მთელი სასკოლო საზოგადოება (ისგ ჯგუფი, დირექცია, ადმინისტრაცია) თავის პასუხისმგებლობას მიკუთვნებულ საკითხებთან მიმართებაში. სკოლაში ფუნქციონირებს რესურსოთახი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი რესურსებით, წარმოდგენილია რესურს ოთახით სარგებლობის განრიგი, რესურს ოთახში განთავსებულია ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, რესურსები სსსმ მოსწავლეთა საჭიროებების შესაბამისად. სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი, რომელიც მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის მიხედვით მუშაობს 1 მოსწავლესთან, რესურსოთახის აღჭურვასა და მოწყობაზე პასუხისმგებელია სკოლა (სასკოლო საზოგადოება) სპეცმასწავლებელი ადგენს მოსწავლეთა საჭიროებებს და განცხადებით მიმართავს დირექტორს საჭირო მასალის შესაძენად. სსსმ მოსწავლის მშობელთან ხდება მუდმივი კომუნიკაცია მოსწავლის მიმდინარე საჭიროებებთან დაკავშირებით .

სკოლას ვიზიტის პერიოდში უფიქსირდებოდა 6 სსსმ მოსწავლე, ყველა მოსწავლესთან მიმართებით შექმნილია ისგ ჯგუფი, ვიზიტის პერიოდში მუშავდებოდა ინდივიდუალური გეგმები. სკოლის პრაქტიკა გვიჩვენებს რომ სკოლა თითოეულ მოსწავლეზე მულტიდისციპლინური დასკვნის შესაბამისად ადგენს ინდივიდუალურ გეგმებს, ახდენს მის მონიტორინგს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024 სასწ.წ. (შეთანხმებული სამეურვო საბჭოს 2023 წლის 8 სექტემბრის N1 სხდომაზე, დამტკიცებული პედსაბჭოს N1 სხდომაზე 2023 წლის 8 სექტემბერი);
- ისგ ჯგუფის ოქმები;
- მართვის საინფორმაციო სისტემა;
- ბრძანებები ი.ს.გ. ჯგუფის შექმნაზე.

4.2.4.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სკოლა დამატებით საგანმანათლელო მომსახურებას არ სთავაზობს.

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

სკოლა დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევას არ ახორციელებს.

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

სკოლა დამატებით საგანმანათლელო მომსახურებას არ სთავაზობს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.**

   სკოლის შინაგანაწესის, სასკოლო სასწავლო გეგმის ძირითადი საგანმანათლებლო პრინციპების ნაწილის, სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის, საგნობრივი კათედრების ფუნქციებისა და მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსის მიხედვით, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის შემუშავების ეტაპი თანამშრომლობითი პროცესია, რომელშიც ჩართულები არიან სკოლის მასწავლებლები, გათვალისწინებულია მშობელთა საერთო კრებებზე მშობლების მიერ დაფიქსირებული მოსაზრებები. სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობისა და მოსწავლეების ინიციატივები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.**

   დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში სასკოლო, საკლასო და კლასგარეშე აქტივობებით განსაზღვრულ სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტში გათვალისწინებულია მასწავლებლების მიერ დადგენილი მოსწავლეთა საჭიროებები, მოსწავლეების მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ დაფიქსირებული მოსაზრებები და მოსწავლეთა ინტერესები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

   დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კათედრისა და პედაგოგიური საბჭოს ოქმების შინაარსის მიხედვით დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულები არიან საფეხურის მასწავლებლები, საფეხურის მოსწავლეების მშობლები და მოსწავლეები. მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ კურიკულუმის შემუშავების პროცესში მთელი სასკოლო საზოგადოების ჩართვის მნიშვნელობა. მათ აღნიშნეს, რომ ასე მოხდება მოსწავლეთა ინტერესების უკეთ გათვალისწინება, გაიზრდება მოსწავლეთა ჩართულობა სწავლის პროცესში და მოტივაცია. პედაგოგებმა გამოთქვეს მზაობა, რომ მომავალი სასწავლო წლიდან მოხდება არა მარტო

კურიკულუმების გაზიარება, არამედ, ამ პროცესში, პედაგოგებსა და ადმინისტრაციასთან ერთად, აქტიურად ჩართავენ მშობლებსა და მოსწავლეებს. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმით განსაზღვრული საკლასო, სასკოლო და კლასგარეშე აქტივობების შესახებ მოსწავლეების მშობლებს ინფორმაცია მიეწოდებათ კლასის მშობელთან საერთო კრებებსა თუ სოციალურ ქსელში არსებული დახურული ჯგუფების საშუალებით. სკოლაში ვიზიტის პერიოდში, საგნის მასწავლებლები, მათ მიერ დაგეგმილი მიზნობრივი აქტივობების მოსწავლეების მშობლებისთვის ინფორმაციის მიწოდების ერთ-ერთ მექანიზმად სადამრიგებლო პროგრამით გაწერილ დამრიგებლის ფუნქციას ასახელებენ. ასევე წარმოადგინეს მშობლის ბარათები რომელშიც კომპლექსური დავალების განხორციელების აქტივობების მიზნები და ეტაპებია გაწერილი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- კათედრის ოქმი N1;
- დაწყებითი კათედრის სემესტრის ანგარიში;
- მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის შეხვედრის N1,2,3 და 4 ანგარიშის ფორმა.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.

კურიკულუმი მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებს, თემის ფარგლებში გამოკვეთილია სამიზნე ცნებები, საკითხები, მითითებულია ისეთი კონტექსტ - მაგალითები, რომელიც მოსწავლეს ტრანსფერში უწყობს ხელს. კათედრის მიერ წარმოდგენილი პროექტი - "ჩემი ილუსტრირებული წიგნები"- მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარებაზეა მიმართული. სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, დიფერენცირებული კომპლექსური დავალებები, რომელიც სხვადასხვა მზაობის მოსწავლეთათვისაა განკუთვნილი. სასწავლო პროცესში დიფერენცირებული მიდგომების ხშირი გამოყენება მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირებას ემსახურება. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნა პრიორიტეტულ საკითხად დასახელდა დაწყებითი კათედრის სხდომის ოქმში, სადაც განხილულია კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები. კათედრას სამოქმედო გეგმაში მოსწავლეთა საჭიროებების დასადგენად გაწერილია აქვს სადიაგნოსტიკო ტესტირება. სკოლის მიერ ჩატარებული კონკურსი - "საუკეთესო კალიგრაფი"- მოსწავლის შესაძლებლობებისა და ნიჭიერების, შემოქმედებითობის ხელშეწყობის დასტურია. წარმოდგენილი კურიკულუმი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისადაა შექმნილი და მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობის გამოვლენისა და თვითრეალიზების საშუალებას აძლევს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში ძირითადად გაწერილია სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები. თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, მითითებულია ისეთი კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც მოსწავლის ტრანსფერს უწყობს ხელს. მე-4 კლასის კურიკულუმის დანართით წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებაში სამიზნე ცნების- ტექსტი (ჟანრები), ქვეცნების- არამხატვრული ჟანრი - საინფორმაციო ტექსტი, ინტერვიუ - დასამუშავებლად მასწავლებელს საკითხად შერჩეული აქვს საინფორმაციო ტექსტის, დიდი მოგზაურის - რუალ ამუნდსენის შესახებ - მიხედვით წარმოსახვითი ინტერვიუ პერსონაჟთან. მთავარი ფოკუსი სამიზნე ცნებაა, ხოლო კონტექსტ მაგალითებად - ჯონათან სვიფტი - გულივერის მოგზაურობა, საინფორმაციო ტექსტი - დიდი მოგზაური რუალ ამუნდსენი. სასწავლო პროცესში საკითხზე მუშაობა სწორედ სამიზნე ცნებას მიემართება და კურიკულუმში ეს ორიენტირებულობა მკაფიოდ იკვეთება. პედაგოგები ყველა სამიზნე ცნებას ააქტიურებენ ყველა თემის ფარგლებში. დაწყებით საფეხურზე მოსწავლეები ქმნიან შემოქმედებით პროდუქტებს: სიტყვების პოსტერს, მკითხველის პოსტერს, დიორამებს, დღიურებს, რომელთა საშუალებითაც ისინი ეუფლებიან ფუნქციურ უნარებს - შემოქმედებითობას, კომუნიკაციას და ადასტურებენ ცოდნას საგნობრივ საკითხზე, ექმნებათ მკვიდრი წარმოდგენები. პედაგოგებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ კათედრა მზადაა, მუდმივად იზრუნოს კურიკულუმის განვითარებასა და დახვეწაზე.

სკოლას მიეცა რჩევა:

ესთეტიკური აღზრდა - ა)მუსიკა 1-5 კლასები - მიუთითეთ თქვენს მიერ არჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოს გამომცემლობა და თემის შესაბამისი გვერდები,

ბ)მუსიკა 1-6 კლასები - როდესაც ახორციელებთ კომპლექსურ დავალებას, შესაბამის გრაფებში მიუთითეთ ძირითადი რესურს-მაგალითები და მაგალითები შედარებისთვის.

გ)მუსიკა 1 კლასი - პირველი კლასის პირველ და მეორე თემების კომპლექსურ დავალებებში არ მუშავდება ქვეცნებები ჰარმონია და ფორმა, ამიტომ მათი მითითება კურიკულუმში საჭირო არ არის.

ხელოვნება - 1-2 და მე-5 კლასები - ყველა თემაში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება. 1-2 კლასებში გვაქვს ოთხი სამიზნე ცნება, მე-5-ში კი ხუთი.

უცხოური ენები - დაწყებით საფეხურზე, იკვეთება ბუნდოვანება ინგლისური და რუსული ენების ჩარჩოების ზოგიერთ კომპონენტში. კერძოდ, ცალკეულ შემთხვევებში, თემის ფარგლებში არ ხდება ყველა გრძელვადიანი შედეგის/ცნების დამუშავება და ნაკლებად იკვეთება ცნება „ კულტურათა დიალოგი“ . ასევე , კომპლექსური ბუნების მქონე დავალებით მუშავდება შერჩეული თემის მხოლოდ ნაწილი და არა სრულად თემა. აღნიშნულთან დაკავშირებით, მასწავლებლებს **მიეცათ რჩევა, რომ წლის მანძილზე გასავლელი თითოეული თემის ფარგლებში დამუშავდეს საფეხურის ყველა ცნება და კომპლექსური ბუნების დავალებით/დავალებებით დამუშავდეს** თემა სრულად (და არა მხოლოდ ნაწილი). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, სასწავლო პროცესში, სკოლა ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, ზოგადად სასწავლო პროცესის ინკლუზიურ ხედვას, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, მოსწავლისადმი ჰოლისტური მიდგომას, მოსწავლეზე ორიენტირებულ სიღრმისეულ სწავლას და, მეორე მხრივ, პოზიტიური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას. სკოლამ წარმოადგინა ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა დაწყებით საფეხურზე, ინდივიდუალური სამუშაო გეგმები, ისგ ჯგუფის სხდომის ოქმები, რომელიც ეხება მოსწავლეთა ინდივიდუალური გეგმებისა და ადაპტირებული კომპლექსური დავალებების შემუშავებას,

ხოლო შემდეგ ეტაპზე მათ განხორციელებასა და მიღწეული შედეგების ანალიზს. ამ მიმართულებით პედაგოგებს აქვთ გამოცდილება. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს. კათედრამ წარმოადგინა კომპლექსური დავალებები სწავლების პროცესში დიფერენცირებული მიდგომებისათვის. სკოლას ჰყავს სპეციალური მასწავლებელიც და მოსწავლის ინდივიდუალური ასისტენტი. ინკლუზიური განათლების განხორციელების მონიტორინგის ჯგუფი ახორციელებს ინკლუზიური განათლების პროცესის შეფასებას. სასკოლო საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს, რომ საჭიროა ყოველთვის იმის გაანალიზება, თუ რამდენადაა მორგებული საგნობრივი კურიკულუმები, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველი დოკუმენტები კონკრეტული მოსწავლეების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს; რამდენად მოქნილია სასწავლო გარემო (პროცესი, შინაარსი) მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში მასწავლებლები იყენებენ როგორც განმავითარებელ შეფასებას, ასევე განმსაზღვრელ შეფასებას მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან მე-6 კლასის ჩათვლით. დაწყებითი საფეხურის კათედრამ წარმოადგინა კურიკულუმები, რომელსაც თან ერთვის კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მორგებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. მე-2 კლასის კომპლექსურ დავალებაში - პერსონაჟის წერილი პერსონაჟებს - გაწერილია სამიზნე ცნება: ტექსტი, გრამატიკა. მოსწავლის განმავითარებელი შეფასება ხდება კრიტერიუმებით: წერილის სახით მიზნობრივი მთლიანობა, რომელშიც ურთიერთდაკავშირებულადაა წარმოჩენილი ქვესაკითხები: წერილის მიმღები, მიზანი, დამწერი, წერილის სამნაწილიანი აგებულება, პერსონაჟების თვისებების წარმოსაჩენად გამოყენებული სათანადო რთული სიტყვები; აწარმოოს და ფუნქციურად გამოიყენოს რთული სიტყვები. მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ მოსწავლეთა მიერ ურთიერთშეფასებასა და თვითშეფასებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრა სისტემატურად ხვდება ერთმანეთს და უზიარებს წინარე გამოცდილებას, განიხილავს იმ გამოწვევებს, რომლის მოგვარებასაც ახალ სასწავლო წელს გეგმავს. სკოლამ წარმოადგინა კათედრის ოქმი, სადაც განხილულია საკითხები: კურიკულუმების შემუშავება, კომპლექსური დავალებების დაგეგმვა,

ჯგუფის წევრებთან იდეების გაზიარება და სხვ. პედაგოგები გასაუბრების პროცესში აღნიშნავენ, რომ სასკოლო კურიკულუმისა და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას, ეს ინფორმაცია იკითხება სკოლის მიერ წარმოდგენილ კათედრის სხდომების ოქმებიდან, კომპლექსური დავალების ანალიზიდან და კითხვის გაკვეთილზე დაკვირვების ფორმიდან. სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირსა და რეფლექსიისა შედეგებს და ა.შ. რომელიც ძირითადად დაფუძნებულია პედაგოგთა წინარე გამოცდილებაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
- კათედრის ოქმი N1;
- დაწყებითი კლასების კათედრის I სემესტრის ანგარიში;
- მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის შეხვედრის N1, 2, 3. 4 ანგარიშის ფორმა;
-

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას**

წარმოდგენილი კურიკულუმების, სასწავლო პროექტის და სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი მასალების/აქტივობების გაცნობისას შეიძლება დავასკვნათ, რომ დაგეგმილი კურიკულუმის რეალიზება მიმართულია ისეთ საკლასო გარემოზე და საგაკვეთილო პროცესზე, როდესაც საკვანძოდ მნიშვნელოვანია ისეთი აქტივობების განხორციელება, სადაც მოსწავლე არის ცენტრალური სუბიექტი და აქტიურადაა ჩართული სასწავლო პროცესში. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში მოცემული შუალედური მიზნები, საშუალებას აძლევს მოსწავლეს, რომ გაეცნოს ახალ ინფორმაციას, გადაამუშაოს და განიხილოს იგი ახალ კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით. გადმოსცეს და ახსნას იდეები თავისი სიტყვებით იქნება ეს წერილობით, თუ ზეპირი სახით. კურიკულუმის გაცნობისას და მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ის, რომ ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების პროცესში მათი როლი არის ორგანიზებული, მიზნობრივი გარემოს შექმნა, სადაც გამოწვევები დაკავშირებული იქნება მოსწავლის მიერ მიღებული ინფორმაცია ცოდნად გარდაქმნასთან, რაც მოითხოვს ამ ცოდნის აქტიურ დამუშავებას. დაწყებითი საფეხურის კათედრის წევრებს აქვთ მზაობა და კომპეტენცია, რომ მათ მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას ხელი შეუწყონ აქტიურ სწავლასა და მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას. ინტერვიუში, აღნიშნეს, რომ გეგმავენ არაფორმალური განათლების ხელშეწყობის გაძლიერებას, პოზიტიური სასკოლო კლიმატის და მოსწავლის ინიციატივების წახალისებას. კათედრას დაგეგმილი აქვს, რომ სწავლა-სწავლების პროცესი სამომავლოდაც წარმართოს კომპლექსური დავალებებით, ამ მეთოდით სწავლება კი მიმდინარეობს შეფასების კომპონენტებში ზემოთ ჩამოთვლილი სწავლების ხუთი პრინციპის დაცვით. მომდევნო სასწავლო წლიდან კათედრა გეგმავს, შეარჩიოს, გადაამუშაოს და კურიკულუმში ჩააშენოს მამოტივირებელი შინაარსის კომპლექსური დავალებები, რომლებიც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა კიდევ უფრო გააქტიურებას, ჩართულობის კიდევ უფრო გაზრდას, მაღალი შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების გამომუშავებას. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით**

კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები, სასწავლო პროექტი და სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი მასალები/აქტივობები აგებულია კონსტრუქტივიზმის პრინციპების გათვალისწინებით. მოსწავლისათვის ნაცნობი თემა და კონტექსტი წარმოადგენს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას. ზოგიერთ შემთხვევებში, წარმოდგენილი კონტექსტ - მაგალითები საჭიროებს დახვეწას, თუმცა, უმეტეს შემთხვევაში ისინი გათვლილია წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახლის შესწავლაზე. ამასთან, შერჩეული თემების ფარგლებში ასახული საკითხები და კომპლექსური დავალებების პირობაც ფორმულირებულია ისე, რომ შემოაქვს სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის

ნაცნობი კონტექსტები. კერძოდ, კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს მოუწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა და ა.შ. მოსწავლისათვის ნაცნობი ეს შინაარსიანი კონტექსტი ეხმარება მათ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში, რაც სწორედ წინარე ცოდნის გააქტიურებას მოიაზრებს. რაც შეეხება სასწავლო პროექტზე მუშაობის გამოცდილებას, საფეხურზე წარმოდგენილია პროექტი „ ბედნიერი ხარ“ და ამასთან, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ უშუალოდ უცხოური ენის დაწყებით საფეხურზეც იგეგმება სასწავლო პროექტის განხორციელება. მათ აქვთ მზაობა, რომ ამ გზით წაახალისონ მოსწავლეები მათთვის საინტერესო არაფორმალური განათლების აქტივობებით, რათა მსგავსი თანამშრომლობითი მუშაობით მაქსიმალურად მიუახლოვდეს სასწავლო პროცესს მოსწავლის გამოცდილება. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ ინფორმაციის დამუშავება და ცოდნად გარდაქმნა წინარე ცოდნის საშუალებით ხორციელდება. აღნიშნულს მათ დაუკავშირეს ასევე კათედრის მიერ შერჩეული სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტის წარმოებაც და მასწავლებლების მიერ საკუთარი პრაქტიკის კვლევაც და სიღრმისეულად ისაუბრეს მათ მიზნობრიობაზეც. საერთო შეფასებით, დაწყებით საფეხურზე მასწავლებლებს აქვთ მკაფიო ხედვა, რომ წინარე ცოდნა განაპირობებს იმას, თუ მიწოდებული ინფორმაციიდან რა კომპონენტებს მიაქცევს ყურადღებას მოსწავლე და რის სწავლას შეძლებს იგი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე

წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში და სასწავლო პროცესში გამოსაყენებელ მასალებში/აქტივობებში მკაფიოდ იკვეთება, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესი ეხმარება მოსწავლეებს დავალების/შესასრულებელი საქმიანობის ღირებულების განსაზღვრაში, დავალების/აქტივობის დაგეგმვაში, სწავლის პროცესის მონიტორინგსა და სწავლის, როგორც ქცევის სოციო-ემოციური მართვის პროცესში. გარდა ამისა, ინტერვიუს დროს, მასწავლებლებმა მკაფიოდ აღნიშნეს, რომ მათ გააზრებული აქვთ, რომ მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება ზრდის გააზრების, დამახსოვრებისა და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობებს. დაწყებით საფეხურზე კათედრის მიერ წარმოდგენილია მოსწავლეთა თვითშეფასების რუბრიკა და ამასთან, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა დააანონსეს, რომ დაგეგმილი აქვთ კიდევ უფრო მრავალფეროვანი თვითშეფასების/ ურთიერთშეფასების რუბრიკების წარმოება და მათ შორის სწავლის წინმსწრებ და სწავლის შემდგომ მეტაკოგნიტურ სტრატეგიებზე მუშაობაც. მათ აქვთ მკაფიო ხედვა, რომ სწავლის პროცესის შეფასება მოსწავლეს გამოუმუშავებს დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევებს, დაეხმარება სწავლის სტრატეგიების ათვისებაში, საშუალებას მისცემს, გაცნობიერებულად შეუწყოს ხელი საკუთარ წინსვლასა და წარმატებას. საერთო შეფასებით, დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებს

შეუძლიათ შესთავაზონ მოსწავლეებს ისეთი აქტივობები და დავალებები, რომლებიც ავითარებს მეტაკოგნიციას, ეხმარება სწავლაში ხელისშემწყობი/ხელისშემშლელი ფაქტორების გამოკვეთას, ახალისებს მოსწავლის ინდივიდუალურ გამოცდილებას, ცნობისმოყვარეობას და თვითრეგულირებულ სწავლას. შესაბამისად, მოცემული **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული).

სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები და სასწავლო პროცესში გამოსაყენებელ მასალები/აქტივობები ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითებს ასახავს. ამას გარდა, გასაუბრებაზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ დაწყებით საფეხურზე მოსწავლეებს შესთავაზონ ისეთი ტიპის კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები, რომელთა შესრულებაც მოითხოვს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, მოქმედების წესებსა და სტრატეგიებს, ცოდნის მოქმედებაში გადატანას, გამოყენებას კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში. აქედან გამომდინარე, გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ის ვალდებულება, რომ დააფიქრონ მოსწავლეები იმ ხერხებსა თუ მიდგომებზე, რაც დაეხმარება მათ საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებაში და სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებაში. შესაბამისად, მოცემული **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

წარმოდგენილ კურიკულუმებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ასახავს კომპლექსური ბუნების მქონე დავალებებს, სადაც განსახილველი თემის შინაარსი, საკითხი და პრობლემა მოსწავლისთვის უცხო არ არის. ამდენად, აღნიშნული უზრუნველყოფს იმ გარემოებას, რომ მოსწავლე იწყებს ფიქრს პრობლემაზე, გამოწვევაზე და თავს უყრის ყველა იმ უნარს და ცოდნას, რაც მას ამ მიმართულებით რელევანტურად მიაჩნია, ის ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე, ნაცვლად ახალი მასალის დასწავლისა და უბრალო რეპროდუქციისა. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში ასახულ დავალებებზე მუშაობა ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, საკუთარი თვალსაზრისის გასამყარებლად არგუმენტირებულ მსჯელობაზე, პროდუქტის შექმნაზე და ა.შ., რაც ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. შესაბამისად, ის არა მარტო განიხილავს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას, არამედ უშვებს იმასაც, რომ სხვებს შეიძლება სხვა მოსაზრება ჰქონდეთ, ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, არგუმენტებს, ცდილობს უპასუხოს კონტრარგუმენტით, მოძებნოს გამოსავალი. ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაწყებითი

საფეხურის სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. შესაბამისად, მოცემული **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- პროექტი- ბედნიერი ხარ;
- ინტეგრირებული გაკვეთილები V კლასი- ინგლისური-ბუნებისმეტყველება-ხელოვნება;
- განმსაზღვრელი/განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- თვითშეფასების სქემა;
- აქტივობები და დავალებები დიფერენცირებული სწავლებისთვის;
- უცხოური ენების საგნობრივი კათედრის ოქმი.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.**

საგნობრივი კურიკულუმის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სამიზნე ცნებები არის მთავარი ორიენტირი, რომელზეც სწავლა-სწავლების პროცესი მიემართება. სამიზნე ცნებებს აზუსტებს მკვიდრი წარმოდგენები, ქვეცნებები და საფეხურის საკვანძო კითხვები. რაც კარგად ჩანს როგორც კურიკულუმებში, აგრეთვე კომპლექსური დავალებების მატრიცებში. კურიკულუმის ჩარჩო სტრუქტურულად და შინაარსობრივად კარგად არის გაწერილი. სამიზნე ცნებები დაზუსტებულია ქვეცნებებით და ქვესაკითხებით და მიზეზ-შედეგობრივ ბმაშია

საკითხთა კლასტერთან. კურიკულუმის ჩარჩოს ახლავს კომპლექსური დავალების ბარათი, სადაც კარგად ჩანს რომ შინაარსობრივად სწორადაა საკითხები დაკლასტერებული, დაგეგმილი პროცესი კი ხელს უწყობს სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებზე გასვლას. **შესაბამისად, მოცემული ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი საგნობრივი ძირითადი ორიენტირები, თემები და კომპლექსური დავალებების იდეები მტკიცებულების სახით წარმოდგენილია კურიკულუმის ჩარჩოში, დანართების სახით მას ახლავს კომპლექსური დავალებები, რომელიც ცხადყოფს, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. შერჩეული თემები და კომპლექსური დავალებები უმეტესად მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე მოსწავლეებს ნამუშევრის შექმნისას, სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობისას უწევთ თვითგამოხატვა, კრიტიკული აზროვნება, დისკუსია, შემოქმედებითი პროდუქტების შექმნა, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში სოციალური ცნობიერების, გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებლობის უნარების განვითარებას. სკოლის მიმდინარე სტრატეგიული გეგმიდან, სასწავლო გეგმიდან და მისიიდან გამომდინარე ნათლადაა წარმოდგენილი სკოლის ხედვა დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების პიროვნული ზრდის და განვითარების პროცესთან მიმართებით, რაც აისახება მათ მიერ წარმოდგენილ მომავალი სასწავლო წლის ჩარჩო-კურიკულუმებით განსაზღვრული სასწავლო პროცესში. ამასთან სკოლას განხორციელებული აქვს სხვადასხვა საგნებში პროექტები, მათ შორის საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის ჩართულობით, სადაც ჩანს რომ მოსწავლეები ჩართული იყვნენ სხვადასხვა აქტივობებში. მასში ნათლად წარმოჩინდა, რომ პროექტების მიზანი და მიმართულებები ხელს უწყობს მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალური განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე

საგნობრივი კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან (საგნობრივი კურიკულუმები) გამომდინარე ჩანს, რომ მოსწავლეთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალურ გარემოებებს, გამოკვეთილია ის ფაქტორები, რაც ხელს უწყობს მოსწავლის სასწავლო პროცესში აქტიურ მონაწილეობას. (მაგ.კომპლექსური ბუნების დავალებები). მასწავლებლებლებს წარმოდგენილი აქვთ, როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლის ანალიზის საფუძველზე ჩანს, რომ შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და განუყოფელი ნაწილია მოსწავლის ყოველდღიურ პროცესში. უმეტესად შეფასება

ავთენტურია, შეესაბამება მოსწავლის საჭიროებებს, შეფასება ეხმარება მოსწავლეებს დაინახონ მათი ძლიერი და სუსტი მხარეები და ეხმარება მათ იმუშაონ არსებული გამოწვევების დასაძლევად.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საგნობრივი კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად ვრწმუნდებით, რომ უმეტესად შეფასების ინსტრუმენტების შერჩევა ხორციელდება მიზანზე ორიენტირებით. შეიძლება ითქვას, რომ შეფასება არის ვალიდური, რადგან მოსწავლეებმა იციან, რომ ვაფასებთ სწორედ იმას, რისი შეფასებაც გვაქვს განზრახული, რამდენად მიზნობრივად ვაფასებთ ამა თუ იმ მოცემულ შედეგს. შეფასება არის გამჭვირვალე, რადგან მოსწავლეებმა ზუსტად იციან თუ როგორ ფასდება მათი შრომა. მოსწავლეებმა იციან თუ რატომ არის მათი ცოდნა ღირებული და რა როლს ასრულებს ეს შედეგი მათი სწავლის პროცესში მიზანთან მიმართებით. შეფასება არის სანდო, რადგან შეფასება კონსისტენტური და მდგრადია, რადგან თითოეული ნიშანი/ქულა რეალისტური საზომია. შექმნილი შეფასების ინსტრუმენტები/რუბრიკები ეფუძნება გრძელვადიან სამიზნე ცნებებს. სკოლას ასევე დამატებით დოკუმენტაციაში მტკიცებულებებში წარმოდგენილი აქვს სხვადასხვა ტიპის შეფასების რუბრიკები (პრეზენტაციის, პროექტის და სხვ.), სადაც პროცესი მიმართულია მოსწავლის შედეგების გაუმჯობესებისკენ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი: „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი“ სადაც ვკითხულობთ, რომ ვერიფიკაცია არის სკოლაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. დოკუმენტში ზოგადადაა აღწერილი სკოლის მიერ ამ მიმართულებით განსახორციელებელი საქმიანობები. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში შეფასების სისტემის ვერიფიკაცია ხდება კათედრების დონეზე, ამ ეტაპზე შეფასების რუბრიკები გამოიყენება პედაგოგების მიერ გაწერილი, კონკრეტული საკითხების ერთობლიობაზე ან თემაზე მორგებული, ამჟამად სკოლაში შემუშავებულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. მასწავლებელთა გასაუბრებიდან ისიც გამოიკვეთა, რომ ისინი აანალიზებენ მოსწავლეთა ნაშრომებს და აქვთ მიზნიდან გამომდინარე, რუბრიკების ერთობლივად შექმნის გამოცდილება. შეიძლება ითქვას, რომ საგნობრივ კათედრებს აქვთ მზაობა გააგრძელონ მუშაობა ვერიფიკაციის მექანიზმის დახვეწა-განვითარებაზე. სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია მოსწავლის აკადემიური მიღწევის სისტემა და აღწერს შეფასების მიზნებს, ამოცანებს, ხერხებს. სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, სადაც ვკითხულობთ, რომ სტრატეგიული დაგეგმვის ერთ-ერთი პროცესია ინფორმაციის შეგროვება, კვლევა, ანალიზი (SWOT), სამოქმედო/სტრატეგიული გეგმების მონიტორინგი და შეფასება. პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად

გამოიკვეთა, რომ წარმოდგენილი ვერიფიკაციის მექანიზმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებენ კათედრები, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია და დაკვირვების შედეგად ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა . **ინდიკატორი დაკმაყოფილბულია**

სკოლას მიეცა რჩევა დახვეწოს დოკუმენტი -დააკონკრეტოს სკოლის მიერ განსახორციელებელი პროცედურები.

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემების აღრიცხვას, სკოლა აწარმოებს არქივს, რომელშიც ინახება მოსწავლეთა პირადი საქმეები, შემაჯამებელი სამუშაოები, პორტფოლიოები, პროექტები და სასწავლო პროცესში გამოყენებული სხვა მასალები, რომელთა შენახვა ხდება კანონით გათვალისწინებული ვადის მიხედვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები საგნების მიხედვით;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- პროექტები.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო.**

სკოლაში სასწავლო პროცესი ხორციელდება პოზიტიურ, თანამშრომლობით და დემოკრატიულ გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტების და კათედრებთან გასაუბრების შედეგების საფუძველზე. სკოლაში დაგეგმილი ხელშემწყობი აქტივობების ნაწილობრივ გაწერილია სკოლის განვითარების ერთწლიან სამოქმედო გეგმაში, სკოლაში შექმნილია დამატებითი სპორტული, სახელოვნებო სააღმზრდელო მომსახურეობა, თითოეულ კლასის დამრიგებელს შემუშავებული აქვს სადამრიგებლო პროგრამა, რომელიც მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებზე და ასაკობრივ კატეგორიაზე, სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებულია ინკლუზიური განათლების პროგრამა და კომპლექსური დავალებები, რაც უზრუნველყოფილია სკოლაში არსებული საგანმანათლებლო რესურსებით: ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, რესურს ოთახი, სპორტული ინფრასტრუქტურა და სხვა. დაწყებითი საფეხურის ყველა კლასისთვის სისტემატურად ტარდება ტექნოლოგიების გაკვეთილები, მოსწავლეები ამზადებენ STEM-ისა და INTEL-ის მიმართულებით დაგეგმილი პროექტების აქტივობებს, სკოლაში არის კეთილგანწყობილი, თანამშრომლობაზე აგებული ატმოსფერო. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და კათედრებთან გასაუბრებიდან ჩანს, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეთა მოტივაციისა და სასწავლო პროცესში მათი ჩართულობის ზრდაზე. მასწავლებელთა მიერ შემუშავებულია კურიკულუმები, დაგეგმილია არაფორმალური აქტივობები და პედაგოგების სადამრიგებლო პროგრამები. სასწავლო პროცესში გამოყენებულია დიფერენცირებული სწავლების მეთოდები და მიდგომები, სსსმ მოსწავლეებისთვის შექმნილია შესაბამისი სასწავლო გარემო რესურს ოთახის და შესაბამისი აქტივობების სახით, წინარე ცოდნის გააქტიურებისათვის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები იყენებენ სხვადასხვა სტრატეგიებს მაგ. მოსწავლეთა სწავლის თავისებურებებს კითხვით სწავლა, წერით სწავლა, მოსმენით სწავლა და ა.შ რაც უზრუნველყოფს მოსწავლეების ინტერესებზე, შესაძლებლობებზე და სწავლის სტილზე მორგებულ და მათზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის ჩამოყალიბებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

სკოლის სასწავლო პროცესის აღწერაში ჩანს სკოლაში დამკვიდრებული გამოცდილება პედაგოგების თანამშრომლობის სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან. დაწყებით საფეხურზე აქტიურად მიმდინარეობს „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი, რაც გულისხმობს გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებას და ინტეგრირებული გაკვეთილების დაგეგმვას, უკუკავშირის მიღებას და რეკომენდაციების შემუშავებას საგაკვეთილო პროცესის გასაუმჯობესებლად. მშობლებს აქვთ შესაძლებლობა დაესწრონ სკოლის დაწყებითი საფეხურზე ჩატარებულ სხვადასხვა ღონისძიებასა და სპორტულ ფესტივალებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

სკოლაში პოზიტიური კლიმატის ჩამოყალიბებას განაპირობებს თანამშრომლობაზე დაფუძნებული ურთიერთობები. სკოლას დაგეგმილი აქვს მრავალი აქტივობა, რომელიც ნაწილობრივ გაწერილია სკოლის განვითარების ერთწლიან სამოქმედო გეგმაში . მასწავლებლები ეხმარებიან მოსწავლეებს დაეუფლონ კონფლიქტის გადაჭრის სტრატეგიებს შეძლონ თამამად გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები და გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულებები. მაგრამ არსებობს რიგი საკითხები, რომლებიც გაუმჯობესებას საჭიროებს და ამისათვის სკოლის სრული მზაობაა, პოზიტიური კლიმატის სათანადოდ გაუმჯობესების ღონისძიებების დანერგვის მიზნით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- სკოლის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად.**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან (სასკოლო კურიკულუმი, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, სკოლის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, კათედრის სხდომის ოქმები, შეფასების რუბრიკები) ცხადყოფს, რომ/შემუშავებულია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომლის საშუალებითაც მოხდება სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი და შეფასება. მონიტორინგისა და შეფასების მიზანია გაირკვეს, მიმდინარეობს თუ არა პროცესი დაგეგმილის შესაბამისად და რამდენადაა შესაძლებელი დაგეგმილი აქტივობების საშუალებით შედეგების მიღწევა. პედაგოგებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის

საფუძველზე ირკვევა, რომ სისტემატიურად ხდება გაკვეთილებზე დაკვირვება, ურთიერთ დასწრება და ამის შედეგად მასწავლებელთა და მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა. სასწავლო პროცესზე დაკვირვება პედაგოგების მხრიდან აღქმულია, როგორც მხარდაჭერის მექანიზმი, რომელიც დაეხმარებათ მათ უკეთესი შედეგების მიღწევაში. გასულ სასწავლო წელს რეფლექსია და პროფსიული განვითარების საშუალება. უკუკავშირი პედაგოგებს მიეწოდებოდათ ზეპირსიტყვიერად, მიმდინარე სასწავლო წლისთვის კი იგეგმება წერილობითი უკუკავშირის დანერგვა და მათი ასახვა კათედრის ოქმებში. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით და იმის დასადგენად, თუ რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგები, სკოლა გეგმავს წელიწადში ორჯერ სადიაგნოსტიკო შეფასების პირველი ინსტრუმენტის გამოყენებას. გარდა ამისა, ესთეტიკის კათედრის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ისინი ცდილობენ კურიკულუმში მოსწავლეთათვის საინტერესო კომპლექსური დავალებების ჩართვას. ასეთი იყო მე-4 კლასის კომპლექსური დავალება თემაზე "მე და გარე სამყარო", რომელზე მუშაობამაც განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

სკოლას გაცნობიერებული აქვს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერისა და დახმარების მნიშვნელობა სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში. ესთეტიკის კათედრის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ისინი აქტიურად თანამშრომლობენ კლასის დამრიგებლებთან მოსწავლეთა სოციალური და ფსიქოლოგიურ მდგომარეობის გაცნობის მიზნით, რადგან მიაჩნიათ, რომ ამ ფაქტორების გათვალისწინება მნიშვნელოვანია მოსწავლეთა წინსვლისათვის. პედაგოგები აკვირდებიან, თუ როგორ უწყობს ხელს გამოყენებული აქტივობები მოსწავლეებში კრიტიკული, შემოქმედებით აზროვნების, დამოუკიდებელი სწავლის, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარების განვითარებას. ესთეტიკის საგნების პედაგოგებმა წარმოადგინეს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც მიმართულია გრძელვადიან მიზნებზე და ემსახურება მოსწავლეთა მხარდაჭერასა და დახმარებას. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება პედაგოგებს საშუალებას აძლევს გადახედონ და შეაფასონ როგორც საკუთარი, ისე კოლეგების მიერ განხორციელებული აქტივობები, დააკვირდნენ შედეგებს და განსაზღვრონ, რამდენად შეესაბამება მიღებული დაგეგმილს და რა არის საჭირო უკეთესი შედეგების მისაღებად, მსჯელობენ მოსწავლეთა ნამუშევრების დადებით და პრობლემურ მხარეებზე და შედეგების გაუმჯობესების გზებზე. მაგალითად, მუსიკის მასწავლებელმა აღნიშნა, რომ ისინი აქტიურად აკვირდებიან და განიხილავენ პარალელურ კლასებში კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესს, ახდენენ დავალების მოდიფიცირებას კლასების შესაძლებლობებისა და ინტერესების შესაბამისად. სკოლაში მუშაობს "კრიტიკული მეგობრის" ინსტიტუტი, რომელიც კოლეგებს აწვდის პოზიტიურ უკუკავშირს, მიუთითებს ხარვეზების გამოსწორების გზებზე. მიმდინარე სასწავლო წელს იგეგმება ურთიერთდასწრების გრაფიკის, შეფასების სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე დოკუმენტის შექმნა, რაც ორიენტირებული იქნება სასკოლო საზოგადოების წევრების ურთიერთდახმარებასა და მხარდაჭერაზე.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.**

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მნიშვნელობა წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის პროცესში. მათ მიაჩნიათ, რომ მონიტორინგი და შეფასება არის არა შეცდომების აღმოჩენის საშუალება, არამედ ხარვეზების გამოსწორების, შეცდომებზე სწავლის მექანიზმი. როგორც ესთეტიკის კათედრის მიერ წარმოდგენილი მე-12 რესურსიდან ჩანს, 2023/24 სასწავლო წელს მოსწავლეების მიღწევის შესახებ ინფორმაციის გაზიარება და მასწავლებლების პედაგოგიური საჭიროების დადგენა მოხდება განმავითარებელი შეფასებისა და თემატური მატრიცის საშუალებით. ასევე მოსწავლეთა საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით და მათი მიღწევების სასურველ შედეგებთან შედარების

მიზნით, სემესტრში ერთხელ სკოლაში იგეგმება შეფასების პირველი ინსტრუმენტის გამოყენება. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება მათ ეხმარებათ პრობლემის იდენტიფიცირებაში, მაგალითად, რაზე უნდა გაამახვილონ ყურადღება კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ მასწავლებლები ერთად გეგმავენ, თუ რა ინტერვენციებია გასატარებელი სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
- მე-12 ოქმები;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს** .

სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალების შესწავლის(საგნობრივი კურიკულუმები, სკოლის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, კათედრის სხდომის ოქმები) და სკოლაში არსებულ პრაქტიკაზე დაყრდნობით (რომელიც მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა), შეიძლება ითქვას რომ, სასწავლო პროცესის შეფასება ეყრდნობა სხვადასხვა წყაროს: გამოკითხვა, სხვადასხვა ტიპის შეფასების კითხვარი, სასწავლო პროცესზე დაკვირვება, კომპლექსური დავალების შესრულების პროცესზე დაკვირვება, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, პროექტების განხორციელების პროცესზე დაკვირვება, დიაგნოსტიკური წერის შედეგების ანალიზი. გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება და რეკომენდაციების მიცემა, აგრეთვე, მოსწავლეთა ჩართულობა არაფორმალურ განათლებაში, კლასგარეშე აქტივობებში მონაწილეობა. სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებში საუბარია სამომავლო ხედვაზე, რომლის თანახმად, სამომავლოდ იგეგმება ჰოლისტური შეფასების ერთიანი, ინტეგრირებული და სისტემური მეთოდების შემუშავება და დოკუმენტური სახის მიცემა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით.

მოსწავლის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს ყველა იმ კონტექსტს, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მოსწავლის ჩართულობაზე, განვითარებასა და მიღწეულ შედეგზე. შესაბამისად, სკოლა ცდილობს განსაზღვროს რა ფაქტორები ეხმარება ან აფერხებს საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. მასწავლებლებთან გასაუბრებისას იკვეთება, რომ საგნების სწავლებისას, ისინი ცდილობენ გაითვალისწინოს კლასის განწყობა საგნისადმი, საკითხისადმი, გარემო, წინარე ცოდნა და ასე მოახდინოს მოსწავლის შეფასება. მასწავლებლები შეფასებისას აგრეთვე ითვალისწინებენ მოსწავლის სოციალურ და ფსიქოემოციურ მდგომარეობას, რომლის შესახებაც სისტემატურად იღებენ ინფორმაციას კლასის დამრიგებლის და საგნის მასწავლებლებისგან. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, სადაც ვკითხულობთ ,რომ სტრატეგიული დაგეგმვის ერთ-ერთი პროცესია ინფორმაციის შეგროვება, კვლევა, ანალიზი (SWOT), სამოქმედო/სტრატეგიული გეგმების მონიტორინგი და შეფასება. შეფასების ვალიდურობა დამოკიდებულია ბევრ მნიშვნელოვან ფაქტორზე, მათ შორის მონაცემთა მოპოვების მეთოდებზე. სკოლა შეფასებისას მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდს იყენებს: მოსწავლეთა ზოგადი შეფასება, მრავალმხრივი შეფასება განმავითარებელი კომენტარითა და განმსაზღვრელი ნიშნით. შეფასებისთვის სკოლა ასევე იყენებს ტესტებს, სადიაგნოსტიკო წერებს, საკლასო და საშინაო დავალებებს, კომპლექსურ დავალებებს. შესწავლილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ სხვადასხვა აქტივობის შეფასების სქემები. კონკრეტული სასწავლო ერთეულის დასრულებისას მოსწავლე ფასდება შემაჯამებელი დავალების კომპონენტში. სკოლას აქვს ხედვა, თუ როგორ განაზოგადოს დიაგნოსტიკური კვლევის პროცესში მიღებული შედეგები.მასწავლებლები თანამშრომლობენ მშობლებთან და კლასის დამრიგებლებთან. მათი დახმარებით ადგენენ მოსწავლეების ინტერესების სფეროს, გამოკვეთენ მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს, რისი საშუალებითაც ექმნებათ სრული წარმოდგენა მოსწავლეების შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია მოსწავლეთა შეფასების პრინციპები, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმიდან გამომდინარეობს. წარმოდგენილი დოკუმენტაციით შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, სკოლა გეგმავს კომპლექსური დავალებებით სწავლებას რაც იძლევა მრავალფეროვანი კონტექსტის გათვალისწინების საშუალებას. ინტერვიუირების დროს გაკეთებული მიგნებების მიხედვით მასწავლებლები 2023-2024 სასწავლო წელს აპირებენ მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზს, ასევე გეგმავენ შეიმუშაონ მოსწავლის დიფერენცირებული პროფილი, მოახდინონ მოსწავლის სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირება, შეფასებისას გაითვალისწინონ გარე ფაქტორები, რომელიც გავლენას ახდენს მოსწავლის შედეგებზე(სწავლების სტრატეგიების ეფექტურობა,დამხმარე რესურსების ეფექტიანად გამოყენება, სახელმძღვანელო, გამოცდილება, ემოციური მდგომარეობა, ინტელექტი, ჯანმრთელობა და სხვა). სკოლაში არსებულ პრაქტიკაზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლები შეფასებისას ცდილობენ გაითვალისწინოს გარე ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ მოსწავლის შედეგებზე. ასევე ირკვევა და დოკუმენტაციიდანაც ჩანს, რომ პედაგოგიურ საბჭოზე და კათედრის სხდომებზე ხდება შეფასების შედეგების განხილვა და ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორების გამოკვეთა, ეს კი იძლევა

იმისი თქმის შესაძლებლობას, რომ სამომავლოდ კიდევ უფრო მეტი ყურადღება დაეთმობა აღნიშნულ საკითხს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საგნობრივი კურიკულუმები;
- სკოლის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- შეფასების რუბრიკები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი

სკოლას გაცნობიერებული აქვს ის გარემოება, რომ სასკოლო კურიკულუმის განვითარება კომპლექსური პროცესია, რომელიც საჭიროებს მიმდინარე პროცესების შესწავლასა და რეფლექსიას, რაც ხელს შეუწყობს დასახული მიზნების მიღწევას და შედეგების გაუმჯობესებას. პედაგოგების ინტერვიუებიდან და წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან იკვეთება, რომ სკოლა 2020 წლიდან ჩართულია ახალი სკოლის მოდელში და დაგროვილი აქვს გარკვეული გამოცდილება კურიკულუმების საშუალებით სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებით. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმში ასახულია სკოლის პრიორიტეტები, გათვალისწინებულია სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები, ხდება მიღებული გამოცდილების გაანალიზება. ესთეტიკის კათედრის წევრებმა განაცხადეს, რომ ისინი სისტემატიურად ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, აანალიზებენ ჩატარებულ გაკვეთილებს, განიხილავენ განმავითარებელი შეფასებების რუბრიკებს, იზიარებენ

საუკეთესო პრაქტიკას, პოზიტიურ უკუკავშირს აძლევენ ერთმანეთს, ხარვეზის შემთხვევაში კი ერთად სახავენ პრობლემების გადაჭრის გზებს. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მიმდინარე სასწავლო წელს კურიკულუმის მხარდაჭერა და განვითარება დაეყრდნობა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიას, რომელიც სამ, მოსწავლის (ნანო), მასწავლებლის (მიკრო დონე) და სკოლის (მეზო) დონეებზე განიხილება. თითოეულ დონეზე მიმდინარე პროცესების აღწერას მასწავლებლები გეგმავენ წინასწარ შეთანხმებული ინსტრუმენტების საშუალებით. შეგროვილი მონაცემების საფუძველზე მოხდება კურიკულუმის შესწავლა და საჭიროების შემთხვევაში, მოხდება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტის შექმნა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის თანახმად, კურიკულუმის განვითარება მუდმივი პროცესია და სკოლა ვალდებულია ყოველწლიურად განაახლოს დოკუმენტი წინა წლის მონაცემების ანალიზის საფუძველზე. ახალი კურიკულუმების შემუშავება მოხდა გასულ სასწავლო წლის ბოლოს, წინა წლის კურიკულუმის საფუძველზე, წინარე გამოცდილების გათვალისწინებით. მხედველობაში იქნა მიღებული ის პრობლემები, რომლებიც წინა წლის კურიკულუმის დანერგვისას წარმოიქმნა და გათვალისწინებული იქნა წარმატებული პრაქტიკა. მაგალითად, ესთეტიკის კათედრამ, სკოლის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, გადაწყვიტა წელიწადში ორი კომპლექსური დავალება განეხორციელებინა. ხელოვნების მასწავლებელმა, კოლეგებს გააცნო წინა სასწავლო წელს მეოთხე კლასში წარმატებულად განხორციელებული კომპლექსური დავალება თემაზე "მე და გარესამყარო", რომლის პირობის თანახმადაც მოსწავლეებს სხვადასხვა ტექნიკის გამოყენებით (ფერწერა, გრაფიკა, აპლიკაცია) უნდა აესახათ მათთვის საინტერესო ბუნებრივი მოვლენები. დავალებამ დიდი ინტერესი გამოიწვია მოსწავლეებში და ამ დავალების განხორციელება წელსაც იგეგმება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- სკოლის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- კათედრის სხდომის ოქმები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.

სკოლის შინაგანაწესის, სასკოლო სასწავლო გეგმის ძირითადი საგანმანათლებლო პრინციპების ნაწილის, სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის, საგნობრივი კათედრების ფუნქციებისა და მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსის მიხედვით, საბაზო საფეხურის კურიკულუმის შემუშავების ეტაპი თანამშრომლობითი პროცესია, რომელშიც ჩართულები არიან სკოლის მასწავლებლები, გათვალისწინებულია მშობელთა საერთო კრებებზე მშობლების მიერ დაფიქსირებული მოსაზრებები. სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობისა და მოსწავლეების ინიციატივები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

საბაზო საფეხურის კურიკულუმში სასკოლო, საკლასო და კლასგარეშე აქტივობებით განსაზღვრულ სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტში გათვალისწინებულია მასწავლებლების მიერ დადგენილი მოსწავლეთა საჭიროებები, მოსწავლეების მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ დაფიქსირებული მოსაზრებები და მოსწავლეთა ინტერესები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კათედრისა და პედაგოგიური საბჭოს ოქმების შინაარსის მიხედვით საბაზო საფეხურის კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულები არიან საფეხურის მასწავლებლები, საფეხურის მოსწავლეების მშობლები და მოსწავლეები. მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ კურიკულუმის შემუშავების პროცესში მთელი სასკოლო საზოგადოების ჩართვის მნიშვნელობა. მათ აღნიშნეს, რომ ასე მოხდება მოსწავლეთა ინტერესების უკეთ გათვალისწინება, გაიზრდება მოსწავლეთა ჩართულობა სწავლის პროცესში და მოტივაცია. პედაგოგებმა გამოთქვეს მზაობა, რომ მომავალი სასწავლო წლიდან მოხდება არა მარტო კურიკულუმების გაზიარება, არამედ, ამ პროცესში უფრო აქტიურად ჩართავენ მშობლებსა და მოსწავლეებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

საბაზო საფეხურის კურიკულუმით განსაზღვრული საკლასო, სასკოლო და კლასგარეშე აქტივობების შესახებ მოსწავლეების მშობლებს ინფორმაცია მიეწოდებათ კლასის მშობელთან საერთო კრებებსა თუ სოციალურ ქსელში არსებული დახურული ჯგუფების საშუალებით. სკოლაში ვიზიტის პერიოდში, საგნის მასწავლებლები, მათ მიერ დაგეგმილი მიზნობრივი აქტივობების მოსწავლეების მშობლებისთვის ინფორმაციის მიწოდების ერთ-ერთ მექანიზმად სადამრიგებლო პროგრამით გაწერილ დამრიგებლის ფუნქციას ასახელებენ.ასევე წარმოადგინეს მშობლის ბარათები რომელშიც კომპლექსური დავალების განხორციელების აქტივობების მიზნები და ეტაპებია გაწერილი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- საბაზო საფეხურის კურიკულუმი;
- მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის შეხვედრის N1,2,3 და 4 ანგარიშის ფორმა.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას

კურიკულუმი მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებს, კურიკულუმის ჩარჩო წარმოდგენილია საბაზო საფეხურის ყველა კლასში. თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, მითითებულია ისეთი კონტექსტ-მაგალითები, რომელიც მოსწავლის ტრანსფერს უწყობს ხელს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ უმთავრესი მიზანი მოსწავლის პიროვნულ ძალთა

განვითარების ხელშეწყობაა. რისთვისაც მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფი აწყობს შეხვედრებს და განიხილავენ საბაზო საფეხურზე კომპლექსური დავალების სტრუქტურას, კომპლექსური დავალებისთვის შერჩეულ თემატურ ერთეულებს, მის დიფერენცირებულ ვერსიებს და ზოგადად, მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების სტრატეგიებს. მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების დადგენის მიზნით მასწავლებლები ცდილობენ მიღებული ცოდნა და უნარები მაქსიმალურად გამოიყენონ. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით შექმნილია სადამრიგებლო პროგრამა, სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა. შექმნილია ადაპტირებული კომპლექსური დავალებები, რომელშიც გათვალისწინებულია საბაზო საფეხურის მოსწავლეთა უნარები და მათი ინტერესები. სკოლას წარმოდგენილი აქვს ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა თემაზე - ვაჟა-ფშაველას „ხმელი წიფელში“ ფერწერა და პეიზაჟი. მიზანი - ტექსტის ინტერპრეტაცია პირად ან/და ლიტერატურულ გამოცდილებაზე დაყრდნობით (მაგ., ხედვის პერსპექტივის შეცვლით, დროსა თუ სივრცეში გადანაცვლებით); ხელოვნების კონკრეტული ნიმუშის ანალიზი (მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები, ეპოქა, სტილი, მიმდინარეობა, დარგი, ჟანრი, ავტორი), ინტერპრეტაცია და შეფასება; ნამუშევრის შექმნა თვითგამოხატვისათვის, მიზნის შესაბამისად მრავალფეროვანი სტრატეგიების, მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების, სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის გააზრებულად და შემოქმედებითად გამოყენება; შედეგი თვალსაჩინოა თუ მოსწავლე შეძლებს ნახატით გადმოსცეს/აღწეროს მწერლის მიერ ნაწარმოებში დახატული ხმელი წიფლის განცდები, გრძნობები, ფიქრები თუ ოცნებები, სადაც გააზრებულად გამოიყენებს მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებს, მასალასა და ტექნიკას (მაგ.: ფერწერა, გრაფიკა და სხვ.) მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნა პრიორიტეტულ საკითხად დასახელდა დაწყებითი კათედრის სხდომის ოქმში, სადაც განხილული იყო კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები. ამ მიმართულებებით სკოლაში განხორციელდა მედიაკვირეული, კონფერენცია თემაზე- ვართ თუ არა მედიაწიგნიერები, მოეწყო საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრის წარმომადგენლებთან.

უცხოური ენები - შერჩეულ კომპლექსურ დავალებებში მუშავდება მხოლოდ თემის ნაწილი და არა სრულად თემა. აღნიშნულთან დაკავშირებით მასწავლებლებს მიეცათ რჩევა, რომ კომპლექსური ბუნების დავალებით/დავალებებით დამუშავდეს სრული თემა (და არა ნაწილი). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2.კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები).

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში ძირითადად გაწერილია სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები. თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, მითითებულია ისეთი კონტექსტ მაგალითები, რომელიც მოსწავლის ტრანსფერს უწყობს ხელს. მე-9

კლასში სამიზნე ცნებაზე - ჟანრი, კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები, კონტექსტი - მასწავლებელი მუშაობს ძირითად საკითხებითა და კონტექსტმაგალითებით: შოთა რუსთაველის " ამბავი როსტევან არაბთა მეფისა", ირაკლი აბაშიძის „ხმა კატამონთან"და „სიმღერა ნიბელუნგებზე". მოსწავლეები მუშაობენ კომპლექსურ დავალებაზე-მემუარის წერა შოთა რუსთაველის ბიოგრაფიული ცნობებისა და ირაკლი აბაშიძის ლექსის ,,ხმა კატამონთან" საფუძველზე. მთავარი ფოკუსი სამიზნე ცნებებია. სასწავლო პროცესში მუშაობა სწორედ მათ მიემართება და კურიკულუმშიც მკაფიოდ იკვეთება ეს ორიენტირებულობა.

საბაზო საფეხურის კლასებში გაწერილია თემები თავისი სამიზნე ცნებებითა და საჭირო რესურსებით. კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილია კომპლექსური დავალებები თავისი კონტექსმაგალითებით. პედაგოგები ყველა სამიზნე ცნებას ააქტიურებენ ყველა თემის ფარგლებში. საბაზო საფეხურზე მოსწავლეები ქმნიან შემოქმედებით პროდუქტებს: მემუარი, ბიოგრაფიული ნარკვევი, არგუმენტირებული ესე, ეპიზოდის გავრცობა დიალოგის გამოყენებით, მოთხრობის წერა ორი დაპირისპირებული პერსონაჟის გამოკვეთით, ანალიტიკური ესე და სხვ. რომელთა საშუალებითაც ისინი ეუფლებიან გლობალურ ფუნქციურ უნარებს (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია და სხვ.), ადასტურებენ ცოდნას საგნობრივ საკითხზე და ექმნებათ მკვიდრი წარმოდგენები. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლის მიერ თხზულებაზე მუშაობის დროს, ცხადია, მათ უვითარდებათ ნარატივის უნარი. ამ შემთხვევაში კი აქტიურდება მაკროცნება ,,წიგნიერება". პედაგოგებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ კათედრა მზადაა, იმუშაოს კურიკულუმის განვითარებასა და დახვეწაზე და კომპლექსური დავალებების განხორციელებაზე.

ესთეტიკური აღზრდა - სკოლას მიეცა რჩევა: მე-8 კლასების კურიკულუმში მეორე და მესამე კომპლექსურ დავალებებში შეიტანოს მაგალითები შედარებისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, სასწავლო პროცესში სკოლა ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, ზოგადად სასწავლო პროცესის ინკლუზიურ ხედვას, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, განათლების თანამედროვე პარადიგმების რეალიზებას სასკოლო სივრცეში, როგორიცაა სწავლის კონსტრუქტივისტული ფილოსოფია, მოსწავლისადმი ჰოლისტური მიდგომა, მოსწავლეზე ორიენტირებული სიღრმისეული სწავლა და ა.შ. და მეორე მხრივ, პოზიტიური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას. სკოლამ წარმოადგინა ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა , ინდივიდუალური სამუშაო გეგმა, ისგ ჯგუფის სხდომის ოქმები, რომელიც ეხება

მოსწავლეთა ინდივიდუალური გეგმებისა და ადაპტირებული კომპლექსური დავალებების შემუშავებას, ხოლო შემდეგ ეტაპზე მათ განხორციელებასა და მიღწეულ შედეგებს. ამ მიმართულებით პედაგოგებს აქვთ გამოცდილება. საბაზო საფეხურის მასწავლებლები სასწავლო პროცესში, ასევე, აქტიურად იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს. წარმოდგენილია დიფერენცირებული კომპლექსური დავალება მე-7 კლასში - მოთხრობის წერა უსულო საგნის გასულიერებით. ინკლუზიური განათლების განხორციელების მონიტორინგის ჯგუფი ახორციელებს ინკლუზიური განათლების პროცესის შეფასებასა და თვითშეფასებას. სასკოლო საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს, რომ საჭიროა ყოველთვის იმის გაანალიზება, თუ რამდენადაა მორგებული საგნობრივი კურიკულუმები, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველი დოკუმენტები კონკრეტული მოსწავლეების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს; რამდენად მოქნილია სასწავლო გარემო (პროცესი, შინაარსი) მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში მასწავლებლები იყენებენ როგორც განმავითარებელ შეფასებას, ასევე განმსაზღვრელ შეფასებას. წარმოდგენილია კომპლექსურ დავალებაზე დაფუძნებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც სამიზნე ცნებასთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებს განსაზღვრავს. ტროპის სახეობებზე მუშაობის დროს მასწავლებლები ითვალისწინებენ, რომ მკვიდრი წარმოდგენების ჩამოსაყალიბებლად - მკითხველზე/მსმენელზე შთაბეჭდილების მოსახდენად, მეტი დამაჯერებლობისთვის მნიშვნელოვანია მრავალფეროვანი და მხატვრული ლექსიკის გამოყენება, შინაარსის გამდიდრება ემოციებისა და გრძნობების გამომხატველი სიტყვებით. შესაბამისად, შერჩეულია კრიტერიუმები. ასევე, ხორციელდება ურთიერთშეფასება და თვითშეფასება მოსწავლეების მიერ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრა სისტემატურად ხვდება ერთმანეთს და უზიარებს წინარე გამოცდილებას, იმ გამოწვევებს, რომლის მოგვარებასაც მიმდინარე სასწავლო წელს აპირებენ, რათა უკეთესად დაგეგმონ სასწავლო პროცესი. სკოლამ წარმოადგინა მასწავლებელთა შეხვედრის ანგარიშები, სადაც გაანალიზებულია განხორციელებული კომპლექსური დავალებების, აქტივობების ძლიერი და სუსტი მხარეები, რაც გათვალისწინებული იქნება შემდგომში განსახორციელებელი კომპლექსური დავალებების დაგეგმვისას . პედაგოგები გასაუბრების პროცესში აღნიშნავენ, რომ სასკოლო

კურიკულუმისა და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვებასა და ანალიზს შეძლებენ სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. ეს ინფორმაცია იკითხება სკოლის მიერ წარმოდგენილი კათედრის სხდომებიდან, გაკვეთილზე დაკვირვების რუბრიკიდან. კათედრა ახორციელებს მოსწავლეთა ნამუშევრების, დავალებების შეფასებასა და ანალიზს, სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირს. სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის განვითარების მექანიზმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები)ბა

- საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
- ხარისხის განვითარების მექანიზმები;
- მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის შეხვედრის N4 ანგარიში;
- კათედრის ოქმი N1;
- VII კლასის ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა;
- VII კლასის კომპლექსური დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკა.
- VII კლასის დიფერენცირებული კომპლექსური დავალება.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი კურიკულუმების და სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი მასალების/აქტივობების გაცნობისას შეიძლება დავასკვნათ, რომ დაგეგმილი კურიკულუმის რეალიზება მიმართულია ისეთ საკლასო გარემოზე და საგაკვეთილო პროცესზე, როდესაც საკვანძოდ მნიშვნელოვანია ისეთი აქტივობების განხორციელება, სადაც მოსწავლე არის ცენტრალური სუბიექტი და აქტიურადაა ჩართული სასწავლო პროცესში. აბაზო საფეხურის კურიკულუმში მოცემული შუალედური მიზნები, საშუალებას აძლევს მოსწავლეს, რომ გაეცნოს ახალ ინფორმაციას, გადაამუშაოს და განიხილოს იგი ახალ კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცეს და ახსნას იდეები თავისი სიტყვებით იქნება ეს წერილობით, თუ ზეპირი სახით. კურიკულუმის გაცნობისას და მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ის, რომ ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების პროცესში მათი როლი არის ორგანიზებული, მიზნობრივი გარემოს შექმნა, სადაც გამოწვევები დაკავშირებული იქნება მოსწავლის მიერ მიღებული ინფორმაცია ცოდნად გარდაქმნასთან, რაც მოითხოვს ამ ცოდნის აქტიურ დამუშავებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით

კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები, და სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი მასალები/აქტივობები აგებულია კონსტრუქტივიზმის პრინციპების გათვალისწინებით. მოსწავლისათვის ნაცნობი თემა და კონტექსტი წარმოადგენს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას. ზოგიერთ შემთხვევებში, წარმოდგენილი კონტექსტ - მაგალითები საჭიროებს დახვეწას, თუმცა, უმეტეს შემთხვევაში ისინი გათვლილია წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახლის შესწავლაზე. ამასთან, შერჩეული თემების ფარგლებში ასახული საკითხები და კომპლექსური დავალებების პირობაც ფორმულირებულია ისე, რომ შემოაქვს სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტები. კერძოდ, კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს მოუწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა და ა.შ. მოსწავლისათვის ნაცნობი ეს შინაარსიანი კონტექსტი ეხმარება მათ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში, რაც სწორედ წინარე ცოდნის გააქტიურებას მოიაზრებს. რაც შეეხება სასწავლო პროექტზე მუშაობის გამოცდილებას, საბაზო საფეხურზე წარმოდგენილია პროექტი „ ბედნიერი ხარ“ და ამასთან, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ უშუალოდ უცხოური ენის საბაზო საფეხურზეც იგეგმება სასწავლო პროექტის განხორციელება. მათ აქვთ მზაობა, რომ ამ გზით წაახალისონ მოსწავლეები მათთვის საინტერესო არაფორმალური განათლების აქტივობებით, რათა მსგავსი თანამშრომლობითი მუშაობით მაქსიმალურად მიუახლოვდეს სასწავლო პროცესს მოსწავლის გამოცდილება. მასწავლებლებს

გააზრებული აქვთ, რომ ინფორმაციის დამუშავება და ცოდნად გარდაქმნა წინარე ცოდნის საშუალებით ხორციელდება. აღნიშნულს მათ დაუკავშირეს ასევე კათედრის მიერ შერჩეული სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტის წარმოებაც და მასწავლებლების მიერ საკუთარი პრაქტიკის კვლევაც და სიღრმისეულად ისაუბრეს მათ მიზნობრიობაზეც. საერთო შეფასებით, საბაზო საფეხურზე მასწავლებლებს აქვთ მკაფიო ხედვა, რომ წინარე ცოდნა განაპირობებს იმას, თუ მიწოდებული ინფორმაციიდან რა კომპონენტებს მიაქცევს ყურადღებას მოსწავლე და რის სწავლას შეძლებს იგი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე

წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში და სასწავლო პროცესში გამოსაყენებელ მასალებში/აქტივობებში მკაფიოდ იკვეთება, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესი ეხმარება მოსწავლეებს დავალების/შესასრულებელი საქმიანობის ღირებულების განსაზღვრაში, დავალების/აქტივობის დაგეგმვაში, სწავლის პროცესის მონიტორინგსა და სწავლის, როგორც ქცევის სოციო-ემოციური მართვის პროცესში. გარდა ამისა, ინტერვიუს დროს, მასწავლებლებმა მკაფიოდ აღნიშნეს, რომ მათ გააზრებული აქვთ, რომ მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება ზრდის გააზრების, დამახსოვრებისა და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობებს. საბაზო საფეხურზე კათედრის მიერ წარმოდგენილია მოსწავლეთა თვითშეფასების რუბრიკა და იკვეთება, რომ მასწავლებლებს საბაზო საფეხურზეც აქვთ ამ მიმართულებით მუშაობის გამოცდილება. ამასთან, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა დააანონსეს, რომ დაგეგმილი აქვთ კიდევ უფრო მრავალფეროვანი თვითშეფასების/ურთიერთშეფასების რუბრიკების წარმოება და მათ შორის სწავლის წინმსწრებ და სწავლის შემდგომ მეტაკოგნიტურ სტრატეგიებზე მუშაობაც. მათ აქვთ მკაფიო ხედვა, რომ სწავლის პროცესის შეფასება მოსწავლეს გამოუმუშავებს დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევებს, დაეხმარება სწავლის სტრატეგიების ათვისებაში, საშუალებას მისცემს, გაცნობიერებულად შეუწყოს ხელი საკუთარ წინსვლასა და წარმატებას. საერთო შეფასებით, საბაზო საფეხურის მასწავლებლებს შეუძლიათ შესთავაზონ მოსწავლეებს ისეთი აქტივობები და დავალებები, რომლებიც ავითარებს მეტაკოგნიციას, ეხმარება სწავლაში ხელისშემწყობი/ხელისშემშლელი ფაქტორების გამოკვეთას, ახალისებს მოსწავლის ინდივიდუალურ გამოცდილებას, ცნობისმოყვარეობას და თვითრეგულირებულ სწავლას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)

სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები და სასწავლო პროცესში გამოსაყენებელ მასალები/აქტივობები ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითებს ასახავს. ამას გარდა, გასაუბრებაზე

გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ საბაზო საფეხურზე მოსწავლეებს შესთავაზონ ისეთი ტიპის კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები, რომელთა შესრულებაც მოითხოვს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, მოქმედების წესებსა და სტრატეგიებს, ცოდნის მოქმედებაში გადატანას, გამოყენებას კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში. აქედან გამომდინარე, გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ის ვალდებულება, რომ დააფიქრონ მოსწავლეები იმ ხერხებსა თუ მიდგომებზე, რაც დაეხმარება მათ საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებაში და სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

წარმოდგენილ კურიკულუმებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ასახავს კომპლექსური ბუნების მქონე დავალებებს, სადაც განსახილველი თემის შინაარსი, საკითხი და პრობლემა მოსწავლისთვის უცხო არ არის. ამდენად, აღნიშნული უზრუნველყოფს იმ გარემოებას, რომ მოსწავლე იწყებს ფიქრს პრობლემაზე, გამოწვევაზე და თავს უყრის ყველა იმ უნარს და ცოდნას, რაც მას ამ მიმართულებით რელევანტურად მიაჩნია, ის ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე, ნაცვლად ახალი მასალის დასწავლისა და უბრალო რეპროდუქციისა. საბაზო საფეხურის კურიკულუმებში ასახულ დავალებებზე მუშაობა ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, საკუთარი თვალსაზრისის გასამყარებლად არგუმენტირებულ მსჯელობაზე, პროდუქტის შექმნაზე და ა.შ., რაც ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. შესაბამისად, ის არა მარტო განიხილავს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას, არამედ უშვებს იმასაც, რომ სხვებს შეიძლება სხვა მოსაზრება ჰქონდეთ, ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, არგუმენტებს, ცდილობს უპასუხოს კონტრარგუმენტით, მოძებნოს გამოსავალი. ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურის სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- **საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;**
- **განმსაზღვრელი/განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;**
- **თვითშეფასების სქემა;**
- **აქტივობა დიფერენცირებული სწავლებისთვის;**
- **უცხოური ენების საგნობრივი კათედრის ოქმი.**

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.**

საგნობრივი კურიკულუმის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სამიზნე ცნებები არის მთავარი ორიენტირი, რომელზეც სწავლა-სწავლების პროცესი მიემართება. სამიზნე ცნებებს აზუსტებს მკვიდრი წარმოდგენები, ქვეცნებები და ქვესაკითხები. საკითხთა კლასტერები შინაარსობრივად და თემატურად სწორადაა შერჩეული და ხელს უწყობს სამიზნე ცნებებზე გასვლას. საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების მატრიცებში ჩანს როგორ ხდება საგნობრივი საკითხების შესწავლა და გაანალიზება მრავალფეროვანი მეთოდებითა და აქტივობებით, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს ცნებებზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

საბაზო საფეხურის საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილია საგნობრივი ძირითადი ორიენტირები, თემები და კომპლექსური დავალებების იდეები მტკიცებულების სახით. კურიკულუმის ჩარჩოში დანართების სახით კომპლექსური დავალებებია მოცემული, რომელიც ცხადყოფს, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. შერჩეული თემები და კომპლექსური დავალებები უმეტესად მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე მოსწავლეებს ნამუშევრის შექმნისას, სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობისას უწევთ თვითგამოხატვა, კრიტიკული აზროვნება, დისკუსია, შემოქმედებითი პროდუქტების შექმნა, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში სოციალური ცნობიერების, გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებლობის უნარების განვითარებას. სკოლის სტრატეგიული

გეგმიდან, სასწავლო გეგმიდან და მისიიდან გამომდინარე ნათლადაა წარმოდგენილი სკოლის ხედვა საბაზო საფეხურის მოსწავლეების პიროვნული ზრდის და განვითარების პროცესთან მიმართებით, რაც აისახება მათ მიერ წარმოდგენილ მომავალი სასწავლო წლის ჩარჩო-კურიკულუმებით განსაზღვრული სასწავლო პროცესში. ამასთან სკოლას მიმდინარე სასწავლო წელს განხორციელებული აქვს სხვადასხვა საგნებში პროექტები, მათ შორის საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის ჩართულობით, განხორციელებულია პროექტი სადაც ჩანს რომ მოსწავლეები ჩართული იყვნენ სხვადასხვა აქტივობებით. მასში ნათლად წარმოჩინდა, რომ პროექტები მიზანი და მიმართულებები ხელს უწყობს მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალური განვითარებას. სასურველია სკოლას დამატებით ჰქონდეს წარმოდგენილი სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები და აქტივობები, მოსწავლის ან მასწავლებლის პორტფოლიო, მოსწავლეთა შედეგების ანალიზი და ანგარიში მოსწავლეებისა და მასწავლებლის დონეზე, თუმცა საგნობრივი კათედრების სხდომებზე განხილული საკითხებისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მიხედვით მაინც იკვეთება თუ როგორ ზრუნავენ მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებისაკენ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე

საგნობრივი კათედრების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან (საგნობრივი კურიკულუმები) გამომდინარე ჩანს, რომ მოსწავლეთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალურ გარემოებებს, გამოკვეთილია ის ფაქტორები, რაც ხელს უწყობს მოსწავლის სასწავლო პროცესში აქტიურ მონაწილეობას. (მაგ.კომპლექსური ბუნების დავალებები). წარმოდგენილია, როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლის ანალიზის საფუძველზე ჩანს, რომ შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და განუყოფელი ნაწილია მოსწავლის ყოველდღიურ პროცესში. უმეტესად შეფასება ავთენტურია, შეესაბამება მოსწავლის საჭიროებებს, შეფასება ეხმარება მოსწავლეებს დაინახონ მათი ძლიერი და სუსტი მხარეები და ეხმარება მათ იმუშაონ არსებული გამოწვევების დასაძლევად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.

საგნობრივი კათედრების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად ვრწმუნდებით, რომ უმეტესად შეფასების ინსტრუმენტების შერჩევა ხორციელდება მიზანზე ორიენტირებით. შეიძლება ითქვას, რომ შეფასება არის ვალიდური, რადგან მოსწავლეებმა იციან, რომ ვაფასებთ სწორედ იმას, რისი შეფასებაც გვაქვს განზრახული, რამდენად მიზნობრივად ვაფასებთ ამა თუ იმ მოცემულ შედეგს. შეფასება არის გამჭვირვალე, რადგან მოსწავლეებმა ზუსტად იციან თუ როგორ ფასდება მათი შრომა. მოსწავლეებმა იციან თუ რატომ არის მათი ცოდნა ღირებული და რა როლს ასრულებს ეს შედეგი მათი სწავლის პროცესში მიზანთან მიმართებით. შეფასება არის

სანდო, რადგან ჩვენი შეფასება კონსისტენტური და მდგრადია, რადგან თითოეული ნიშანი/ქულა რეალისტური საზომია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი: „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი“ სადაც ვკითხულობთ,რომ ვერიფიკაცია არის სკოლაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. დოკუმენტში ზოგადადაა აღწერილი სკოლის მიერ ამ მიმართულებით განსახორციელებელი საქმიანობები. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში შეფასების სისტემის ვერიფიკაცია ხდება კათედრების დონეზე, ამ ეტაპზე შეფასების რუბრიკები გამოიყენება პედაგოგების მიერ გაწერილი, კონკრეტული საკითხების ერთობლიობაზე ან თემაზე მორგებული, ამჟამად სკოლაში შემუშავებულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. მასწავლებელთა გასაუბრებიდან ისიც გამოიკვეთა, რომ ისინი აანალიზებენ მოსწავლეთა ნაშრომებს და აქვთ მიზნიდან გამომდინარე, რუბრიკების ერთობლივად შექმნის გამოცდილება. შეიძლება ითქვას, რომ საგნობრივ კათედრებს აქვთ მზაობა გააგრძელონ მუშაობა ვერიფიკაციის მექანიზმის დახვეწა-განვითარებაზე. სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია მოსწავლის აკადემიური მიღწევის სისტემა და აღწერს შეფასების მიზნებს, ამოცანებს, ხერხებს. სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, სადაც ვკითხულობთ ,რომ სტრატეგიული დაგეგმვის ერთ-ერთი პროცესია ინფორმაციის შეგროვება, კვლევა, ანალიზი (SWOT), სამოქმედო/სტრატეგიული გეგმების მონიტორინგი და შეფასება. პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად ნათელია და სკოლის თვითშეფასების განაცხადის ნარატივშიც ჩანს, რომ წარმოდგენილი ვერიფიკაციის მექანიზმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებენ კათედრები, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია და დაკვირვების შედეგად ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა . სკოლას მიეცა რჩევა დახვეწოს დოკუმენტი - დააკონკრეტოს სკოლის მიერ განსახორციელებელი პროცედურები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემების აღრიცხვას, სკოლა აწარმოებს არქივს, რომელშიც ინახება მოსწავლეთა პირადი საქმეები, შემაჯამებელი სამუშაოები, პორტფოლიოები, პროექტები და სასწავლო პროცესში გამოყენებული სხვა მასალები, რომელთა შენახვა ხდება კანონით გათვალისწინებული ვადის მიხედვით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები საგნების მიხედვით;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- კომპლექსური ტიპის დავალებების მატრიცები.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1.სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2.სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.**სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო**

სკოლის სასწავლო პროცესი ხორციელდება პოზიტიურ, თანამშრომლობით და დემოკრატიულ გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტების და კათედრებთან გასაუბრების შედეგების საფუძველზე. სკოლაში დაგეგმილი ხელშემწყობი აქტივობების ნაწილობრივ გაწერილია სკოლის განვითარების ერთწლიან სამოქმედო გეგმაში, საგნობრივი კათედრების სამუშაო გეგმები მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებზე, სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებულია ინკლუზიური განათლების პროგრამა და კომპლექსური დავალებები, რაც უზრუნველყოფილია სკოლაში არსებული საგანმანათლებლო რესურსებით: ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, რესურს ოთახი, სპორტული ინფრასტრუქტურა და სხვა. სკოლაში შექმნილია დამატებითი სპორტული, სახელოვნებო სააღმზრდელო მომსახურეობა, სკოლაში შექმნილია ტოლერანტული და თანასწორი გარემო, რაც განაპირობებს მასწავლებლებისა და მოსწავლეების მხრიდან ინიციატივების მიღებას, დაფასებას, განხორციელებასა და გაუმჯობესებას. სკოლა მაქსიმალურად ცდილობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და მხარდაჭერას სხვადასხვა ტრენინგებში ჩართულობით. სკოლაში არის კეთილგანწყობილი, თანამშრომლობაზე აგებული ატმოსფერო. **ინდიკატორი დააკმაყოფილებულია.**

2. **.სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და კათედრებთან გასაუბრებიდან ჩანს, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეთა მოტივაციისა და სასწავლო პროცესში მათი ჩართულობის ზრდაზე. მასწავლებელთა მიერ შემუშავებულია კურიკულუმები, დაგეგმილია არაფორმალური აქტივობები და საგნობრივი კათედრების სამუშაო გეგმები მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებზე, სასწავლო პროცესში გამოყენებულია დიფერენცირებული სწავლების მიდგომები, სსსმ მოსწავლეებისთვის შექმნილია შესაბამისი სასწავლო გარემო რესურს ოთახისა და შესაბამისი აქტივობების სახით, საბაზო საფეხურის მასწავლებლები იყენებენ სხვადასხვა სტრატეგიებს, რომლებიც გათვლილია მოსწავლეთა შედეგებზე, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეების ინტერესებზე მორგებულ და მათზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის ჩამოყალიბებას. **ინდიკატორი დააკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას

სკოლის სასწავლო პროცესის აღწერაში ჩანს სასკოლო საზოგადოების თანამშრომლობა სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან. საბაზო საფეხურზე აქტიურად ფუნქციონირებს „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი, რაც გულისხმობს გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებას და ინტეგრირებული გაკვეთილების დაგეგმვას, უკუკავშირის მიღებას და რეკომენდაციების შემუშავებას საგაკვეთილო პროცესის გასაუმჯობესებლად. პედაგოგებს შორის დამყარებულია თანამშრომლობითი კულტურული გარემო, სკოლაში არის საკუთარი აზრის გამოთქმის და კოლეგების განსხვავებული შეხედულებების მიღების მზაობა. **ინდიკატორი დააკმაყოფილებულია.**

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

სკოლის საბაზო საფეხურზე პოზიტიური კლიმატის ჩამოყალიბებას განაპირობებს თანამშრომლობაზე დაფუძნებული ურთიერთობები. სკოლას დაგეგმილი აქვს მრავალი აქტივობა, რომელიც ნაწილობრივ გაწერილია სკოლის განვითარების ერთწლიან სამოქმედო გეგმაში და სკოლაში არსებული კლუბის პროგრამაში. მასწავლებლები ეხმარებიან მოსწავლეებს დაეუფლონ კონფლიქტის გადაჭრის სტრატეგიებს შეძლონ თამამად გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები და გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულებები. მაგრამ არსებობს რიგი საკითხები, რომლებიც გაუმჯობესებას საჭიროებს და ამისათვის სკოლის სრული მზაობაა, პოზიტიური კლიმატის სათანადოდ გაუმჯობესების ღონისძიებების დანერგვის მიზნით. **ინდიკატორი დააკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- სკოლის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

- ინკლუზიური განათლების დოკუმენტაცია.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან (სასკოლო კურიკულუმი, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, სკოლის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, კათედრის სხდომის ოქმები, შეფასების რუბრიკები) ნათელია, რომ ამ ეტაპზე სასკოლო კურიკულუმის დიდი ნაწილი კომპლექსური ტიპის დავალებებს ეფუძნება, რომლებიც განისაზღვრება, როგორც შუალედურ სასწავლო მიზნები. მიუხედავად ამისა, სწავლება არ არის აგებული პრინციპზე, რომელიც კომპლექსურიდან კომპლექსურამდე მუშაობას გულისხმობს. სკოლა კომპლექსური ტიპის დავალებებს ყველა კლასში ახორციელებს, მაგრამ ზოგიერთ თემას კომპლექსური დავალებების გარეშე გადის. მაგალითად, ესთეტიკის კათედრაზე, ორივე საგანში, დაგეგმილია სემესტრში ერთი კომპლექსური დავალების შესრულება. თითოეულ კომპლექსურ დავალებას აქვს შესაბამისი შეფასების კრიტერიუმები და ცნებებზე ორიენტირებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკები. არსებული კურიკულუმების მონიტორინგის მიზნით სკოლაში შემუშავებულია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომლის მიზანია გაირკვეს, მიმდინარეობს თუ არა პროცესი დაგეგმილის შესაბამისად და რამდენადაა შესაძლებელი დაგეგმილი აქტივობების საშუალებით შედეგების მიღწევა. პედაგოგებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ირკვევა, რომ ამ მიზნით საგნობრივ კათედრებზე უნდა შემუშავდეს მონიტორინგისა და შეფასების ისეთი ინსტრუმენტები, რომლებშიც უფრო მოქნილად იქნება გაწერილი შეფასების ინდიკატორები, რაც შედეგებს გახდის უფრო სანდოსა და გამჭვირვალეს. ესთეტიკის კათედრის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კათედრაზე სისტემატიურად ხდება გაკვეთილებზე ურთიერთ დასწრება, დაკვირვება და ამის შედეგად მასწავლებელთა და მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა. პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ, რომ სასწავლო პროცესზე დაკვირვება არის მხარდაჭერის მექანიზმი, რომელიც დაეხმარებათ მათ უკეთესი შედეგების მიღწევაში. გასულ სასწავლო წელს რეფლექსია და უკუკავშირი

პედაგოგებს მიეწოდებოდათ ზეპირსიტყვიერად, მიმდინარე სასწავლო წლისთვის კი იგეგმება წერილობითი უკუკავშირის დანერგვა და მათი ასახვა კათედრის ოქმებში. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით და იმის დასადგენად, თუ რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგები, სკოლა გეგმავს წელიწადში ორჯერ სადიაგნოსტიკო შეფასების პირველი ინსტრუმენტის გამოყენებას.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერა და დახმარება სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა. პედაგოგები აღიქვამენ შეფასების მექანიზმს, როგორც მოსწავლეთა წინსვლის ერთ-ერთ ინსტრუმენტს. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით მათი სოციალური და ფსიქოლოგიურ მდგომარეობის შესწავლას. ამის გამო საგნობრივი კათედრები აქტიურად თანამშრომლობენ კლასის დამრიგებლებთან. მაგალითად, ესთეტიკის კათედრის წევრები ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით აკვირდებიან, თუ როგორ უწყობს ხელს გამოყენებული აქტივობები მოსწავლეებში კრიტიკული, შემოქმედებით აზროვნების, დამოუკიდებელი სწავლის, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარების განვითარებას. კათედრამ წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც მიმართულია გრძელვადიან მიზნებზე და ემსახურება მოსწავლეთა მხარდაჭერასა და დახმარებას.

მოსწავლეთა ნამუშევრების დადებით და პრობლემურ მხარეებზე დაკვირვება, მიღებული შედეგებისა და დაგეგმილის შედარების მიზნით, კურიკულუმის მონიტორინგის მექანიზმები პედაგოგებს საშუალებას აძლევს გადახედონ და შეაფასონ განხორციელებული აქტივობები, დააკვირდნენ შედეგებს და განსაზღვრონ, რა არის საჭირო უკეთესი შედეგების მისაღებად. მაგალითად, აკვირდებიან და განიხილავენ პარალელურ კლასებში კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესს, ახდენენ დავალების მოდიფიცირებას კლასების შესაძლებლობებისა და ინტერესების შესაბამისად. მუსიკის პედაგოგმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს, მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, საბაზო საფეხურზე კომპლექსურ დავალებების არჩევისას მან ყურადღება შეაჩერა ისეთ დავალებებზე, რომლებმაც წინა წლებში მოსწავლეთა ინტერესი გამოიწვია. ასეთია, მაგალითად, მე-7 კლასის კომპლექსური დავალება საკითხთა კლასტერზე “სიყვარულის და სიძულვილის დაპირისპირება მუსიკაში”, მე-8 კლასის “მარტოობა და ერთობა” და სხვ. სკოლაში მუშაობს “კრიტიკული მეგობრის” ინსტიტუტი, რომელიც კოლეგებს აწვდის პოზიტიურ უკუკავშირს, მიუთითებს ხარვეზების გამოსწორების გზებზე. მიმდინარე სასწავლო წელს იგეგმება ურთიერთდასწრების გრაფიკის, შეფასების სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე დოკუმენტის შექმნა, რაც ორიენტირებული იქნება სასკოლო საზოგადოების წევრების ურთიერთდახმარებასა და მხარდაჭერაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

სკოლას ესმის, რომ კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს მნიშვნელობა წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის გზას. პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ, რომ მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს ხარვეზების გამოსწორების, შეცდომებზე სწავლის მექანიზმს. კათედრების სხდომებზე პედაგოგები წარმოადგენენ სემესტრულ და წლიურ ანგარიშებს, სადაც აანალიზებენ მიღწევებს და ასახავენ წამოჭრილი პრობლემის გადაჭრის გზებს. ესთეტიკის კათედრის მიერ წარმოდგენილი მე-12 რესურსიდან ჩანს, რომ 2023/24 სასწავლო წელს მოსწავლეების მიღწევის შესახებ ინფორმაციის გაზიარება და მასწავლებლების პედაგოგიური საჭიროების დადგენა მოხდება განმავითარებელი შეფასებისა და თემატური მატრიცის საშუალებით, მოსწავლეთა საჭიროებების იდენტიფიცირება და მათი მიღწევების

სასურველ შედეგებთან შედარება კი სემესტრში ერთხელ იგეგმება შეფასების პირველი ინსტრუმენტის გამოყენებით. ესთეტიკის კათედრის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება მათ ეხმარებათ პრობლემის იდენტიფიცირებაში, მაგალითად, რაზე უნდა გაამახვილონ ყურადღება კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ მასწავლებლები ერთად გეგმავენ, თუ რა ინტერვენციებია გასატარებელი სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სკოლის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- შეფასების რუბრიკები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს

სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალების შესწავლის(საგნობრივი კურიკულუმები, სკოლის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, კათედრის სხდომის ოქმები,) და სკოლაში არსებულ პრაქტიკაზე დაყრდნობით (რომელიც მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა), შეიძლება ითქვას რომ, სასწავლო პროცესის შეფასება ეყრდნობა სხვადასხვა წყაროს: გამოკითხვა, სხვადასხვა ტიპის შეფასების კითხვარი, სასწავლო პროცესზე დაკვირვება, კომპლექსური დავალების შესრულების პროცესზე დაკვირვება, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, პროექტების განხორციელების პროცესზე დაკვირვება, დიაგნოსტიკური წერის შედეგების ანალიზი. გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება და

რეკომენდაციების მიცემა, აგრეთვე, მოსწავლეთა ჩართულობა არაფორმალურ განათლებაში, კლასგარეშე აქტივობებში მონაწილეობა. სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებში საუბარია სამომავლო ხედვაზე, რომლის თანახმად, სამომავლოდ იგეგმება ჰოლისტური შეფასების ერთიანი, ინტეგრირებული და სისტემური მეთოდების შემუშავება და დოკუმენტური სახის მიცემა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

მოსწავლის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს ყველა იმ კონტექსტს, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მოსწავლის ჩართულობაზე, განვითარებასა და მიღწეულ შედეგზე. შესაბამისად, სკოლა ცდილობს განსაზღვროს რა ფაქტორები ეხმარება ან აფერხებს საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. მასწავლებლებთან გასაუბრებისას იკვეთება, რომ საგნების სწავლებისას, ისინი ცდილობენ გაითვალისწინოს კლასის განწყობა საგნისადმი, საკითხისადმი, გარემო, წინარე ცოდნა და ასე მოახდინოს მოსწავლის შეფასება. მასწავლებლები შეფასებისას აგრეთვე ითვალისწინებენ მოსწავლის სოციალურ და ფსიქოემოციურ მდგომარეობას, რომლის შესახებაც სისტემატურად იღებენ ინფორმაციას კლასის დამრიგებლის და საგნის მასწავლებლებისგან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, სადაც ვკითხულობთ, რომ სტრატეგიული დაგეგმვის ერთ-ერთი პროცესია ინფორმაციის შეგროვება, კვლევა, ანალიზი (SWOT), სამოქმედო/სტრატეგიული გეგმების მონიტორინგი და შეფასება. სკოლა შეფასებისას მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდს იყენებს: მოსწავლეთა ზოგადი შეფასება, მრავალმხრივი შეფასება განმავითარებელი კომენტარითა და განმსაზღვრელი ნიშნით. შეფასებისთვის სკოლა ასევე იყენებს ტესტებს, სადიაგნოსტიკო წერებს, საკლასო და საშინაო დავალებებს, კომპლექსურ დავალებებს. შესწავლილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ სხვადასხვა აქტივობის შეფასების სქემები. კონკრეტული სასწავლო ერთეულის დასრულებისას მოსწავლე ფასდება შემაჯამებელი დავალების კომპონენტში. სკოლას აქვს ხედვა, თუ როგორ განაზოგადოს დიაგნოსტიკური კვლევის პროცესში მიღებული შედეგები.მასწავლებლები თანამშრომლობენ მშობლებთან და კლასის დამრიგებლებთან. მათი დახმარებით ადგენენ მოსწავლეების ინტერესების სფეროს, გამოკვეთენ მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს, რისი საშუალებითაც ექმნებათ სრული წარმოდგენა მოსწავლეების შესახებ.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია მოსწავლეთა შეფასების პრინციპები, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმიდან გამომდინარეობს. წარმოდგენილი დოკუმენტაციით შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, სკოლა გეგმავს კომპლექსური დავალებებით სწავლებას რაც იძლევა მრავალფეროვანი კონტექსტის გათვალისწინების საშუალებას. ინტერვიუირების დროს გაკეთებული მიგნებების მიხედვით მასწავლებლები 2023-2024 სასწავლო წელს აპირებენ მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზს, ასევე

გეგმავენ შეიმუშაონ მოსწავლის დიფერენცირებული პროფილი, მოახდინონ მოსწავლის სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირება, შეფასებისას გაითვალისწინონ გარე ფაქტორები, რომელიც გავლენას ახდენს მოსწავლის შედეგებზე(სწავლების სტრატეგიების ეფექტურობა,დამხმარე რესურსების ეფექტიანად გამოყენება, სახელმძღვანელო, გამოცდილება, ემოციური მდგომარეობა, ინტელექტი, ჯანმრთელობა და სხვა). სკოლაში არსებულ პრაქტიკაზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლები შეფასებისას ცდილობენ გაითვალისწინოს გარე ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ მოსწავლის შედეგებზე. ასევე ირკვევა და დოკუმენტაციიდანაც ჩანს, რომ პედაგოგიურ საბჭოზე და კათედრის სხდომებზე ხდება შეფასების შედეგების განხილვა და ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორების გამოკვეთა, ეს კი იძლევა იმისი თქმის შესაძლებლობას, რომ სამომავლოდ კიდევ უფრო მეტი ყურადღება დაეთმობა აღნიშნულ საკითხს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საგნობრივი კურიკულუმები;
- სკოლის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- შეფასების რუბრიკები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი

პედაგოგების ინტერვიუებიდან და წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან იკვეთება, რომ სკოლა 2020 წლიდან ჩართულია ახალი სკოლის მოდელში და დაგროვილი აქვს გამოცდილება კურიკულუმების საშუალებით სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებით. კომპლექსური დავალებებისა და პროექტული სწავლების საშუალებით შემოქმედებითი პროდუქტის შექმნის გამოცდილება ჩამოუყალიბდათ მოსწავლეებსაც. პედაგოგებმა განაცხადეს, რომ შედეგების გაუმჯობესების მიზნით, ისინი სისტემატიურად ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, აანალიზებენ ჩატარებულ გაკვეთილებს, განიხილავენ შეფასებების რუბრიკებს, იზიარებენ საუკეთესო პრაქტიკას, სახავენ პრობლემების გადაჭრის გზებს. მიღებულ მიგნებებს და კოლეგების რჩევებს პედაგოგები გაითვალისწინებენ შემდგომ მუშაობაში. ესთეტიკის კათედრის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ამ ეტაპზე მათ აქვთ გარკვეული მიგნებები და რეფლექსიები სიტყვიერი სახით, რომლებსაც ასახავენ შემდგომ მუშაობაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის თანახმად, კურიკულუმის განვითარება მუდმივი პროცესია და სკოლა ვალდებულია ყოველწლიურად განაახლოს დოკუმენტი წინა წლის მონაცემების ანალიზის საფუძველზე. ახალი კურიკულუმების შემუშავება მოხდა გასულ სასწავლო წლის ბოლოს, წინა წლის კურიკულუმების საფუძველზე, წინარე გამოცდილების გათვალისწინებით. მხედველობაში იქნა მიღებული ის პრობლემები, რომლებიც წინა წლის კურიკულუმის დანერგვისას წარმოიქმნა და გათვალისწინებული იქნა წარმატებული პრაქტიკა. მაგალითად, ესთეტიკის კათედრამ, სკოლის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, გადაწყვიტა წელიწადში ორი კომპლექსური დავალება განეხორციელებინა. მუსიკის მასწავლებელმა აღნიშნა, კურიკულუმში შეიტანა ის კომპლექსური დავალებები, რომლებმაც მოსწავლეთა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია. მომავალში კათედრა გეგმავს სპეციალური კითხვარის შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს კურიკულუმის შექმნაში მოსწავლეებისა და მშობლების უფრო აქტიურად ჩართვას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულიადასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;

- სკოლის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- კათედრის სხდომის ოქმები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას

სკოლის შინაგანაწესის, სასკოლო სასწავლო გეგმის ძირითადი საგანმანათლებლო პრინციპების ნაწილის, სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის, საგნობრივი კათედრების ფუნქციებისა და მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსის მიხედვით, საშუალო საფეხურის კურიკულუმის შემუშავების ეტაპი თანამშრომლობითი პროცესია, რომელშიც ჩართულები არიან სკოლის მასწავლებლები, გათვალისწინებულია მშობელთა საერთო კრებებზე მშობლების მიერ დაფიქსირებული მოსაზრებები. სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობისა და მოსწავლეების ინიციატივები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

საშუალო საფეხურის კურიკულუმში სასკოლო, საკლასო და კლასგარეშე აქტივობებით განსაზღვრულ სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტში გათვალისწინებულია მასწავლებლების მიერ დადგენილი მოსწავლეთა საჭიროებები, მოსწავლეების მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ დაფიქსირებული მოსაზრებები და მოსწავლეთა ინტერესები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კათედრისა და პედაგოგიური საბჭოს ოქმების შინაარსის მიხედვით საშუალო საფეხურის კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულები არიან საფეხურის მასწავლებლები, საფეხურის მოსწავლეების მშობლები და მოსწავლეები

ესთეტიკური აღზრდა - მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ კურიკულუმის შემუშავების პროცესში მთელი სასკოლო საზოგადოების ჩართვის მნიშვნელობა. მათ აღნიშნეს, რომ ასე მოხდება მოსწავლეთა ინტერესების უკეთ გათვალისწინება, გაიზრდება მოსწავლეთა ჩართულობა სწავლის პროცესში და მოტივაცია. პედაგოგებმა გამოთქვეს მზაობა, რომ მომავალი სასწავლო წლიდან მოხდება არა მარტო კურიკულუმების გაზიარება, არამედ, ამ პროცესში აქტიურად ჩართავენ მშობლებსა და მოსწავლეებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

საშუალო საფეხურის კურიკულუმით განსაზღვრული საკლასო, სასკოლო და კლასგარეშე აქტივობების შესახებ მოსწავლეების მშობლებს ინფორმაცია მიეწოდებათ კლასის მშობელთან საერთო კრებებსა თუ სოციალურ ქსელში არსებული დახურული ჯგუფების საშუალებით. სკოლაში ვიზიტის პერიოდში, საგნის მასწავლებლები, მათ მიერ დაგეგმილი მიზნობრივი აქტივობების მოსწავლეების მშობლებისთვის ინფორმაციის მიწოდების ერთ-ერთ მექანიზმად სადამრიგებლო პროგრამით გაწერილ დამრიგებლის ფუნქციას ასახელებენ. ასევე წარმოადგინეს მშობლის ბარათები რომელშიც კომპლექსური დავალების განხორციელების აქტივობების მიზნები და ეტაპებია გაწერილი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- საშუალო საფეხურის კურიკულუმი;
- კათედრის ოქმი N1;

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად და პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას მასწავლებლები ცდილობენ, გაითვალისწინონ მოსწავლე, როგორც ცენტრალური ფიგურა, დაგეგმონ აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას, მოსწავლეებს აქვთ საშუალება იმსჯელონ, იფიქრონ და მოიძიონ პრობლემის გადაჭრის გზები, გეგმავენ და შემდეგ ახორციელებენ სხვადასხვა მიზნობრივ ქმედებებს. კურიკულუმში

გათვალისწინებულია დიფერენცირებული სწავლების მეთოდები. სკოლამ წარმოადგინა დიფერენცირებული კომპლექსური დავალება მე-10 კლასისთვის. მასში დავალების პირობა მოცემულია მაღალი, საშუალო და სუსტი მზაობის მოსწავლეთათვის. საშუალო საფეხურზე გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერაქტიური გარემოს შექმნა, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარება, მხატვრული ლიტერატურით დაინტერესების გაზრდა. ამას მოწმობს მოსწავლეების ჩართულობა ინტელექტუალურ თამაშში „ტვინების ბრძოლა“, მედიაკვირეულის ფარგლებში გამართულ ვიქტორინაში, რომელშიც ისინი სკოლამ საინტერესო დასახელების გუნდებად დაყო: „ციფრული თაობა“, „ანტივირუსი“, „ჰაკერები“, „სენსორი“ და „ბოტები“ აქტივობა-ინფორმაციის გადაცემა. პედაგოგები გასაუბრების პროცესში აფიქსირებენ ცხოვრებისეულ კონტექსტ-მაგალითებზე დაფუძნებული კომპლექსური დავალებების მნიშვნელობას მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში ძირითადად გაწერილია სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები. თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, მითითებულია ისეთი კონტექსტმაგალითები, რომელიც მოსწავლის ტრანსფერს უწყობს ხელს. მე-10 კლასში სამიზნე ცნებაზე- ჟანრი, კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები, კონტექსტი - მასწავლებელი მუშაობს ძირითად საკითხებითა და კონტექსტმაგალითებით: იაკობ ხუცესის ,, წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ“, ,,ვიზუალური და აკუსტიკური ხატები ანუ რას ვხედავთ და რა გვესმის ,,შუშანიკის წამებაში“ ; ,,იაკობი როგორც ოსტატი“; ,,აფოცი. ორი ბანაკი“; ,,ჭიდილი“ ,,პეიზაჟი ძველ ლიტერატურაში“ ,,ჯოჯიკის ცრემლი და ავტორის ოსტატობა“. მოსწავლეები მუშაობენ კომპლექსურ დავალებაზე- მოთხრობის დაწერა ორი დაპირისპირებული პერსონაჟის გამოკვეთით. მთავარი ფოკუსი სამიზნე ცნებებია. სასწავლო პროცესში მუშაობა სწორედ მათ მიემართება და კურიკულუმშიც მკაფიოდ იკვეთება ეს ორიენტირებულობა. საშუალო საფეხურის კლასებში გაწერილია თემები თავისი სამიზნე ცნებებითა და საჭირო რესურსებით. კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილია კომპლექსური დავალებები თავისი კონტექსტმაგალითებით. პედაგოგები ყველა სამიზნე ცნებას ააქტიურებენ ყველა თემის ფარგლებში. საშუალო საფეხურზე მოსწავლეები ქმნიან შემოქმედებით პროდუქტებს: ანალიტიკური ესე, მოთხრობის წერა ორი დაპირისპირებული პერსონაჟის გამოკვეთით, რეფერატი, ლიტერატურული კვლევა და სხვ. რომელთა საშუალებითაც ისინი ეუფლებიან გლობალურ ფუნქციურ უნარებს (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია და სხვ.), ადასტურებენ ცოდნას საგნობრივ საკითხზე და ექმნებათ მკვიდრი წარმოდგენები. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლის მიერ თხზულებაზე მუშაობის დროს, ცხადია, მათ უვითარდებათ ნარატივის უნარი. ამ შემთხვევაში კი აქტიურდება მაკროცნება ,,წიგნიერება“. პედაგოგებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ კათედრა მზადაა, იმუშაოს კურიკულუმის განვითარებასა და დახვეწაზე და კომპლექსური დავალებების განხორციელებაზე.

უცხოური ენები -შერჩეულ კომპლექსურ დავალებებში მუშავდება მხოლოდ თემის ნაწილი და არა სრულად თემა. აღნიშნულთან დაკავშირებით მასწავლებლებს მიეცათ რჩევა, რომ კომპლექსური ბუნების დავალებით/დავალებებით დამუშავდეს სრული თემა (და არა ნაწილი). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, სასწავლო პროცესში სკოლა ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, ზოგადად სასწავლო პროცესის ინკლუზიურ ხედვას, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, განათლების თანამედროვე პარადიგმების რეალიზებას სასკოლო სივრცეში, როგორიცაა სწავლის კონსტრუქტივისტული ფილოსოფია, მოსწავლისადმი ჰოლისტური მიდგომა, მოსწავლეზე ორიენტირებული სიღრმისეული სწავლა და ა.შ. და, მეორე მხრივ, პოზიტიური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას. საშუალო საფეხურზე სკოლას არ ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლე, თუმცა ამ მიმართულებით პედაგოგებს აქვთ გამოცდილება. საშუალო საფეხურის მასწავლებლები სასწავლო პროცესში, ასევე, აქტიურად იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს. წარმოდგენილია დიფერენცირებული კომპლექსური დავალება მე-10 კლასში - მოთხრობის წერა ორი დაპირისპირებული პერსონაჟის გამოკვეთით. სასკოლო საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს, რომ საჭიროა ყოველთვის იმის გაანალიზება, თუ რამდენადაა მორგებული საგნობრივი კურიკულუმები, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველი დოკუმენტები კონკრეტული მოსწავლეების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს; რამდენად მოქნილია სასწავლო გარემო (პროცესი, შინაარსი) მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში მასწავლებლები იყენებენ როგორც განმავითარებელ შეფასებას, ასევე განმსაზღვრელ შეფასებას. საშუალო საფეხურზე წარმოდგენილია კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე დაფუძნებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც სამიზნე ცნებასთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებს განსაზღვრავს. ანალიტიკურ ესეს დასაწერად სამიზნე ცნება-კონტექსტზე მუშაობის დროს მასწავლებლები ითვალისწინებენ, რომ მკვიდრი წარმოდგენების ჩამოსაყალიბებლად - ყველა თხზულებას აქვს თავისი კონტექსტი - ფონი თუ გარემო, რომელშიც შეიქმნა ესა თუ ის ნაწარმოები; კონტექსტს შეიძლება განსაზღვრავდეს სხვადასხვა ფაქტორი, მაგ.: ავტორის ცხოვრებისეული გამოცდილება, სოციალური წრე, შეხედულებები; ადგილი, ეპოქა ან კულტურული არეალი; კონტექსტის ცოდნა

მნიშვნელოვანია ტექსტის მრავალმხრივად გასაგებად, მისი მნიშვნელობის, აქტუალობის გასააზრებლად, ეფექტიანი ტექსტების შესადგენად. შერჩეულია განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები: კონტექსტური მახასიათებლების ამოცნობა ტექსტში, მსჯელობა იმაზე, თუ რა გავლენა მოახდინა სხვადასხვა კონტექსტურმა ფაქტორმა ნაწარმოებზე; მსჯელობა ნაწარმოებზე კონტექსტის გათვალისწინებით (მაგ., მსჯელობა ავტორის მთხრობლის, პერსონაჟის პოზიციაზე ტექსტის თანადროული ეპოქის კონტექსტში) და სხვ. ასევე, კათედრამ წარმოადგინა განმსაზღვრელი შეფასების ზოგადი რუბრიკები, რომელიც განკუთვნილია მსჯელობის, წერის უნარის, მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრების შესაფასებლად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრაზე მასწავლებლები სისტემატურად ხვდებიან ერთმანეთს და უზიარებენ წინარე გამოცდილებას, იმ გამოწვევებს, რომლის მოგვარებასაც მიმდინარე სასწავლო წელს აპირებენ, რათა უკეთესად დაგეგმონ სასწავლო პროცესი. სკოლამ წარმოადგინა მასწავლებელთა შეხვედრის ანგარიშები, სადაც გაანალიზებულია განხორციელებული კომპლექსური დავალებების, აქტივობების ძლიერი და სუსტი მხარეები, რაც გათვალისწინებული იქნება შემდგომში განსახორციელებელი კომპლექსური დავალებების დაგეგმვისას. პედაგოგები გასაუბრების პროცესში აღნიშნავენ, რომ სასკოლო კურიკულუმისა და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვებასა და ანალიზს შეძლებენ სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. ეს ინფორმაცია იკითხება სკოლის მიერ წარმოდგენილი კათედრის სხდომების ოქმებიდან, გაკვეთილზე დაკვირვების რუბრიკიდან. კათედრები ახორციელებენ მოსწავლეთა ნამუშევრების, დავალებების შეფასებასა და ანალიზს, ითვალისწინებენ მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირს. სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის განვითარების მექანიზმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
- ხარისხის განვითარების მექანიზმები;
- მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის შეხვედრის N4 ანგარიში;
- კათედრის ოქმი N1;
- ინტელექტუალური თამაში;
- მედიაკვირეული;
- X კლასის კომპლექსური დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკა.

- X კლასის დიფერენცირებული კომპლექსური დავალება.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას**

წარმოდგენილი კურიკულუმების და სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი მასალების/აქტივობების გაცნობისას შეიძლება დავასკვნათ, რომ დაგეგმილი კურიკულუმის რეალიზება მიმართულია ისეთ საკლასო გარემოზე და საგაკვეთილო პროცესზე, როდესაც საკვანძოდ მნიშვნელოვანია ისეთი აქტივობების განხორციელება, სადაც მოსწავლე არის ცენტრალური სუბიექტი და აქტიურადაა ჩართული სასწავლო პროცესში. საშუალო საფეხურის კურიკულუმში მოცემული შუალედური მიზნები, საშუალებას აძლევს მოსწავლეს, რომ გაეცნოს ახალ ინფორმაციას, გადაამუშაოს და განიხილოს იგი ახალ კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცეს და ახსნას იდეები თავისი სიტყვებით იქნება ეს წერილობით, თუ ზეპირი სახით. კურიკულუმის გაცნობისას და მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ის, რომ ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების პროცესში მათი როლი არის

ორგანიზებული, მიზნობრივი გარემოს შექმნა, სადაც გამოწვევები დაკავშირებული იქნება მოსწავლის მიერ მიღებული ინფორმაცია ცოდნად გარდაქმნასთან, რაც მოითხოვს ამ ცოდნის აქტიურ დამუშავებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით**

კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები, და სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი მასალები/აქტივობები აგებულია კონსტრუქტივიზმის პრინციპების გათვალისწინებით. მოსწავლისათვის ნაცნობი თემა და კონტექსტი წარმოადგენს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას. ზოგიერთ შემთხვევებში, წარმოდგენილი კონტექსტ - მაგალითები საჭიროებს დახვეწას, თუმცა, უმეტეს შემთხვევაში ისინი გათვლილია წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახლის შესწავლაზე. ამასთან, შერჩეული თემების ფარგლებში ასახული საკითხები და კომპლექსური დავალებების პირობაც ფორმულირებულია ისე, რომ შემოაქვს სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტები. კერძოდ, კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს მოუწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა და ა.შ. მოსწავლისათვის ნაცნობი ეს შინაარსიანი კონტექსტი ეხმარება მათ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში, რაც სწორედ წინარე ცოდნის გააქტიურებას მოიაზრებს. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ ინფორმაციის დამუშავება და ცოდნად გარდაქმნა წინარე ცოდნის საშუალებით ხორციელდება. აღნიშნულს მათ დაუკავშირეს ასევე კათედრის მიერ შერჩეული სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტის წარმოებაც და მასწავლებლების მიერ საკუთარი პრაქტიკის კვლევაც და სიღრმისეულად ისაუბრეს მათ მიზნობრიობაზეც. საერთო შეფასებით, საშუალო საფეხურზე მასწავლებლებს აქვთ მკაფიო ხედვა, რომ წინარე ცოდნა განაპირობებს იმას, თუ მიწოდებული ინფორმაციიდან რა კომპონენტებს მიაქცევს ყურადღებას მოსწავლე და რის სწავლას შეძლებს იგი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე

წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში და სასწავლო პროცესში გამოსაყენებელ მასალებში/აქტივობებში მკაფიოდ იკვეთება, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესი ეხმარება მოსწავლეებს დავალების/შესასრულებელი საქმიანობის ღირებულების განსაზღვრაში, დავალების/აქტივობის დაგეგმვაში, სწავლის პროცესის მონიტორინგსა და სწავლის, როგორც ქცევის სოციო-ემოციური მართვის პროცესში. გარდა ამისა, ინტერვიუს დროს, მასწავლებლებმა მკაფიოდ აღნიშნეს, რომ მათ გააზრებული აქვთ, რომ მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება ზრდის გააზრების, დამახსოვრებისა და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობებს. საშუალო

საფეხურზე კათედრის მიერ წარმოდგენილია მოსწავლეთა თვითშეფასების რუბრიკა და იკვეთება, რომ მასწავლებლებს საშუალო საფეხურზეც აქვთ ამ მიმართულებით მუშაობის გამოცდილება. ამასთან, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა დააანონსეს, რომ დაგეგმილი აქვთ კიდევ უფრო მრავალფეროვანი თვითშეფასების/ურთიერთშეფასების რუბრიკების წარმოება და მათ შორის სწავლის წინმსწრებ და სწავლის შემდგომ მეტაკოგნიტურ სტრატეგიებზე მუშაობაც. მათ აქვთ მკაფიო ხედვა, რომ სწავლის პროცესის შეფასება მოსწავლეს გამოუმუშავებს დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევებს, დაეხმარება სწავლის სტრატეგიების ათვისებაში, საშუალებას მისცემს, გაცნობიერებულად შეუწყოს ხელი საკუთარ წინსვლასა და წარმატებას. საერთო შეფასებით, საშუალო საფეხურის მასწავლებლებს შეუძლიათ შესთავაზონ მოსწავლეებს ისეთი აქტივობები და დავალებები, რომლებიც ავითარებს მეტაკოგნიციას, ეხმარება სწავლაში ხელისშემწყობი/ხელისშემშლელი ფაქტორების გამოკვეთას, ახალისებს მოსწავლის ინდივიდუალურ გამოცდილებას, ცნობისმოყვარეობას და თვითრეგულირებულ სწავლას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

სკოლის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები და სასწავლო პროცესში გამოსაყენებელ მასალები/აქტივობები ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითებს ასახავს. ამას გარდა, გასაუბრებაზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ მოსწავლეებს შესთავაზონ ისეთი ტიპის კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები, რომელთა შესრულებაც მოითხოვს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, მოქმედების წესებსა და სტრატეგიებს, ცოდნის მოქმედებაში გადატანას, გამოყენებას კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში. აქედან გამომდინარე, გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ის ვალდებულება, რომ დააფიქრონ მოსწავლეები იმ ხერხებსა თუ მიდგომებზე, რაც დაეხმარება მათ საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებაში და სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

წარმოდგენილ კურიკულუმებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ასახავს კომპლექსური ბუნების მქონე დავალებებს, სადაც განსახილველი თემის შინაარსი, საკითხი და პრობლემა მოსწავლისთვის უცხო არ არის. ამდენად, აღნიშნული უზრუნველყოფს იმ გარემოებას, რომ მოსწავლე იწყებს ფიქრს პრობლემაზე, გამოწვევაზე და თავს უყრის ყველა იმ უნარს და ცოდნას, რაც მას ამ მიმართულებით რელევანტურად მიაჩნია, ის ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე, ნაცვლად ახალი მასალის დასწავლისა და უბრალო

რეპროდუქციისა. საშუალო საფეხურის კურიკულუმებში ასახულ დავალებებზე მუშაობა ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, საკუთარი თვალსაზრისის გასამყარებლად არგუმენტირებულ მსჯელობაზე, პროდუქტის შექმნაზე და ა.შ., რაც ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. შესაბამისად, ის არა მარტო განიხილავს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას, არამედ უშვებს იმასაც, რომ სხვებს შეიძლება სხვა მოსაზრება ჰქონდეთ, ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, არგუმენტებს, ცდილობს უპასუხოს კონტრარგუმენტით, მოძებნოს გამოსავალი. ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- განმსაზღვრელი/განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- თვითშეფასების სქემა;
- აქტივობა დიფერენცირებული სწავლებისთვის;
- უცხოური ენების საგნობრივი კათედრის ოქმი.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით

სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. საგნობრივი კურიკულუმის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სამიზნე ცნებები არის მთავარი ორიენტირი, რომელზეც სწავლა-სწავლების პროცესი მიემართება. სამიზნე ცნებებს აზუსტებს მკვიდრი წარმოდგენები, ქვეცნებები და საფეხურის საკვანძო შეკითხვები. საკითხები შინაარსობრივად სწორადაა დაკლასტერებული. კურიკულუმებში გაწერილი პროცესი-კონტექსტ მაგალითი, მაგალითები შედარებისთვის და კომპლექსური დავალების იდეა ხელს უწყობს ცნებებზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას

საშუალო საფეხურის საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილია საგნობრივი ძირითადი ორიენტირები, თემები და კომპლექსური დავალებების იდეები. ასევე წარმოდგენილია კომპლექსური დავალებების მატრიცები, რომელიც ცხადყოფს, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. შერჩეული თემები და კომპლექსური დავალებები უმეტესად მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე მოსწავლეებს ნამუშევრის შექმნისას, სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობისას უწევთ თვითგამოხატვა, კრიტიკული აზროვნება, დისკუსია, შემოქმედებითი პროდუქტების შექმნა, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში სოციალური ცნობიერების, გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებლობის უნარების განვითარებას. სკოლის სტრატეგიული გეგმიდან, სასწავლო გეგმიდან და მისიიდან გამომდინარე ნათლადაა წარმოდგენილი სკოლის ხედვა საშუალო საფეხურის მოსწავლეების პიროვნული ზრდის და განვითარების პროცესთან მიმართებით, რაც აისახება მათ მიერ წარმოდგენილ მომავალი სასწავლო წლის ჩარჩო-კურიკულუმებით განსაზღვრული სასწავლო პროცესში. ამასთან სკოლას მიმდინარე სასწავლო წელს განხორციელებული აქვს სხვადასხვა საგნებში პროექტები, მათ შორის საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის ჩართულობით, სადაც ჩანს რომ მოსწავლეები ჩართული იყვნენ სხვადასხვა აქტივობებით. მასში ნათლად წარმოჩინდა, რომ პროექტების მიზანი და მიმართულებები ხელს უწყობს მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალური განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე

საგნობრივი კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან (საგნობრივი კურიკულუმები) გამომდინარე ჩანს, რომ მოსწავლეთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალურ გარემოებებს, გამოკვეთილია ის ფაქტორები, რაც ხელს უწყობს მოსწავლის სასწავლო პროცესში აქტიურ მონაწილეობას. (მაგ.კომპლექსური ბუნების დავალებები). საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის წევრებს წარმოდგენილი აქვთ, როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლის ანალიზის საფუძველზე ჩანს, რომ შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და განუყოფელი ნაწილია მოსწავლის ყოველდღიურ პროცესში. უმეტესად შეფასება ავთენტურია, შეესაბამება მოსწავლის საჭიროებებს, შეფასება ეხმარება მოსწავლეებს დაინახონ მათი ძლიერი და სუსტი მხარეები და ეხმარება მათ იმუშაონ არსებული გამოწვევების დასაძლევად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საგნობრივი კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად ვრწმუნდებით, რომ უმეტესად შეფასების ინსტრუმენტების შერჩევა ხორციელდება მიზანზე ორიენტირებით. შეიძლება ითქვას, რომ შეფასება არის ვალიდური, რადგან მოსწავლეებმა იციან, რომ ვაფასებთ სწორედ იმას, რისი შეფასებაც გვაქვს განზრახული, რამდენად მიზნობრივად ვაფასებთ ამა თუ იმ მოცემულ შედეგს. შეფასება არის გამჭვირვალე, რადგან მოსწავლეებმა უმეტესად იციან თუ როგორ ფასდება მათი შრომა. შეფასება არის სანდო, რადგან ჩვენი შეფასება კონსისტენტური და მდგრადია, რადგან თითოეული ნიშანი/ქულა რეალისტური საზომია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი: „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი“ სადაც ვკითხულობთ, რომ ვერიფიკაცია არის სკოლაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. დოკუმენტში ზოგადადაა აღწერილი სკოლის მიერ ამ მიმართულებით განსახორციელებელი საქმიანობები. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში შეფასების სისტემის ვერიფიკაცია ხდება კათედრების დონეზე, ამ ეტაპზე შეფასების რუბრიკები გამოიყენება პედაგოგების მიერ გაწერილი, კონკრეტული საკითხების ერთობლიობაზე ან თემაზე მორგებული, ამჟამად სკოლაში შემუშავებულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. მასწავლებელთა გასაუბრებიდან ისიც გამოიკვეთა, რომ ისინი აანალიზებენ მოსწავლეთა ნაშრომებს და აქვთ მიზნიდან გამომდინარე, რუბრიკების ერთობლივად შექმნის გამოცდილება. შეიძლება ითქვას, რომ საგნობრივ კათედრებს აქვთ მზაობა გააგრძელონ მუშაობა ვერიფიკაციის მექანიზმის დახვეწა-განვითარებაზე. სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია მოსწავლის

აკადემიური მიღწევის სისტემა და აღწერს შეფასების მიზნებს, ამოცანებს, ხერხებს. სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, სადაც ვკითხულობთ ,რომ სტრატეგიული დაგეგმვის ერთ-ერთი პროცესია ინფორმაციის შეგროვება,,კვლევა, ანალიზი (SWOT), სამოქმედო/სტრატეგიული გეგმების მონიტორინგი და შეფასება. პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად ნათელია, რომ წარმოდგენილი ვერიფიკაციის მექანიზმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებენ კათედრები, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია და დაკვირვების შედეგად ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა . სკოლას მიეცა რჩევა დახვეწოს დოკუმენტი -დააკონკრეტოს სკოლის მიერ განსახორციელებელი პროცედურები.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემების აღრიცხვას, სკოლა აწარმოებს არქივს, რომელშიც ინახება მოსწავლეთა პირადი საქმეები, შემაჯამებელი სამუშაოები, პორტფოლიოები, პროექტები და სასწავლო პროცესში გამოყენებული სხვა მასალები, რომელთა შენახვა ხდება კანონით გათვალისწინებული ვადის მიხედვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები საგნების მიხედვით;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო

სკოლის საშუალო საფეხურის სასწავლო პროცესი ძირითადად მიმდინარეობს პოზიტიურ, თანამშრომლობით და დემოკრატიულ გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტების და კათედრებთან გასაუბრების შედეგების საფუძველზე. სკოლაში დაგეგმილი ხელშემწყობი აქტივობების ნაწილობრივ გაწერილია სკოლის განვითარების ერთწლიან სამოქმედო გეგმაში, საგნობრივი კათედრების სამუშაო გეგმები მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებზე, სკოლის სასწავლო პროცესში და არაფორმალური განათლების მიმართულების ღონისძიებებში აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა ეროვნების, რწმენის და ტრადიციების მოსწავლეები, რაც უზრუნველყოფილია სკოლაში არსებული საგანმანათლებლო რესურსებით: ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, რესურს ოთახი, სპორტული ინფრასტრუქტურა და სხვა. სკოლაში შექმნილია დამატებითი სპორტული, სახელოვნებო სააღმზრდელო მომსახურეობა, სკოლა მაქსიმალურად ცდილობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და მხარდაჭერას სხვადასხვა ტრენინგებში ჩართულობით. სკოლაში არის კეთილგანწყობილი, თანამშრომლობაზე აგებული ატმოსფერო. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

კათედრებთან გასაუბრებიდან და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს რომ, სკოლაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეთა მოტივაციისა და სასწავლო პროცესში მათი ჩართულობის მასწავლებელთა მიერ შემუშავებულია კურიკულუმები, დაგეგმილია არაფორმალური აქტივობები და საგნობრივი კათედრების სამუშაო გეგმები მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებზე, ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ, ფიზიკურ, გონებრივ და ფსიქოლოგიურ შესაძლებლობებს, სასწავლო პროცესში გამოყენებულია დიფერენცირებული სწავლების მიდგომები, საშუალო საფეხურის მასწავლებლები იყენებენ სხვადასხვა სტრატეგიებს, რომლებიც გათვლილია მოსწავლეთა შედეგებზე, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეების ინტერესებზე მორგებულ და მათზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის ჩამოყალიბებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას

სკოლაში პრობლემებს ერთობლივად წყვეტს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი. სასწავლო პროცესის აღწერაში ჩანს სასკოლო საზოგადოების თანამშრომლობა სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან. საშუალო საფეხურზე აქტიურად ფუნქციონირებს „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი, რაც გულისხმობს გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებას და ინტეგრირებული გაკვეთილების დაგეგმვას, უკუკავშირის მიღებას და რეკომენდაციების შემუშავებას საგაკვეთილო პროცესის გასაუმჯობესებლად. სკოლაში გათვალისწინებულია მოსწავლეების

სასწავლო, ემოციურ და სოციალურ პრობლემები. პედაგოგებს შორის დამყარებულია თანამშრომლობითი ეფექტური კომუნიკაცია და არის საკუთარი აზრის გამოთქმის და ურთიერთგაცვლის მისაღები კულტურა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

საშუალო საფეხურზე პოზიტიური კლიმატის ჩამოყალიბებას განაპირობებს თანამშრომლობაზე დაფუძნებული ურთიერთობები. სკოლას დაგეგმილი აქვს მრავალი აქტივობა, რომელიც ნაწილობრივ გაწერილია სკოლის განვითარების ერთწლიან სამოქმედო გეგმაში და სკოლაში არსებული კლუბის პროგრამაში. მასწავლებლები ეხმარებიან მოსწავლეებს დაეუფლონ კონფლიქტის გადაჭრის სტრატეგიებს შეძლონ თამამად გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები და გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულებები. მაგრამ არსებობს რიგი საკითხები, რომლებიც გაუმჯობესებას საჭიროებს და ამისათვის სკოლის სრული მზაობაა, პოზიტიური კლიმატის სათანადოდ გაუმჯობესების ღონისძიებების დანერგვის მიზნით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები.
- სკოლის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად

კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასებისთვის სკოლას შექმნილი აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც სკოლის განვითარების ერთწლიან სამოქმედო გეგმასთან, საშუალო საფეხურის კურიკულუმებთან და პროექტის გეგმებთან ერთად წარმოდგენილი იქნა ვიზიტის დროს. სკოლა 2020 წლიდან ჩართულია ახალი სკოლის მოდელში და იცნობს კომპლექსური დავალებებით მუშაობის სპეციფიკას, თუმცა სასწავლო პროცესი მთლიანად კომპლექსურ დავალებებზე არ არის აგებული. მოსწავლეების შესაფასებლად გამოიყენება შეფასების, ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების რუბრიკებს, რომელთა საშუალებითაც ხდება მოსწავლეთა საჭიროებების გამოკვეთა. ესთეტიკის კათედრაზე იგეგმება მონიტორინგის სისტემის გაწერა, რომელიც პროექტულ სწავლებაში გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების განხორციელებაზე იქნება მიმართული.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

სკოლას გაცნობიერებული აქვს კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მნიშვნელობა სასკოლო საზოგადოების განვითარების პროცესში. მასწავლებლები იცნობენ შეფასების ინსტრუმენტებს და აღიქვამენ მათ, როგორც განვითარებისა და წინსვლის ინსტრუმენტს. აღსანიშნავია, რომ 2022/23 სასწავლო წელს პირველად განხორციელდა სავალდებულო პროექტული სწავლება ესთეტიკური აღზრდის საგნებში. მე-10 კლასში სკოლამ განახორციელა პროექტული სწავლება მუსიკაში, მე-11 კლასში კი პროექტი განხორციელდება სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში. ამგვარი სიახლე კიდევ უფრო მეტად უბიძგებდა კათედრის პედაგოგებს თანამშრომლობისკენ. კათდრაზე მასწავლებლები თანამშრომლობენ. აქტიურად ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, აკვირდებიან მიმდინარე პროცესებს, ქმნიან შეფასების კრიტერიუმებს, აკვირდებიან პროექტული სწავლების დროს წამოჭრილ პრობლემებს, სახავენ მიზნებს პრობლემების აღმოსაფხვრელად. ამ მხრივ ღირებული იყო "კრიტიკული მეგობრის" ინსტიტუტის მუშაობა, რომელიც აძლევდა კოლეგებს პოზიტიურ უკუკავშირს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ, რომ მონიტორინგი და შეფასება არის ხარვეზების გამოსწორების, შეცდომებზე სწავლის მექანიზმი. კათედრების სხდომებზე პედაგოგები წარმოადგენენ სემესტრულ და წლიურ ანგარიშებს, სადაც აანალიზებენ მიღწევებს და ასახავენ წამოჭრილი პრობლემის გადაჭრის გზებს. ეს განსაკუთრებით ეხება ესთეტიკური აღზრდის კათედრას, სადაც გასულ წელს პირველად განხორციელდა სავალდებულო პროექტული სწავლება. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ მასწავლებლები ერთად გეგმავენ, თუ რა ინტერვენციებია გასატარებელი სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად. კათედრაზე იგეგმება მონიტორინგის დოკუმენტების დახვეწა, კერძოდ ურთიერთდასწრების გრაფიკის, შეფასების სანდო, ვალიდურ, გამჭვირვალე დოკუმენტის შექმნა, რაც ორიენტირებული იქნება სასკოლო საზოგადოების წევრების ურთიერთდახმარებასა და მხარდაჭერაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მასწავლებლებთან ინტერვიუ;
- თვითშეფასება;
- საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სკოლის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ეფასების რუბრიკები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალების შესწავლის (საგნობრივი კურიკულუმები, სკოლის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, კათედრის სხდომის ოქმები) და სკოლაში არსებულ პრაქტიკაზე დაყრდნობით, რომელიც მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, შეიძლება ითქვას რომ, სასწავლო პროცესის შეფასება ეყრდნობა სხვადასხვა წყაროს: გამოკითხვა, სხვადასხვა ტიპის შეფასების კითხვარი, სასწავლო პროცესზე დაკვირვება, კომპლექსური დავალების შესრულების პროცესზე დაკვირვება, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, პროექტების განხორციელების პროცესზე დაკვირვება, დიაგნოსტიკური წერის შედეგების ანალიზი. გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება და რეკომენდაციების მიცემა, აგრეთვე, მოსწავლეთა ჩართულობა არაფორმალურ განათლებაში, კლასგარეშე აქტივობებში მონაწილეობა. სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებში საუბარია სამომავლო ხედვაზე, რომლის თანახმად, სამომავლოდ იგეგმება ჰოლისტური შეფასების ერთიანი, ინტეგრირებული და სისტემური მეთოდების შემუშავება და დოკუმენტური სახის მიცემა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით.

მოსწავლის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს ყველა იმ კონტექსტს, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მოსწავლის ჩართულობაზე, განვითარებასა და მიღწეულ შედეგზე. შესაბამისად, სკოლა ცდილობს განსაზღვროს რა ფაქტორები ეხმარება ან აფერხებს საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. მასწავლებლებთან გასაუბრებისას იკვეთება, რომ საგნების სწავლებისას, ისინი ცდილობენ გაითვალისწინოს კლასის განწყობა საგნისადმი, საკითხისადმი, გარემო, წინარე ცოდნა და ასე მოახდინოს მოსწავლის შეფასება. მასწავლებლები შეფასებისას აგრეთვე ითვალისწინებენ მოსწავლის სოციალურ და ფსიქოემოციურ მდგომარეობას, რომლის შესახებაც სისტემატურად იღებენ ინფორმაციას კლასის დამრიგებლის და საგნის მასწავლებლებისგან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, სადაც ვკითხულობთ, რომ სტრატეგიული დაგეგმვის ერთ-ერთი პროცესია ინფორმაციის შეგროვება, კვლევა, ანალიზი (SWOT), სამოქმედო/სტრატეგიული გეგმების მონიტორინგი და შეფასება. სკოლა შეფასებისას მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდს იყენებს: მოსწავლეთა ზოგადი შეფასება, მრავალმხრივი შეფასება განმავითარებელი კომენტარითა და განმსაზღვრელი ნიშნით. შეფასებისთვის სკოლა ასევე იყენებს ტესტებს, სადიაგნოსტიკო წერებს, საკლასო და საშინაო დავალებებს, კომპლექსურ დავალებებს. შესწავლილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ სხვადასხვა აქტივობის შეფასების სქემები. კონკრეტული სასწავლო ერთეულის დასრულებისას მოსწავლე ფასდება შემაჯამებელი დავალების კომპონენტში. სკოლას აქვს ხედვა, თუ როგორ განაზოგადოს დიაგნოსტიკური კვლევის პროცესში მიღებული შედეგები.მასწავლებლები თანამშრომლობენ მშობლებთან და კლასის დამრიგებლებთან. მათი დახმარებით ადგენენ მოსწავლეების ინტერესების სფეროს, გამოკვეთენ მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს, რისი საშუალებითაც ექმნებათ სრული წარმოდგენა მოსწავლეების შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია მოსწავლეთა შეფასების პრინციპები, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმიდან გამომდინარეობს. წარმოდგენილი დოკუმენტაციით შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, სკოლა გეგმავს კომპლექსური დავალებებით სწავლებას რაც იძლევა მრავალფეროვანი კონტექსტის გათვალისწინების საშუალებას. ინტერვიუირების დროს გაკეთებული მიგნებების მიხედვით მასწავლებლები 2023-2024 სასწავლო წელს აპირებენ მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზს, ასევე გეგმავენ შეიმუშაონ მოსწავლის დიფერენცირებული პროფილი, მოახდინონ მოსწავლის სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირება, შეფასებისას გაითვალისწინონ გარე ფაქტორები, რომელიც გავლენას ახდენს მოსწავლის შედეგებზე(გამოცდილება, ემოციური მდგომარეობა, ინტელექტი, ჯანმრთელობა და სხვა). სკოლაში არსებულ პრაქტიკაზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლები შეფასებისას ცდილობენ გაითვალისწინოს გარე ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ მოსწავლის შედეგებზე. ასევე ირკვევა და დოკუმენტაციიდანაც ჩანს, რომ პედაგოგიურ საბჭოზე და კათედრის სხდომებზე ხდება შეფასების შედეგების განხილვა და ხელშემწყობი და ხელისშემშლელი

ფაქტორების გამოკვეთა, ეს კი იძლევა იმისი თქმის შესაძლებლობას, რომ სამომავლოდ კიდევ უფრო მეტი ყურადღება დაეთმობა აღნიშნულ საკითხს.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- სკოლის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- შეფასების რუბრიკები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია
2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი
პედაგოგების ინტერვიუებიდან და წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან იკვეთება, რომ სკოლა 2020 წლიდან ჩართულია ახალი სკოლის მოდელში და დაგროვილი აქვს გამოცდილება კურიკულუმების მეშვეობით სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებით. კომპლექსური

დავალებების შესრულებისა და პროექტებზე მუშაობის საშუალებით შემოქმედებითი პროდუქტის შექმნის გარკვეული გამოცდილება გაჩნიათ მოსწავლეებსაც. შედეგების გაუმჯობესების მიზნით, პედაგოგებმა განაცხადეს, რომ ისინი სისტემატიურად ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, აანალიზებენ ჩატარებულ გაკვეთილებს, განიხილავენ შეფასებების რუბრიკებს, იზიარებენ საუკეთესო პრაქტიკას, სახავენ პრობლემების გადაჭრის გზებს. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მიმდინარე სასწავლო წელს კურიკულუმის მხარდაჭერა და განვითარება დაეყრდნობა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიას, რომელიც სამ, მოსწავლის (ნანო), მასწავლებლის (მიკრო დონე) და სკოლის (მეზო) დონეებზე განიხილება. თითოეულ დონეზე მიმდინარე პროცესების აღწერას მასწავლებლები გეგმავენ წინასწარ შეთანხმებული ინსტრუმენტების საშუალებით. შეგროვილი მონაცემების საფუძველზე მოხდება კურიკულუმის შესწავლა და საჭიროების შემთხვევაში, მოხდება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტის შექმნა. ესთეტიკის კათედრის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ამ ეტაპზე მათ აქვთ გარკვეული მიგნებები და რეფლექსიები სიტყვიერი სახით, რომლებსაც ასახავენ მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

პედაგოგებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად სკოლა იღებს ვალდებულებას ყოველწლიურად განაახლოს კურიკულუმი წინა წლის მონაცემების ანალიზის საფუძველზე. მოქმედი კურიკულუმის შემუშავება მოხდა გასულ სასწავლო წლის ბოლოს, წინა წლის კურიკულუმის საფუძველზე. კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნა წინა წლის ხარვეზები და წარმატებები. 2023/24 სასწავლო წელი ახალი გამოწვევაა ესთეტიკის კათედრისთვის, რადგან უნდა დაგეგმილია პროექტების განხორციელება როგორც მუსიკაში, ასევე სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მასწავლებლებთან ინტერვიუ
- თვითშეფასება
- საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- სკოლის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- ეფასების რუბრიკები
- კათედრის ოქმები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

20.11.2023 წ.